# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 209 (12 584) 6 სექტემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს ფაჩულია და კომპანია იწყებს

»»» 13

## საქართველო-ირლანდია

დღეს 20:00. LIVE საზოგადოებრივ მაუწყებელზე

# მაინცში მაინც ვივარგოთ





ჰექტორ კუპერი:

# თბილისში უნდა გვეთამაშა

წინასამატჩო »»» 4

# პეტარ, ეს არის... ომი?



»»» 2-3

# სიმართლე უნდა ვთქვათ

კოქუაშვილის დიაგნოზი: ხვალ ქართული ფეხბურთი აღარ იარსებებს



რუსეთთან მატჩის ექო »»» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. ევროპის ჩემპიონატი

# პეტარ, ეს არის... ომი?

**რუსეთი-საქართველო**

**4:0**

05.09. მინსკი. ტრაქტორი. 10 000 მაყურებელი

1:0 ნაბაბკინი (7), 2:0 პრუდნიკოვი (42), 3:0 პრუდნიკოვი (52), 4:0 სალუგინი (63)

რუსეთი: შუნინი - შიშკინი, კუდრიაშოვი, იატჩენკო, ნაბაბკინი - დ. კომბაროვი, გლუშაკოვი, რიაზანცევი, სამსონოვი (46. კასაევი) - ფაიზულინი (78. ბაკაევი) - პრუდნიკოვი (65. სალუგინი).

საქართველო: თევდორაძე - თომაშვილი, გ. კაშია, ფოფხაძე, სანაია - თარგამაძე (46. ხიდეშელი), შონია, ნავალოვსკი, დევდარიანი (68. ბეგლარიშვილი) - ივანიშვილი (46. კობახიძე), წინამძღვრიშვილი.

გაფრთხილება: კაშია (7), ნაბაბკინი (25), ხიდეშელი (61), წინამძღვრიშვილი (62), დ. კომბაროვი (65)

არბიტრი: ა. მაკორტი (ჩრ. ირლანდია)

...ისტორია ხანდახან მწარედ მეორდება და, ხშირად ჩვენი ფეხბურთის შემთხვევაში ხდება. 2002 წლის 11 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თბილისში რუს თანატოლებთან დიდი ანგარიშით წააგო - 0:3. მეორე დღეს ამ შეხვედრისადმი მიძღვნილი სტატია ასე დავასათაურეთ: „უთავმოყვარეო ბიჭების კრებული"; ბევრს არ მოეწონა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო: ახალგაზრდა ბიჭებზე ასე „გამეტებით" კრიტიკა როგორ შეიძლებაო, ჭკუის სწავლების მცდელობებიც იყო. აი, ახლა, გუშინდელი მატჩის მერეც იგივე უნდა გავიმეოროთ - რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ, უთავმოყვარეო ბიჭების კრებული და, ცოტა მეტიც იყო. ან, საერთოდ, ჩვენს გუნდს მწვრთნელი ჰყავდა? სიმწრით გვეცინება, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მატჩისწინა განცხადებები რომ გვახსენდება; კი, რაც არ ემლება, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები და „გონივრული" პიარ-კამპანიაა, თუმცა რაც ევალება, იმაში კი მოიკოჭლებს. მოდით, ჯერ ფაქტებით ვისაუბროთ: საქართველოს ნაკრებს დღევანდელ შეხვედრამდეც დაკარგული ჰქონდა პლეი ოფში გასვლის შანსი და ახლა, რუს თანატოლებთან გამანადგურებელი მარცხის მერე ძალიან დიდი შანსია, რომ ქვეჯგუფში ბოლო ადგილზეც აღმოვჩნდეთ. „ჩემს ბიჭებს ომისთვის ვამზადებ", - ასეთ სიტყვებს ხშირად გაიგონებდით ხორვატი სპეციალისტის **პეტარ შეგრტისგან** (თვითონ უთხრა ჩვენს კოლეგას - ჩემი გვარი ასე იწერებაო); რა „ომი", რის - „თავგანწირვა" - ამ პათეტიკური ლოზუნგების სროლის ნაცვლად, პატივცემულ შეგრტს ნამდვილად ერჩია, ბიჭებისთვის ჩვეულებრივი, სპორტული მოტივაცია მიეცა. აი, როგორც მისი რუსი კოლეგა **ბორის სტუკალოვი** იქცეოდა: რუსეთ-საქართველოს მატჩი ჩვეულებრივი საფეხბურთო დაპირისპირებაა და პოლიტიკასთან შეხება არ უნდა ჰქონდესო. ჩვენც მაგ აზრზე ვართ: მნიშვნელობა არ ჰქონდა, რუსეთის ნაკრები იყო თუ ყაზახეთის - გულსატკენი ჩვენი ბიჭების სუსტი და უნიათო თამაში გახლდათ.

დარწმუნებული ვართ, პატივცემული შეგრტი ამ სამარცხვინო წაგებას სხვადასხვა მიზეზით ახსნის; პირველ ყოვლისა, ალბათ, იმას იტყვის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მივლინებული და ტრავმირებული ფეხბურთელები აკლდა; რაღაც მომენტში, შესაძლოა, გავუგოთ კიდეც ბატონ პეტარს - **უჩა ლობჟანიძე, ბექა გოცირიძე, მათე ღვინიანიძე, ირაკლი კლიმიაშვილი** და **რეზო ბარაბაძე** მართლაც გამორჩეული ახალგაზრდები არიან და ეროვნულ ნაკრებშიც შემთხვევით არ მიუწვევიათ; ნურც **გიორგი მერებაშვილს** დავივიწყებთ - საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ხომ ტრავმის გამო ტოვებდა შეხვედრას. მაგრამ, მოდით, ახლა რუსეთის „ბანაკშიც" გადავინაცვლოთ, სადაც სტუკალოვს არანაკლები საკადრო პრობლემა შეექმნა. ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გარდა ჩვენს მეტოქეს სერიოზული დანაკლისი ჰქონდა - **კირილ კომბაროვის, არტიომ ძიუბას, ივან ტარანოვის, ალან ძაგოევისა** და **ვლადიმირ გრანატის** სახით. იმასაც ვიტყვით, რომ ყველა ეს ფეხბურთელი რუსეთის პრემიერლიგის წამყვანი კლუბების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები არიან. სხვათა შორის, არც გუშინდელი მატჩის მონაწილენი უჩივიან სათამაშო პრაქტიკას - **დენის გლეშუკოვი, რომან შიშკინი, ვიქტორ ფაიზულინი** და **ალექსანდრ პრუდნიკოვი** „ლოკომოტივის", „სპარტაკის" თუ „ზენიტის" ძირითადში თამაშობენ. ესეც რომ არ იყოს, გუშინ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მოედანზე გუნდი თამაშობდა; გუნდი, რომელსაც ტაქტიკური მონახაზიც ჰქონდა და თავისთვის საჭირო შედეგსაც ისე მარტივად მიაღწია, ალბათ, თვითონ სტუკალოვსა და რუს ფეხბურთელებსაც გაუკვირდებოდათ. ჩვენს კარში გატანილ გოლებზე აღარ დავკონკრეტდებით - ოთხივე შემთხვევაში საქართველოს ნაკრების მცველები თუ მეკარე იმდენად უმწეოდ ჩანდნენ, გული დაგეთუთქებოდა. ეგ კი არა, გულახდილად ისიც ვთქვათ, რომ მეოთხე გოლის მერე რუსებმა... აშკარად დაგვინდეს! ყოველ შემთხვევაში, სამ-ოთხ ეპიზოდში ისეთი მომენტები გააცუდეს, კარს აცილება რომ უფრო ძნელი იყო. საცოდაობაზე მეტი სანახავი იყო, თუ როგორ აგვიწიოკეს ფლანგები, როგორ უბრძოლველად დაეუფლნენ მოედნის ცენტრს, როგორ არ გაგვაჭაჭანეს საკუთარ საჯარიმოში; და ეს ყველაფერი ხდებოდა... მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე!..

...ძირითადი შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის პრეროგატივაა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებითაც გვაქვს საკუთარი მოსაზრებები. უპირველეს ყოვლისა, როდის უნდა მოეღოს ბოლო იმ მანკიერ და უკვე ტრადიციასავით დამკვიდრებულ ჩვევას, რაც სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელის ნაკრებში გამოძახება ჰქვია? აქედან გამომდინარე, რა უნდა მოვთხოვოთ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, ვინც ან უკლუბოდ არის, ანაც ხანგრძლივი მკურნალობის მერე ოპტიმალური ფორმისგან შორს არის; რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სათადარიგოთა სკამზე... ნომინალური მცველი არ იყო; ანდა, იქნებ ვინმემ აგვიხსნას, თუ რა პრინციპით იყო შერჩეული ძირითადი შემადგენლობა; სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, იქნებ უპრიანი ყოფილიყო ბიჭებს იმ პოზიციებზე ეთამაშათ, სადაც მიჩვეულები არიან და, უბრალოდ რომ ვთქვათ, სადაც არის კიდეც მათი ადგილი! კონკრეტული მაგალითი გნებავთ? სიამოვნებით მოვახსენებთ ბატონ სეგრტს - **დავით დევდარიანი** პირველ ტაიმში მარცხენა ნახევარმცველი იყო, მეორეში - მარჯვენა ფლანგზე გადმოიყვანეს; არადა, ყველამ იცის, რომ ეს ნიჭიერი ფეხბურთელი მოედნის ცენტრშია სასარგებლო; ანუ, ბურთის „დაჭერა" და საკუთარი გუნდის შეტევები უნდა წამოიწყოს,



მაგრამ გუშინ ფლანგიდან ფლანგზე გადაჰყავდათ; ვერც **გიორგი ნავალოვსკის** „საყრდენობამ" გაამართლა და ვერც **გიორგი ივანიშვილის** ამპლუაში გავერკვიეთ. საერთოდაც, ძალიან გვიჭირს ჩვენი ნაკრებიდან ვინმე გამოვარჩიოთ; უფრო ზუსტად, ნაკლებად კრიტიკულები ვიყოთ თითოეული მათგანის შეფასებაში. ერთადერთი ნათელი წერტილი, ალბათ, სრულიად ჭაბუკი **ზაქარია ბეგლარიშვილის** აქტიური თამაში იყო. სამწუხაროდ, ეს ტექნიკური ახალგაზრდა მოედანზე გვიან გამოჩნდა და ერთ ეპიზოდში მოხდენილი პასით **რატი წინამძღვრიშვილი** მეტოქის მეკარესთან პირისპირაც გაიყვანა. სამწუხაროდ, „ამერის" ფორვარდმა ეს შანსი ვერ გამოიყენა - მოსკოვის „დინამოს" მეკარემ **ანტონ შუნინმა** იმარჯვა და ბურთი მოიგერია. აი, ეს იყო ერთადერთი მომენტი, როცა ჩვენმა ნაკრებმა მეტოქის კართან სახიფათო მომენტი შექმნა! დანარჩენ შემთხვევაში კი მთლიანად თამაშის მსვლელობას რუსი ახალგაზრდები აკონტროლებდნენ, ჩვენებს კი ელემენტარულად, ბურთის „ამოტანაც" უჭირდათ.



...საქართველოს ეროვნულ ნაკრებში **ექტორ რაულ კუპერი** ახალი დანიშნული იყო, ჩვენს გაზეთში პეტარ შეგრტის ინტერვიუ რომ გამოქვეყნდა. სწორედ მაშინ თქვა - სეგრტი კი არა, შეგრტი ვარო. იმედია, არ გვიწყენს, მაგრამ სეგრტი - მწვრთნელი ბევრად სჯობია... შეგრტ მწვრთნელს; სხვათა შორის, იმავე ინტერვიუში გულისტკივილით ისაუბრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრებზეც: *„არ დავმალავ, ნაწყენი ვარ, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მე რომ არ ამირჩიესო..."*



...მორიგი იმედგაცრუება და მორიგი ჩაგდებული შესარჩევი ციკლი; იმედია, ხორვატ მწვრთნელს ეყოფა ვაჟკაცობა და თანამდებობიდან გადადგება. საერთოდაც, ვერ გაგვიგია ერთი რამ - პეტარ შეგრტიც და მისი წინამორბედი **რალფ მინგე** რატომ უნდა ვამჯობინოთ ახალგაზრდა ქართველ მწვრთნელებს?..

**ყაზახეთი-ესპანეთი** 1:2

გოლები: 0:1 გრანერო (25). 1:1 კენბაევი (56). 1:2 ჩისკო (85)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 19-2 | 21 |
| 2. რუსეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 14-4 | 15 |
| 3. პოლონეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-11 | 6 |
| 4. საქართველო | 7 | 2 | 0 | 5 | 6-17 | 6 |
| 5. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-18 | 6 |

**გია ტუხაშვილი**

## პოლონეთთანაც მინსკში, 9 სექტემბერს

რუსეთთან მატჩის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები მინსკში დარჩა. ამ შესარჩევ ციკლში ბოლო შეხვედრა მათ პოლონეთთან აქვთ ჩასატარებელი. უეფას გადაწყვეტილებით, ეს თამაშიც ნეიტრალურ მოედანზე უნდა ჩავატაროთ. ქართულმა მხარემ პოლონეთთან სათამაშოდ კვლავ მინსკის „ტრაქტორი" აირჩია. სხვათა შორის, ეს წინადადება ჩვენებს ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციამ შესთავაზა.

როგორც ქართული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გვითხრა, საქართველო-პოლონეთის მატჩი არა 10, არამედ 9 სექტემბერს გაიმართება და თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

რუსეთთან მატჩის ექო

ინტერვიუ პეტარ შეგრტთან

# საქართველოს ბოდიშს ვუხდი!

## რაზე უნდა ესაუბროს ხორვატი ახალკაცს?



პეტარ შეგრტი

**რუსეთთან მატჩის შემდეგ მინსკში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ პეტარ შეგრტს დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ. გასაგები მიზეზების გამო, ხორვატს ყველა კითხვა ვერ დავუსვით. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ „ლელოს“ რედაქცია შეგრტთან შეხვედრას გეგმავს. სწორედ ამ შეხვედრის დროს ვაპირებთ დეტალებზე საუბარს. კითხვები კი ძალიან ბევრი დაგროვდა. დღეს ეს ვიკმაროთ...**

**- რით ახსნით რუსეთთან ნაგებას და ჩვენი გუნდის ესოდენ უსუსურ თამაშს?**

- უპირველესად, ალალად უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ რუსეთის ნაკრების ის შემადგენლობა, რომელიც მინსკში გვეთამაშა, ჩვენს გუნდზე ბევრად ძლიერია, კლასით აშკარად მაღლა დგას. მეორე: ჩვენ ძალიან ბევრი უხეში შეცდომა დავუშვით, მათ შორის, უპატიებელიც. ცხადია, რომ მაღალი კლასის ოპონენტი ამას გამოიყენებდა და ასეც მოხდა. მესამე: ჩვენთან შედარებით რუსების უპირატესობა ისიც იყო, რომ მათთან ჩემპიონატი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ჩვენთან კი არ დაწყებულა. ამიტომ იყო, რომ მხოლოდ ჩვენმა ლეგიონერებმა ითამაშეს შედარებით უკეთ. მეოთხე მიზეზი ის გახლავთ, რომ თუ რუსებს მხოლოდ 5 ფეხბურთელი აკლდათ, ჩვენ სხვადასხვა მიზეზის გამო 14 მოთამაშე არ გვყავდა. მათი ნაწილი ტრავმირებულია, ნაწილი ეროვნულ ნაკრებშია, მირზა ბუალავა კი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა შეხვედრას. მეხუთე: ჩვენ ნაომარი ქვეყნიდან ჩამოვედით მინსკში, რუსები კი ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროტურნირებზე ასპარეზობის შემდეგ გვეთამაშნენ...

**- რუსეთის ამ ნაკრებს თბილისში არა მხოლოდ მოვუგეთ, არამედ ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. მინსკში რა დაგვემართა?**

- თბილისში ბევრად უკეთესი შემადგენლობა გვყავდა. ის ბიჭები მინსკშიც რომ მყოლოდა, გარწმუნებთ, კიდევ მოვუგებდით. იმ შემადგენლობიდან აქ მხოლოდ სამი ფეხბურთელი - ნავალოვსკი, თევდორაძე და თომაშვილი ჩამოვიყვანეთ... ზემოთ მიზეზებზე ვლაპარაკობდი. იყო კიდევ რაღაც პრობლემები, რომლებზეც, თბილისში რომ დავბრუნდები, ნოდარ ახალკაცს დაველაპარაკები.

**- მაინც რა პრობლემები იყო ასეთი? ხმამაღლა არ ითქმის?**

- არა, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მანამდე ახალკაცს უნდა შევხვდე. მიზეზებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მინდა, რეალური სურათი წარმოვადგინო. თავს ნამდვილად არ ვიმართლებ, კატასტროფულად ვითამაშეთ... მაგრამ ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს, თუ რა მოხდა რეალურად... საერთოდ კი ამ წაგებისა და იმედგაცრუების გამო მთელ საქართველოს ბოდიშს ვუხდი. კარგად მესმის, რომ ეს მარცხი ქართველი გულშემატკივრებისთვის მეტად მტკივნეულია. იმედია, ხალხი მომიტევებს.

**- რას აპირებთ?**

- გარკვეული დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ფეხბურთელებმა მძიმე მარცხი რაც შეიძლება მალე უნდა დაივიწყონ. დღეს ისინი მონდომებულები იყვნენ, მაგრამ თამაში არ წაუვიდათ. ახლა პოლონეთთან მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ...

**- ალბათ, ცვლილებებზეც ფიქრობთ...**

- ბუნებრივია, წაგებული მატჩის შემდეგ რაღაც ცვლილებები იქნება. კონკრეტიკას ნუ მომთხოვთ, ეს ვარჯიშებისას გამოჩნდება.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

# მოდით, ვთქვათ სიმართლე: ხვალ ქართული ფეხბურთი აღარ იარსებებს

## ახალგაზრდულ ნაკრებს ქართველი მწვრთნელები სჭირდება

**გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუს 21-წლამდელებთან მინსკში დიდი ანგარიშით წააგო. პრინციპულ მატჩში მეტოქემ პირწმინდად დაგვჯაბნა. თამაშის შეფასებისთვის რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...**

- საათზე მეტი გავიდა, რაც მატჩი დამთავრდა და ახლაც შოკირებული ვარ. საზიზღრობა იყო. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, რუსეთის ნაკრები თამაშობდა. ფეხბურთელთა კონტინგენტითა და კლასით მეტოქე აშკარად გვჯობდა, ჩვენ მოგების ნაკლები შანსი გვქონდა, მაგრამ... შეიძლება, თამაში წააგო, მაგრამ ხომ უნდა იბრძოლო, ხომ უნდა ჩანდეს, რომ მოედანზე ერთი კი არა, ორი გუნდია? მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთი ნათელი წერტილიც კი ვერ დავინახე. არა მხოლოდ ფეხბურთელი, არამედ ერთი ეპიზოდიც კი არ იყო ისეთი, რომ რაღაც იმედი გამჩენოდა... თუ ქართული ფეხბურთის გადარჩენა გვინდა, ხსნა მხოლოდ სიმართლეშია... სიმართლე უნდა ვთქვათ. სიმართლე კი ისაა, რომ ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღე, ფაქტობრივად, არ ჩანს. ახლავე უნდა შველა, თორემ მერე გვიან იქნება...

**- როგორ ფიქრობთ, მინსკის მატჩიდან გამომდინარე, მართლა ესაა ჩვენი ფეხბურთის მომავალი, თუ რეალობა სხვაა?**

- სამწუხაროდ, ეს ჩვენი ფეხბურთის რეალური სახე იყო. რუსეთის ნაკრებმა სარკეში ჩაგვახედა. როგორც ავადმყოფი წვეთოვანზე, ისეა დღეს ქართული ფეხბურთის საქმე. გადაუდებელი ქირურგიული ჩარევაა საჭირო, თუ გვინდა რომ ეს ავადმყოფი გამოვაჯანმრთელოდ, ფეხზე დავაყენოთ, თორემ კიდევ ერთხელ ვამბობ, ხვალ ქართული ფეხბურთი აღარ იარსებებს...

**- ცოტა გადაჭარბებული შეფასება ხომ არ არის?**

- გადაჭარბებულიო? რა გადაჭარბებული? ეს არის ჩვენი რეალობა. მწარედ ნათქვამია, ეს მწარედ ნათქვამი გვერჩივნოს, ავადმყოფობის დამალვას. არ შემიძლია, სიმართლე რომ არ ვთქვა...

**- კი, მაგრამ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები არ იყო, ამ რუსეთს თბილისში 2:0 რომ მოუგო?**

- ეგ იყო, მაგრამ ერთი გამონათება შიგადაშიგ იქნება ხოლმე. ჩვენი ფეხბურთი კრიზისშია, მომავალი თაობა ცუდ დღეშია... რუსებს თბილისში მოვუგეთო, რომ გაიხსენეთ, ეს ახალგაზრდული ნაკრები არ იყო, ყაზახეთსა და პოლონეთში 4:1 რომ წააგო?

**- გასაგებია. ხსნას რაში ხედავთ?**

- შეგრტი ხორვატია, ჩვენსავით სამხრეთელია და ქართველებთან კონტაქტი არ უჭირს. თუმცა ვიცი, ახლა ძალიან ცუდ დღეში იქნება. მის ადგილას რომ ვიყო, გადავდგებოდი. ალალად, ვაჟკაცურად ვიტყოდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და წავიდოდი... ჩემი გუნდები ლიდერებში რომ იყვნენ, მაშინ დამიტოვებია პოსტი. ანუ, როცა დავინახე, რომ ხელმძღვანელობამ კურსი შეცვალა და არასწორ გზას დაადგა... პიროვნულად, შეგრტი კარგი ადამიანია, კონტაქტურია... მოდი, ვთქვათ, რომ მწვრთნელობაც ესმის, მაგრამ... ხომ გაგიგიათ - ესა თუ ის მწვრთნელი გუნდს რომ ჩაიბარებს, ისიც უნდა იცოდეს, რომ მოვა დრო და ამ გუნდის დატოვება მოუწევს. ახლა სწორედ ეს დროა და უნდა წავიდეს... ამ ვითარებაში სხვა, ახალი კაცია საჭირო 21-წლამდელთა ნაკრების სათავეში. ამიტომ უნდა გადადგეს შეგრტი. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უნდა დაიკაპიწოს მკლავები და შოკურ თერაპიას მიმართოს...



რევაზ ძოძუაშვილი

**- შოკურ თერაპიაში რას გულისხმობთ?**

- ახალგაზრდულ ნაკრებს ქართველი მწვრთნელები უნდა ხელმძღვანელობდნენ, იმ ფესვებიდან აღმოცენებული მწვრთნელები, რომლებმაც მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ლოლობერიძე, პაიჭაძე, დარასელია, ყიფიანი და ჩვენი ფეხბურთის სხვა ვარსკვლავები გაზარდეს...

**- თქვენ ვის კანდიდატურას დაასახელებდით?**

- ასეთი არაერთია. გამორჩეული ქართველი მწვრთნელები ახალგაზრდებიც არიან და ასაკოვნებიც. პრაქტიკოსი მწვრთნელი გვჭირდება, რომელიც მუდმივად პროგრესირებს და ერთ ადგილს არ ტკეპნის. ასეთის მოძებნა ფეხბურთის ფედერაციას არ გაუჭირდება.

**- კარგა ხანია, არსად მუშაობთ. წინადადება ხომ არ გქონიათ ქართული ან უცხოური კლუბებისგან?**

- შეთავაზება ახლაც მაქვს, მაგრამ ჯერ ცოდნის გაღრმავებით ვარ დაკავებული. გერმანიის საელჩოში საბუთები შევიტანე. მწვრთნელის ლიცენზიის ასაღებად შტუტგარტში მივდივარ ერთი კვირით. ოქტომბერში კი კიევში მომიწევს ჩასვლა. სადიპლომოზე ვმუშაობ. ნოემბერში ლიცენზიას ავიღებ და მერე ახალ გუნდზეც ვიფიქრებ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გოჩა ჯამარაულთან

# ტაქტიკა ვერ დავინახე



გოჩა ჯამარაული

**საქართველოს კიდევ ერთხელ უზომოდ ატკინეს გული. ამჯერად ეს გააკეთა არა რუსულმა ჯარმა, არამედ ქართველი ფეხბურთელების ყოვლად უნიათო თამაშმა. ვის, ვის და რუსეთის ნაკრებს საქართველო გულიანად უნდა ეთამაშოს. პეტარ შეგრტმა თბილისური გამარჯვების სიტკბოც დაგვავიწყა, იმდენად გაუგებარი ექსპერიმენტები ჩაატარა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ნახევარმცველ გოჩა ჯამარაულს მატჩის შემდეგ დავუკავშირდით.**

**- გოჩა, შეხვედრაზე რა კომენტარს გააკეთებდი?**

- რა კომენტარი უნდა გავაკეთო? მეოთხე ბურთი რომ გაგვიტანეს, ტელევიზორი გამოვრთე. ამის ყურება არ შემეძლო, მით უმეტეს ბოლოდროინდელი ამბების შემდეგ. სიმართლე გითხრა, ფეხბურთის ყურების სურვილი არც მქონდა, ისეთი დათრგუნული ვიყავი. არ ვიცი, ასეთი ანგარიშით წაგების მიზეზი რა არის. ვითომ ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობა? შეიძლება, ძალიან მოინდომეს, გადაიწვნენ და ამიტომაც არაფერი გამოუვიდათ. მიჭირს თქმა. დიდი მონდომებით შეიძლება საკუთარ თავს გადაახტე, მაგრამ ძლიერ მეტოქესთან ხანდახან ესეც არ კმარა. ფაქტია, რომ რუსები ჩვენებზე ბევრად უკეთ მომზადებულები იყვნენ. საქართველოს ახალგაზრდულზე არც კი ვიცი, რა ვთქვა. რუსეთის აგრესიის შემდეგ ფეხბურთი ყურება პირველად მოვინდომე, ისიც იმიტომ, რომ რუსეთის ახალგაზრდულს ვხვდებოდით... ჯობდა, არ მეყურებინა.

**- გუნდს მწვრთნელის ხელი თუ ეტყობოდა?**

- პირველად პეტარ შეგრტის გუნდი ლატვიის ნაკრებთან ვნახე, როდესაც 4:0 მოვიგეთ. იმ დღესაც კი ბევრი შეცდომა მომხვდა თვალში. უმნიშვნელოვანესი რამ აკლდა ნაკრებს: გუნდური ფეხბურთი. არეული იყო რგოლები, შეტევის დროს ექვსი კაცი რჩებოდა უკან და ა.შ. ეს მოხდა დიდი ანგარიშით მოგებულ შეხვედრაში. დღევანდელ თამაშზე კი შედეგიც მეტყველებს, მეტს არ დავამატებ. რომ თქვეს, შეგრტს წარმატებული გუნდი ჰყავსო, ძალიან გამიკვირდა. გადავხედოთ კალენდარს - ექვსიდან ოთხი თამაში წავაგეთ და ორი მოვიგეთ. ეს წარმატებაა?

დღეს, როდესაც ქვეყანაში მძიმე ვითარებაა, მკაცრ განცხადებებს მოვერიდები, მაგრამ ასეთი თამაში და გუნდი ჩემთვის მიუღებელია.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. საქართველო-ირლანდია.
ექტორ კუპერის პრესკონფერენცია

# კუპერი: თბილისში უნდა გვეთამაშა

## ...მაგრამ შანსი მაინცშიც გვაქვს



ექტორ კუპერი

**გუშინ** საქართველოს ნაკრებმა მაინცში „ბრუხვეგშტადიონზე“ ირლანდიასთან მატჩისწინა ვარჯიში გამართა. წვრთნა დილის 10 საათზე დაიწყო. ვარჯიშამდე საქართველოს ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა პრესკონფერენცია გამართა. არგენტინელ მწვრთნელს ირლანდიელი ჟურნალისტების წინაშე წარდგომამ მოუწია.

**- ალბათ ძალიან გეწყინათ, როცა გაიგეთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე უნდა ჩაგეტარებინათ.**

- რა თქმა უნდა, თამაშის მოსაგებად თბილისში გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაინცში ირლანდიას დამარცხება არ შეგვიძლია. ფიფამ გადაწყვიტა, რომ ნეიტრალურ მოედანზე გვეთამაშა, ჩვენ ვალდებულები ვართ, მას დავემორჩილოთ.

**- კლუბებში წარმატებული კარიერა გქონდათ. ნაკრებში მუშაობა კი თქვენთვის უცხოა, თანაც იმ ქვეყანაში, რომლის ნაკრებიც ჩაიბარეთ ომია...**

- სულ ერთია კლუბში მუშაობ თუ ნაკრებში. ორივე შემთხვევაში ფეხბურთელებისთვის დავალებების მიცემა და მათს შესრულებაზე კონტროლი გევალება, გუნდის შენებაზე გიწევს ზრუნვა. რაც შეეხება საომარ ვითარებას, ეს ფაქტორი ჩემს სამუშაოზე ზეგავლენას ნაკლებად ახდენს. პროფესიონალი ვარ და პროფესიონალ ფეხბურთელებთან მიწევს მუშაობა.

**- ნეიტრალურ მოედნად მაინცდამაინც გერმანია რატომ აირჩიეთ? ირლანდიას თბილისში არ ეთამაშებით და რა შანსი გაქვთ მაინცში?**

- გერმანიაში ბევრი ქართველი ცხოვრობს და სფფ-მ ეს ვარიანტი ამიტომ აირჩია. ახლა თბილისში ნამდვილად არ არის ისეთი ვითარება, რომ მატჩის ჩატარება შეუძლებელი გამხდარიყო. ომი თბილისიდან 100 კმ-ის მოშორებით იყო და ახლა იქაც სიმშვიდეა. უბრალოდ, ირლანდიას შანსი მიეცა, ჩვენთან თამაში ნეიტრალურ მოედანზე გადაეტანა და ეს შესაძლებლობა ბოლომდე გამოიყენა.

**- ე. ი. ამტკიცებთ, რომ მატჩის თბილისში ჩატარება შესაძლებელი იყო?**

- (კუპერი გაბრაზდა და ირლანდიელ ჟურნალისტს მოკლედ მოუჭრა) დიახ, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ თბილისში მატჩის ჩატარება შესაძლებელი იყო.

**- ირლანდიის ნაკრებზე რას იტყოდით?**

- ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელიც პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ირლანდია კლასიკურ ბრიტანულ სტილში თამაშობს. განსაკუთრებით კარგად დაცვაში გამოიყურება.

პრესკონფერენციის შემდეგ საწვრთნელი პროცესი დაიწყო.

**გიორგი მაკარიძე, გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, უჩა ლობჟანიძე, მათე ღვინიანიძე, ლექსო კვახაძე, მალხაზ ასათიანი, ზაალ ელიავა, გიორგი შაშიაშვილი, ლევან კობიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, ლევან ყენია, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით კვირკველია, ალექსანდრე იაშვილი, ბექა გოცირიძე, ლევან მჭედლიძე, დავით სირაძე, რატი ალექსიძე** - გუშინ 26-ივე ფეხბურთელმა სრული დატვირთვით ივარჯიშა. ვარჯიშის ბოლოს კუპერმა ფეხბურთელებს ორკარა ათამაშა. ირლანდიელი ჟურნალისტები ვარჯიშის მხოლოდ საწყის 10 წუთს დაესწრნენ. არგენტინელმა ამის შემდეგ პროცესი დახურულად გამოაცხადა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძის** თქმით, გუნდში საბრძოლო განწყობაა და ფეხბურთელებს მონდომება ეტყობათ. მაინცში გუშინ დარი იყო, მზადებამაც კარგ ატმოსფეროში ჩაიარა.

ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით 2396 რესპონდენტიდან 61.69 % თვლის, რომ საქართველო ირლანდიას მოუგებს. 25.79 % მაინცში ფრეს ელის, 12.52 % კი ირლანდიელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებს.

დღეს, „ბრუხვეგშტადიონზე“ საქართველო-ირლანდიის მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით იხილავთ. თამაშს უნგრელი მსაჯები გაუძღვებიან: არბიტრი **შოლტ შაბო**, ასისტენტები **რობერტ კიშპალი** და **ვენცელ ტოტი**. მეოთხე მსაჯი **მიჰალ ფაბიანი**.

**დავით ცაბაძე**

---

მეტოქე. ჯოვანი ტრაპატონის პრესკონფერენცია

# მოგებით უნდა დავიწყოთ

## ტრაპი ფანებს ოთხ ქულას დაჰპირდა, მაგრამ ექვსს გულისხმობს

**გუშინ** პრესკონფერენცია ჯოვანი ტრაპატონიმაც გამართა. ტრაპი მედიის წინაშე გუნდის კაპიტან რობი კინთან ერთად წარდგა:

**- კუპერმა თქვა, რომ ირლანდიასთან თბილისში თამაში შესაძლებელი იყო, მაგრამ ირლანდიელებმა თავისი გაიტანესო. თქვენ რას იტყოდით?**

- კარგად მესმის, რატომაც თქვა. მთელი მსოფლიო ხედავდა, რა ხდებოდა საქართველოში. იქ ამ დონის მატჩის გამართვა არ შეიძლებოდა. ფიფამ აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და ამაზე მეტი საუბარი აღარ გვინდა.

**- ის, რომ საქართველოსთან მატჩი ნეიტრალურ მოედანზეა, ირლანდიის ნაკრების შანსებს ზრდის?**

- რა თქმა უნდა, ნეიტრალურზე მეტი შანსი გვაქვს. თუმცა ყველა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს, რომ მატჩი 90 წუთს გრძელდება და არ უნდა მოდუნდეს. თერთმეტივე მოთამაშემ სინქრონულად უნდა იმოქმედოს.

**- მეტოქეს როგორ შეაფასებდით?**

- კუპერსა და მის საფეხბურთო ფილოსოფიას ჯერ კიდევ იტალიიდან ვიცნობ. მანაც ბევრი რამ იცის ჩემზე. კუპერის გუნდთან თამაში იოლი არ იქნება, მაგრამ მისი ნაკრების დამარცხება ჩვენს ძალებს ნამდვილად არ აღემატება. მთავარია, ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები შეასრულონ.

**- უახლოეს ორ მატჩში რამდენ ქულას გეგმავთ?**

- საკვალიფიკაციო ეტაპი აუცილებლად მოგებით უნდა დავიწყოთ. 4 ქულას გპირდებით, მაგრამ გულში 6-ს ვგულისხმობ.

ტრაპატონის შემდეგ ერთ კითხვას **რობი კინმაც** უპასუხა:

- მეტოქე ძლიერი გვყავს და ბევრი რამ ვიცით კიდეც საქართველოზე. ჩვენი მიზანი საკვალიფიკაციო ეტაპის მოგებით დაწყებაა. ეს რთული იქნება, მაგრამ მჯერა, შევძლებთ.

**დავით ცაბაძე**

---



ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# ექტორ კუპერი ძალიან მკაცრია

## მჯერა ჩვენი ნაკრების და ამიტომაც ვარ იმედიანად

**საქართველოს** ნაკრები დღეს კიდევ ერთ შესარჩევ ციკლს იწყებს, ახალი იმედების ციკლს. პირველად, არსებობის ისტორიაში, ჩვენი ეროვნული გუნდი ოფიციალურ მატჩში მეტოქეს ნეიტრალურ მოედანზე შეხვდება. მიუხედავად ყველა წინა ტურნირში წარუმატებელი გამოსვლისა, იმედი მაინც გვაქვს, იმედი, რომელიც არანაირ ლოგიკასა და სქემებს არ ემორჩილება.

ლატვიის ჩემპიონსა და საუკეთესო ნახევარმცველ ზურაბ მენთეშაშვილს დღემდე დიდი გუნდების მაისურები არ მოურგია, მაგრამ ეროვნულ ნაკრების ამ შემადგენლობიდან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. „ჯვაროსნებში“ მას 31 მატჩი აქვს ჩატარებული. ზურაბს ირლანდიასა და იტალიასთან მომავალი მატჩების წინ ინტერვიუ ვთხოვეთ (საუბარი შეკრების პირველ დღესაა ჩაწერილი).

**- ზურაბ, მოდით, ჯერ უელსთან მატჩი გავიხსენოთ. თქვენი აზრით, რის ხარჯზე გავიმარჯვეთ: კლასის, თუ ახალი სანაკრებო კლიმატის ხარჯზე?**

- ყველაფერმა ერთად იმოქმედა. მუდამ ვფიქრობდი და, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოს ნაკრებში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ყოველთვის რაღაც გვაკლდა. განსაკუთრებული განწყობაც გვქონდა, ისეთი, რომლის მაგვარიც არ მახსენდება. რუსეთის აგრესიის შემდეგ, ხალხის გახარება გვსურდა, თან გულშემატკივარიც იმედით შემოგვყურებდა. დიახ, ამას ვგრძნობდით და მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ. მოკლედ, ყველა ფაქტორმა ერთად იმოქმედა და გავიმარჯვეთ.

**- აგვისტოში დატრიალებულმა ტრაგედიამ არა მარტო თქვენ, არამედ მთელი საქართველო შეცვალა...**

- რასაც ჩვენ განვიცდიდით, სიტყვებით იმის გადმოცემა ძალიან ძნელია. გვინდოდა, კარგად წარმოგვეჩინა საქართველო და ეს გრძნობა ძალას გვმატებდა.

**- გაბრაზებულებს საკმაოდ კარგი ფეხბურთის თამაშიც შეგძლებიათ...**

- მეც მაგას ვამბობ, ქართველებს ბევრი შეგვიძლია. რუსების ფეხბურთიც ვიცი, უკრაინელებისაც, ლატვიელებისა თუ ლიტველებისაც... დღეს მათ ჩვენზე უკეთესი რეიტინგი აქვთ, მაგრამ სამივეზე მეტი პოტენციალი გაგვაჩნია. იცი, ქართველს რა სჭირდება? დისციპლინა და მონდომება. ეს თუ გვექნა, გაცილებით უკეთეს ფეხბურთს ვითამაშებთ. უელსში ერთიც იყო და მეორეც.

**- ყველა თამაშს მონდომებით რატომ ვერ ატარებთ? ეს თქვენ ნაკლებად გეხებათ, მაგრამ გუნდზე კი შეიძლება ითქვას...**

- რას ჰქვია, უგულოდ ვთამაშობთ? წაგება უგულოდ თამაშს არ ნიშნავს. პირადად მე, და ყველა დანარჩენი, ყოველთვის გულით ვთამაშობთ.

**- მაშინ რა გაკლიათ, თუ ჯიგარიც გაქვთ და, როგორც ამბობთ, ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელიც გვყავს?**

- არ ვიცი... ალბათ, ბედი არ გვწყალობდა. ასეთი რამ ხშირად მოგვსვლია.

**- ირლანდიასა და იტალიასთან საქართველოს შანსებზე რას ფიქრობთ?**

- უიმედოდ ნამდვილად არ ვართ. ძალიანაც კარგი შანსები გვაქვს.

**- ირლანდიასთან კიდევ დასაჯერებელია, მაგრამ იტალიასთანაც? გადაჭარბებული ხომ არ არის თქვენი ოპტიმიზმი?**

- თუ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, მოგება იტალიასთანაც შეიძლება. მე მჯერა ჩვენი ნაკრების და ამიტომაც ვარ იმედიანად.

**- ირლანდიასთან ნეიტრალურ მოედანზე თამაში რთული იქნება. გერმანიაში მცხოვრები ქართველების იმედიც გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, მათიც გვეიმედება. თუმცა ყველაზე მეტად ერთმანეთის იმედი გვაქვს.

**- გუნდში როგორი სიტუაციაა?**

- მშვენიერი, მე ძალიან მომწონს. კარგად ვემზადებით.

**- თქვენი აზრით, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან კუპერი და ტოპმიოლერი?**

- კლაუსი გერმანელია, კუპერი სამხრეთელი და უფრო ჩვენებური ტიპია. ყველამ ისე ვიცოდით, თითქოს კუპერი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი იყო, მაგრამ მის დავალებებში ასეთი აქცენტები ვერ შევნიშნეთ. უბრალოდ, ფრთხილი და ჭკვიანი მწვრთნელია. კიდევ ის შემიძლია გითხრათ, რომ კუპერი ძალიან მკაცრია.

**- მისი სიმკაცრე არ მოგწონთ?**

- არა, რატომ? პირიქით, გუნდისთვის ასეთი სიმკაცრე კარგია.

**- კუპერის სიმკაცრემ ტოპმიოლერი ხომ არ მოგანატრათ?**

- მწვრთნელებს ერთმანეთს არ შევადარებ. მე ტოპმიოლერსაც მოვწონდი.

**- „ვენტსპილსში“ ბევრი რუსია და ურთიერთობები ხომ არ დაგეძაბათ?**

- დავძაბავ მაგათ მე! არა, რა კონფლიქტი, ქართველებზე ვინ რა უნდა მითხრას?!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

# რუსულ კლუბებთან ურთიერთობა არ გვექნება, თანამეგობრობის თასზეც აღარ ვითამაშებთ

## დობეშის წასვლას დანაკლისად არ მივიჩნევ, მაკარიძე კი დინამოს ვერ გააძლიერებს

**სეზონი** სათასო შეხვედრებით განახლდა. რა ცვლილებებია საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში; რა სტრატეგია გააჩნია ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბს; რა თანხებით ინახავენ "დინამოს" ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ; რატომ შეელია "დინამო" ლევან ყენიასა და რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელს; რატომ არ ათამაშებენ სანდრო იაშვილს და ა.შ. გუნდის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე "ლელოს" შეკითხვებს პასუხობს.



**- ბატონო ბუბა, რაინერ ცობელმა ბრძანა, რომ "დინამოში" სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. კმაყოფილი დარჩით?**

- ვერ ვიტყვი, რომ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ძალიან ვიაქტიურეთ. სეზონის დაწყებამდე ჩვენი მთავარი ამოცანა მწვრთნელის დანიშვნა იყო. დუშან უჰრინს კონტრაქტი დაუმთავრდა და მისი შემცვლელი გვჭირდებოდა. ცობელი ისეთ დროს დავნიშნეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი კარს იყო მომდგარი, ერთ კვირაში შეკრება გვეწყებოდა. მშვიდ ვითარებაში ტრანსფერებზე მუშაობის საშუალება არც იყო. ასე ვთქვათ, დაკომპლექტება გზადაგზა გვიხდებოდა.

ჩვენს ამოცანას ის აიოლებდა, რომ გასული სეზონის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის ბირთვი შევინარჩუნეთ. მხოლოდ სამი ფეხბურთელი წავიდა. რომან დობეშს დანაკლისად არც ვთვლი. ზელიჩი თავის დროზე კარგი შენაძენი იყო - ფეხბურთელებს გამოცდილება გაუზიარა, დაცვა გააძლიერა, საერთოდ, კარგი სამსახური გაგვიწია. ავსტრალიელი ისეთ დროს წავიდა, როცა მისი შეცვლა ჩვენივე კადრს, გურამ კაშიას შეეძლო. დღეისათვის გურამი საქართველოში საუკეთესო ცენტრალურ მცველად მიმაჩნია. იმის თქმა მინდა, რომ ნედ ზელიჩის წასვლას მომზადებული შევხვდით.

გუნდს რეალურად მხოლოდ ერთი ფეხბურთელი მიხეილ ხუციშვილი დააკლდა. იმ სისტემიდან გამომდინარე, რომლითაც ცობელი გუნდს ათამაშებს, იმ კადრებით, რაც დღეს "დინამოს" ჰყავს, ვფიქრობ, ეს დანაკლისი შესამჩნევი არ იქნება. ძალიან გვჭირდებოდა კარგი მარცხენა მცველი და რიგის "სკონტოდან" ზაალ ელიავა ჩამოვიყვანეთ. დაცვის გასაძლიერებლად შევიძინეთ ლექსო ინწკირველიც. ახლა "დინამოში" არიან ისეთი მცველები, რომელთაც შეუძლიათ უკანა ხაზი საიმედოდ გაამაგრონ.

**- სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ გიაქტიურიათ, მაგრამ გუნდის ბირთვის შენარჩუნება დიდი პლუსია. "ოლიმპმა" ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ მათ შეთამაშება სჭირდებათ. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მთელი ათი დღეა დარჩენილი. ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ როგორ გაძლიერდება. ვთვლი, რომ კონკურენტები იქნებიან "ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია" და "ოლიმპი". არ უნდა დაგვავიწყდეს "ლოკომოტივი", რომელიც ზაფხულში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სიურპრიზებს სხვა გუნდებისგანაც არ გამოვრიცხავ.

**- გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე რას იტყვით. მართალია, თითქოს, გუნდი სანდრო კობახიძის "დნეპრში" გაყიდვით მიღებული 800 ათასი დოლარით არსებობს?**

- ასეც რომ იყოს, ეს ნიშნავს, რომ სამი წლის წინ აღებული მიმართულება სწორი იყო. ჩვენი მიზანია, ნიჭიერი ბიჭები გავზარდოთ და უცხოეთში გავყიდოთ. შემოსული თანხით სხვა ტალანტები გავზარდოთ. კარგი იქნება, თუკი საკუთარი გაზრდილებით კლუბი თავის რჩენას შეძლებს. ეს არ ნიშნავს, რომ მოთამაშეთა ტრანსფერებს თვითდინებაზე მივუშვებთ. ამ ზაფხულსაც მივიღეთ სარფიანი წინადადებები. თუმცა გუნდის განვითარებაზე ვფიქრობთ და ყველა ლიდერს ვერ შეველევით.

**- ანუ გუნდის ფინანსური მდგომარეობა მყარია?**

- დიახ, სტაბილურია და არც მომავალში ემუქრება რამე.

**- ტალანტების მოზიდვა და დაწინაურება ახსენეთ. იგორ სურკისმა აღიარა, რომ "დინამოს" მიერ მალხაზ ასათიანის არდატოვება შეცდომა იყო. "დინამომაც" ბევრი შეცდომა დაუშვა - ლევან ყენიას გაშვება; მათე ღვინიანიძესთან იოლად შელევა; დავით სირაძის დუბლებიდან გაშვება. სულ ახალი მაგალითი, ლაშა დეკანოსიძე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში „ბატეს" განაცხადშია - ერთი გუნდისთვის ძალიან ბევრი ხომ არ არის?**

- კიევის "დინამოში" ასათიანის გარდა ალექსანდრ გლებიც დაიწუნეს. ასეთი რამ ნებისმიერ კლუბში შეიძლება მოხდეს. ადრეულ ასაკში ყველა ფეხბურთელი ვერ იხსნება. შეუძებელია, 150 ბავშვში ვინმე არ გამოგრჩეს. მესმის ლაშა დეკანოსიძისადმი ინტერესიც. როცა "დინამოში" ჩვენი გუნდი მივიდა, დეკანოსიძე იქ არ ყოფილა, ლაშა აკადემიაში თამაშობდა, როცა "დინამო 2-მა" უარი უთხრა, წავიდა.

ლევან ყენიას პოტენციალი კარგად ვიცოდით, მაგრამ მან გარკვეული მოთხოვნები წამოგვიყენა. ამ დროს "ლოკომოტივში" მიიწვიეს და ამიტომ გავუშვით. რაც შეეხება დავით სირაძეს, "დინამოში" მოსვლის შემდეგ მის დამატებაზე ვფიქრობდი, მაგრამ მან სხვაგან წასვლა გადაწყვიტა.

**- გიორგი მაკარიძე "დინამოში" დუბლებშიც არ თამაშობს, ეროვნულ ნაკრებში კი სისტემატურად იწვევენ. თუკი ნიჭიერია, ძირითად გუნდში რატომ არ თამაშობს?**

- მხოლოდ იმაზე შემიძლია კომენტარის გაკეთება, რაც "დინამოს" ეხება. ჩვენ ყოველთვის ვუწყობთ ხელს ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. ასეთებისთვის "დინამოში" ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ეროვნული ნაკრების ინტერესებს ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით, მის წვევებსა თუ კანდიდატებს თამაშის, ფორმის აღდგენის საშუალება ყოველთვის ჰქონდათ. გუნდში ვთვლით, რომ მაკარიძე "დინამოს" ვერ გააძლიერებს. ამჟამად "დინამოში" მასზე ძლიერი ორი მეკარე გვყავს - გიორგი ლორია საქართველოს ნაკრების მეკარეა, დიდიე ოვონო - გაბონის. კარში ერთი მეკარე დგას და ამ ფეხბურთელებს განზე ვერ დავტოვებთ. გამოუცდელ ფეხბურთელებს ძირითადში ასე უცბად ადგილს ვერ ვანდობთ. აიღეთ გურამ კაშიას მაგალითი. ის ზელიჩისა და კრშკოს გვერდით თამაშობდა, ახლა ძირითადის უკვე მზადაა. კაშია არამარტო საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია და ვფიქრობ, ეროვნულში თამაშსაც იმსახურებს. გიორგი ლორიას მეტი ნდობა და მეტი გამოცდილება სჭირდება, მისი სახით საქართველოს მაღალი კლასის მეკარე ეყოლება. მიხარია, რომ ბოლო დროს ნაკრებში იწვევენ. ვიცი, რომ სანდრო იაშვილზეც მკითხავთ. მზად ვარ, ამაზეც ვილაპარაკოთ.

**- იაშვილის თემაც საინტერესოა. ფეხბურთელი "დინამოს" საკუთრებაა, ის კი დუბლებში ვარჯიშობს. რატომ?**

- იაშვილი "თუნში" გავანათხოვრეთ, არენდა 1-ელ ივნისს დაუმთავრდა. შეკრებაზე კი "დინამოს" გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამოცხადდა. მოუმზადებელი იყო და ცობელმა მისი შეკრებაზე წაყვანა მიუღებლად ჩათვალა. სანდროს ტრანსფერზე არც ერთი კლუბი არ დაგვკავშირებია. არენდისთვის იმდენად მცირე თანხას ვითხოვთ, რომ თავადაც გაუკვირდა. თუკი მსურველი გამოჩნდება, იაშვილის განათხოვრების წინააღმდეგი არ ვიქნებით.

**- რუსულმა კლუბმა "დინამოს" ფეხბურთელის ყიდვა რომ მოისურვოს თქვენ რა პოზიციას დაიკავებთ?**

- "დინამო" საქართველოს ნაწილია, ჩვენ ისევე ვართ რუსეთის აგრესიით შეურაცხყოფილი და დაზარალებული, როგორც ნებისმიერი ქართველი. დღეს არც ერთ რუსულ საფეხბურთო კლუბთან ურთიერთობის სურვილი არ გაგვაჩნია.

ვფიქრობ, რომ თანამეგობრობის თასზე მონაწილეობას არ მივიღებთ. მომავალში როგორი იქნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ამას ჯერ ქვეყანა გადაწყვეტს, მერე საფეხბურთო სამყარო.

**- რუსეთის აგრესიამ ლეგიონერები გააქცია. გაბონში სანაკრებო თამაშის გამო დარჩენილ ოვონოსა და აკირემის გარდა ყველა ჩამოვიდა. ერთადერთი მილოშ კრშკო არ ჩანს. რატომ?**

- კრშკო სლოვაკეთის მოქალაქეა და ეტყობა, ეს ქვეყანა საკუთარ მოქალაქეებზე განსაკუთრებით ზრუნავს. მილოში დღემდე გამომგზავრების ნებართვას ელოდა. გვეგონა, რომ 1 სექტემბერს ჩამოვიდოდა, მაგრამ... საქართველოს პარლამენტმა საომარი მდგომარეობა გააუქმა თუ არა, კრშკომ დაგვირეკა და ავიარეისზე ბილეთის დაჯავშნა გვთხოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატის წინ. ამხანაგური მატჩი

# მეზობლები ფრეზე გაიყარნენ

**ბორჯომი–მესხეთი 1:1**

0:1 გონჩაროვი (60. პენ.), 1:1 გოგოლაძე (75)

ბორჯომი: შეყილაძე, ქაჩქუზაშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ვაჩიბერაძე, გ. ნოზაძე, ავალიანი, ლომიძე, კიკნაძე, დევიძე, კეკოშვილი.

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* გოგიჩაიშვილი, ბაქარაძე, გოგოლაძე.

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლეკიშვილი, თედიაშვილი, მ. თაყაძე, გოჩაშვილი, მემარნიშვილი, გონჩაროვი, ახალაია.

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, ვაშაკიძე, სუდაძე, ინასარიძე, ბეჟანიძე, კ. ხანიშვილი.*

ჩემპიონატის დაწყებამდე მეზობლებმა, „ბორჯომმა" და „მესხეთმა" ამხანაგური მატჩი გამართეს. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ამ შეხვედრაში ორივე გუნდმა ახალი ფეხბურთელი გამოცადა. **კობა თედიაშვილის** გუნდმა **გოგა სუხიაშვილის** კრებულზე უკეთ ითამაშა, მაგრამ ახალციხელებმა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და ფრეს დასჯერდნენ. ანგარიში პენალტით გაიხსნა. **ზაზა ლაცაბიძემ ლადო ახალაია** საჯარიმოში წააქცია, თერთმეტმეტრიანი კი **ბორის გონჩაროვმა** გაიტანა. გოლიდან 15 წუთში შეცვლაზე შესულმა **ნოდარ გოგოლაძემ** წონასწორობა აღადგინა და ანგარიშიც აღარ შეცვლილა.

*„ახალი სეზონისთვის მზადება გვიან დავიწყეთ. მერე ომის გამო გავჩერდით და აგვისტოში თითქმის არ გვივარჯიშია. ომის დაწყებამდე 4-5 წვრთნა ჩავატარეთ. ეგ იყო და ეგ. ფაქტობრივად ხელახლა დავიწყეთ მზადება. არა და ერთ კვირაში უკვე ჩემპიონატის პირველი მატჩი გვაქვს. ახალ სეზონს გუნდი მოუმზადებელი ხვდება. სხვა გზა არ გვაქვს, გუნდი ჩემპიონატის მატჩებით შევა ფორმაში და ოქტომბერში უკვე ნორმალურად ვიქნებით. მანამდე კი ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ქულები ავიღოთ"*, - გვითხრა „მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა.

*„ჩვენ გვიან შევუდექით მზადებას. გუნდის დაკომპლექტებას და ახალი ფეხბურთელების გასინჯვას ახლაც ვაგრძელებთ. „მესხეთთან" კიდევ გვექნება ამხანაგური მატჩი. ორივე გუნდი ერთნაირ მდგომარეობაში ვართ და ეს საკონტროლო შეხვედრები ორივეს წაგვადგება"*, - აღნიშნა გოგა სუხიაშვილმა.

**დავით ცაბაძე**

ტაიმ აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

# ფეხბურთიადა წლების მიხედვით

დასაწყისი ლელო, №88

**1950 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი იუგოსლავებმა მასპინძლების, ბრაზილიელების წინააღმდეგ პირველიდან ბოლო წუთამდე 10 კაცით ჩაატარეს და წააგეს. საქმე კი ასეთნაირად განვითარდა: მოედანზე გასვლისას იუგების ფორვარდ **მიტიჩს** გვირაბში ფეხი დაუცდა, წაიქცა და თავი გაიტეხა. ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს თამაში. მოქმედი წესების თანახმად კი, განაცხადის ხელმოწერის შემდეგ მოთამაშეთა შეცვლა აღარ შეიძლებოდა. რას იზამ, კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია!

**კაცობრიობის** ისტორიაში, თეატრში დადგმული ვერც ერთი ტრაგედია ემოციურობით ვერ შეედრება იმას, რაც მოხდა 1950 წელს მარაკანას სტადიონზე, როდესაც მასპინძლები (რომელთაც ფრეც ჰყოფნიდათ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ურუგვაელებთან დამარცხდნენ. 204 ათასი კაცი გაუნძრევლად და მდუმარედ იჯდა ტრიბუნებზე რამდენიმე საათი.

**მარიო ამერიკო,** ბრაზილიელთა ლეგენდარული მასაჟისტი, მსოფლიოს 7 (!!!) ჩემპიონატის მონაწილეა. მან ორჯერ გაიტაცა ფინალური მატჩის ბურთი. 1958 წელს ფრანგ **მორის გიგს** გამოგლიჯა ხელიდან ბურთი, ხოლო 1962-ში რუს **ნიკოლოზ ლატიშევს**. ამის შემდეგ ჩემპიონატების საფინალო სასტვენს ყველაზე მომზადებული... პოლიციელები ხვდებიან.

**1962 წლის** ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატის დროს საბჭოელებმა ურუგვაელთა კარში ბურთი გაიტანეს. გუნდის კაპიტანი **იგორ ჩისლენკო** მსაჯთან მიიჭრა და გოლი გააუქმებინა. საქმე ის იყო, რომ ურუგვაელთა კარის გვერდითი ბადე გახეული აღმოჩნდა და „გოლიც" იქიდან გავიდა. მალადეც, იგორ! ამ ჩემპიონატს „გახეული ბადეების" ჩემპიონატი შეარქვეს, რადგანაც სხვა შეხვედრებშიც ბევრი ბადე უვარგისი ყოფილა.

**ინგლისელი** ფორვარდი **ჯიმი გრივსი** კარგი მომთვინიერებელიც გამოდგა. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში (ბრაზილია-ინგლისი) მოედანზე შავი ძაღლი გამოვარდა. დაუპატიჟებელი სტუმარი ვერ შეიპყრეს ვერც ბრიტანელთა გოლკიპერმა **რონ სპრინჯეტმა**, ვერც გენიოსმა **გარინჩამ** და ვერც სტადიონის მომსახურე პერსონალმა. ჯიმი კი შემდეგნაირად მოიქცა - თავად ოთხზე დაეშვა და ძაღლი განასახიერა. ცხოველი დაიბნა და სანამ აკვირდებოდა „კოლეგას", მის მიერვე შეპყრობილ იქნა. ტრიბუნებმა „სპეცოპერაციის" გმირი ოვაციით დააჯილდოვეს.

**60-იანი** წლების ფიფას გამოკვლევები: მეკარე მატჩის დროს საშუალოდ 18 წუთს დარბის, მცველი 21-22 წუთს, თავდამსხმელი 22-24-ს, ნახევარმცველი 29-ს. მსაჯებზე არაფერია ნათქვამი.

**1963 წელს** ფეხბურთის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა ისტორიული მატჩი ინგლისი-დანარჩენი სამყარო. მსოფლიოს ნაკრებში სოცუნგრეთიდან გაქცეული, უნგრეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **ფერეც პუშკაში** თამაშობდა. რუსი კომენტატორი საშინელ დღეში ჩავარდა, მას კატეგორიულად ეკრძალებოდა უნგრელი ვირტუოზის სახელის ხსენება, არადა, ბურთს ძალიან ხშირად სწორედ ის ფლობდა. გამოსავალი სოცრეალიზმის საუკეთესო ტრადიციებში გადაწყდა - „ბურთს მსოფლიოს ნაკრები ფლობსო" ლუღლუღებდა საბჭოთა „ტელევიზიონშიკი".



ქუჩის ფეხბურთი ლონდონში. XIV საუკუნე



ჟიულ რიმეს თასი



ჩინური ბურთაობა. ბრინჯაოს რელიეფი. 960-1279 წლები

**1964 წელს** შვეიცარიის შაიბიანი ჰოკეის ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს... ფიფას მომავალი პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი.**

**სამოციანი წლების** საბერძნეთის ნაკრებში ორი ფორვარდი თამაშობდა: ცენტრფორვარდი **პაპაიოანუ** და მარცხენა გარემარბი **პაპაემანუელი.** საბჭოელებთან ელინების თამაშისას პროგრამაში ეწერა: №9 პაპა იოანუ, №11 პაპა ემანუელი...

**იყო დრო,** რუმინეთის ნაკრები ლამის „ერთგვაროვანი" გახლდათ. მასში **ენეების** აშკარა მოძალება იყო: ენე-1, ენე-2, ენე-3, ენე-IV... განვაგრძოთ?

**1970 წლამდე** მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ შეიძლებოდა მოთამაშეთა შეცვლა. თუმცა გააჩნია ვისთვის! პირველსავე ჩემპიონატზე 1930-ში პერუელებმა რუმინელებთან თამაშისას ახალი მოთამაშე შეაპარეს, ხოლო 1934-ში პარაგვაელებმა ესპანელებთან შესარჩევში 3 (!!!). მაგრამ სამართალმა პური ჭამა - ორივე შემთხვევაში ყალბისმქმნელები დამარცხდნენ.

**70-იანი** წლების „შტუტგარტში" ორი ძმა თამაშობდა - **ბერნდ** და **კარლ-ჰაინც ფორსტები,** რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, რასაც მარჯვედ იყენებდნენ კიდეც. ერთხელ მსაჯმა ყვითელი უჩვენა ბერნდს (ან კარლ-ჰაინცს), მეორედ ყვითლის ჩვენებისას კი ბერნდმა (ან კარლ-ჰაინცმა) თავის მაგივრად ძმა შეაჩეჩა არბიტრს და გაძევებას გადაარჩინა. ხრიკმა გაამართლა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ აფერა გაიხსნა და ორივე დაისაჯა. რას იზამ, გერმანელები სამართლიანი ხალხია!

**1978 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატში გაკეთდა „კონვერტი". ეს ნიშნავს შემდეგს: მატჩში ბრაზილია-პოლონეთი სამხრეთელებმა ბურთი ჯერ ერთ ძელს მოარტყეს, შემდეგ მეორეს, შემდეგ ხარიხას და ამის შემდეგ ყოველივე გოლით დააგვირგვინა „დინამიტმა" **რობერტომ,** რომელმაც კონვერტს შტემპელი დაუსვა!

**ნიკეს სევდიანი ისტორია.** ოქროს ქალღმერთი ოთხმა ბოროტმოქმედმა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შენობიდან 1983 წლის 19 დეკემბერს გაიტაცა. „გამარჯვების ქალღმერთ ნიკესთან ერთად დაიკარგა ფეხბურთის ისტორიის ნათელი ფურცელიც, - " განაცხადა **პელემ.** ბანდიტებს შორის იყო კონფედერაციის თანამშრომელი, ყოფილი დეტექტივი. თასი გადაადნეს და სპეკულანტებს მიჰყიდეს.

**ნიკეს** ისტორიის სხვა ვერსიებიც არსებობს. ბრაზილიელმა მოქანდაკემ **ჟაიმე სამპაიომ** განაცხადა: *„ოქროს ქალღმერთი მხოლოდ ასლია. მე შევისწავლე მეორე მსოფლიო ომამდე და ომისშემდგომი თასის სურათები და მათში ბევრი განსხვავება აღმოვაჩინე ჩაცმულობაში, ხელების განლაგებაში. აღსანიშნავია, რომ თასი ორჯერ გაიტაცეს - მეორე მსოფლიო ომის დროს და 1966 წელს ინგლისში, ჩემპიონატის დაწყებამდე 8 დღით ადრე.*

**შვეიცარიის** *1986 წლის რეგიონალლიგის მატჩის დაწყებისთანავე ერთი გუნდის მცველმა მოწინააღმდეგის თავდამსხმელი მოცელა და უმალ ყვითელი ბარათი დაიმსახურა. „რატომ წითელი არა?!" - იღრიალა დამრღვევმა. „ინებეთ". მიუგო მსაჯმა და წითელი „აუნთო", - ყოველივე 15 წამში მოხდა. ეს მსოფლიოს რეკორდია!*

**სირცხვილი** ჭამეს იტალიის ქალაქ ვერონის ხელმძღვანელებმა, როდესაც დააპირეს 1938 წლის გმირის, თანაქალაქელი მეკარის **ალდო ოლივიერის** უკვდავყოფა და სტადიონისთვის მისი სახელის შერქმევა. ცერემონიისთვის უკვე ყველაფერი იყო მზად, როდესაც გამოირკვა, რომ... 86 წლის ვეტერანი ცოცხალია! ლეგენდარულმა გოლკიპერმა განაცხადა: *„მე ფრიად მოხარული ვარ, რომ ჩემი პერსონის მიმართ ასეთი ყურადღება გამოიჩინეს, მაგრამ ჯერჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ".*

**რა არ მოხვედრიათ** თავში საცოდავ მსაჯებს, განსაკუთრებით გვერდითებს. მაგალითად, 1996 წელს მონტევიდეოში ლაინსმენს „პენიაროლ"-"დანუბლოს" მატჩის დროს თავში მოტოციკლეტის ჩაფხუტი სდრუზეს. ძლივს მოასულიერეს საცოდავი.

**საზარელი** რამ მოხდა 70-იანი წლების მექსიკაში. მსაჯზე გაბრაზებული ფეხბურთელი გასახდელში გაიქცა, იქიდან იარაღით დაბრუნდა და მატჩის არბიტრი... სიცოცხლეს გამოასალმა. სხვათა შორის, მატჩი საწვრთნელი იყო...

**2006 წლის** ბელარუსის ჩემპიონატის მატჩისას ერთ-ერთი გუნდი უმწვრთნელოდ თამაშობდა. რატომ? იმიტომ, რომ კოლექტივის თავკაცი ამ დროს გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის ტელეტრანსლაციას უყურებდა!

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის კრიტიკის ობიექტი ახალი ბუცები გახდა. მათ „კონსტრუქციას" ბევრი სახიფათოს უწოდებდა (გავიხსენოთ ოუენის სრულიად აუხსნელი ტრავმა). ზოგიც ამბობს, მოცეკვავეს წაღები ცეკვისას არ უნდა უშლიდესო...

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, საფინალო მატჩის ჩატარების ადგილის - ბერლინის ოლიმპიური სტადიონის მინდვრის საფარი გაქრა. ის 60 000 ნაჭრად დაანაწევრეს და გაყიდეს სუვენირებად. სტადიონს 1936 წლის ოლიმპიადის შემდეგ ბევრი ვინმე და ბევრი რამ უნახავს, მაგრამ ასეთი - არასდროს.

**შვედეთის** პირველობის მატჩში („ლინდჰოლმი"-"ლინდენი") პირველ ტაიმში ხუთი ბურთი... გასკდა, მეორეში მათ მეექვსეც მიემატა და თამაშიც შეწყდა. სტადიონზე ბურთების მარაგი დამთავრდა. ერთი გუნდის კაპიტანმა სადღაც ახალი ბურთი იშოვნა და მატჩი განახლდა.

**2002 წლის** 22 მარტს ჩემპიონთა ლიგის მატჩზე სათამაშოდ ინგლისელი არისტოკრატების გუნდი „ჩელსი" მოედანზე ისე გამოვიდა, რომ მის შემადგენლობაში ბრიტანეთის გვირგვინის არც ერთი (!!!) ქვეშევრდომი არ იყო. მისი უდიდებულესობა ედუარდ III კმაყოფილი დარჩებოდა: დაე, ფუქსავატური და უსარგებლო თამაშით უცხოელები გაერთონ!

*გაგრძელება იქნება*

**ალექსანდრე ჯინორია**

## ვიქტორინა

### თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

**1. რომელ წელს აეკრძალა მეკარეს ხელით ბურთის შეხება?**

ა - 1866 წელს

ბ - 1869 წელს

გ - 1896 წელს

**2. მეკარისთვის როდის აღადგინეს ბურთზე ხელით შეხების ერთხელ უკვე აკრძალული წესი?**

ა - 1871 წელს

ბ — 1874 წელს

გ - 1898 წელს

**3. რომელ წელს მიეცა უფლება საფეხბურთო გუნდის მეკარეს, ეთამაშა განსხვავებული ფერის ფორმით?**

ა - 1902 წელს

ბ - 1906 წელს

გ - 1909 წელს

**4. რომელ წელს გამოვიდნენ საფეხბურთო გუნდები პირველად სათამაშოდ დანომრილი მაისურებით?**

ა - 1933 წელს

ბ - 1936 წელს

გ - 1939 წელს

**5. რომელ წელს გაუკეთეს პირველად საფეხბურთო კარს ბადე?**

ა - 1886 წელს

ბ - 1891 წელს

გ - 1894 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-გ, 4-ა, 5-გ.

## კვიმატი ოგიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტოქე. იტალია

# საქართველოდან საქართველომდე

## იტალიაში ემზადებიან და ლეგიონერებს ითვლიან

დღეს იტალიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს შესარჩევ ეტაპს კვიპროსთან გასვლითი მატჩით გახსნის. აღნიშნულ შეხვედრას აპენინებზე უდიდესი ყურადღება ეთმობა, მთელი გუნდი და განსაკუთრებით მთავარი მწვრთნელი **მარჩელო ლიპი** გამადიდებელი შუშის ქვეშ არიან მოქცეულნი.

კოვერჩიანოს ბაზაზე დონ მარჩელოს რამდენიმე თეორიული შეხვედრა ჰქონდა შეგირდებთან, თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გუშინ, დილის წვრთნის შემდეგ ლიპიმ კვლავ იხმო თავისთან ფეხბურთელები და საათზე მეტხანს ესაუბრა. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, ნაკრების მწვრთნელმა სამატჩო მონახაზი გააცნო ფეხბურთელებს და კონკრეტულად ახსნა თუ რას ითხოვდა თითოეული მათგანისგან.

ლიპის ვარჯიშებიდან ვრწმუნდებით, რომ სკუადრა პროგნოზირებული 4-3-3 ტაქტიკით ითამაშებს: კარში **ბუფონი** ჩადგება, დაცვის ფლანგებზე **ძამბროტა** და **გროსო** გაირჯებიან, ცენტრში კი **კანავარო - გამბერინის** დუეტი იმოქმედებს. როგორც გუშინ ვივარაუდეთ, საყრდენ ნახევარმცველად **პირლო** დადგება, მარცხნივ **დე როსი**, ხოლო მარჯვენივ **ჯენარო გატუზო**. შეტევაში ტრიო იმოქმედებს: **მაურო კამორანეზი, ლუკა ტონი** და **ანტონიო დი ნატალე**.

თუმცა, ეს ჯერ მაინც ვარაუდებია. ვარჯიშების თვითმხილველი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ წვრთნებზე საუკეთესო **ალბერტო ჯილარდინოა**, არ არის გამორიცხული უკანასკნელ წამს მარჩელო ლიპი სწორედ მას ენდოს და ცენტრფორვარდად დააყენოს. სხვებისგან ანტონიო დი ნატალეც გამოირჩევა, აშკარად კარგ ფორმაშია და ეს სერია ა-ს პირველ ტურში შესრულებულ დუბლშიც აისახა. სხვათა შორის, დი ნატალემ იტალიელ ჟურნალისტთან მოახლოებულ შეხვედრებზე ისაუბრა და ჩვენთვის მეტად საინტერესო კომენტარი გააკეთა: *„ევრო 2008 და ესპანეთთან გაცუდებული თერთმეტმეტრიანი დავიწყებულია, ჩვენ ახალი ციკლისთვის ვემზადებით და ახალ მიზნებს ვისახავთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ლიპი უახლოეს ორ მატჩში ძირითადში მათამაშებს. კვიპროსთან შესარჩევს ვხსნით და კარგი სტარტის აღება აუცილებელია, საქართველოსთან კი დამატებითი მოტივაციით ვითამაშებ, შეხვედრა ხომ მშობლიურ უდინეში, „ფრიულის" სტადიონზე გაიმართება„.*

საქართველოს თემამ იტალიურ პრესაში სხვა ასპექტშიც გაიჟღერა. როგორც გითხარით, ამ დღეებში აძურა მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და აპენინელი ჟურნალისტებიც ეროვნულ გუნდს ყველა პროფილიდან აფასებენ.

მეტად საინტერესო სტატია გამოქვეყნდა „გაძეტა დელო სპორტში" - ცნობილი ჟურნალისტი **მაურიციო ნიჩიტა** ეროვნულ გუნდში მომრავლებულ ლეგიონერებზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ აძურაში უპრეცენდენტოდ ბევრი ფეხბურთელია უცხოური კლუბებიდან გამოძახებული. მაურიციო ისტორიას ჩაეძია და 1997 წლის 10 სექტემბერს მიადგა - ამ დღეს **ჩეზარე მალდინის** დამოძღვრილი აძურა თბილისში საქართველოს ნაკრებს ეპაექრა, იტალიელთა უმთავრეს გუნდში კი ხუთმა ლეგიონერმა იასპარეზა. აი მათი ჩამონათვალიც: **ატილიო ლომბარდო** (კრისტალ პალასი), **ჯანფარნკო ძოლა, რობერტო დი მატეო** (ორივე ჩელსი), **კრისტიან ვიერი** (მადრიდის ატლეტიკო), **კრისტიან პანუჩი** (მადრიდის რეალი). საგულისხმოა, რომ იტალია-საქართველოს მოახლოებული შეხვედრაც სწორედ 10 სექტემბერს იმართება. აპენინელი ჟურნალისტი ამ დამთხვევამ ხუმრობის ხასიათზე დააყენა და თანამემამულეებს კონცენტრაციისკენ მოუწოდა, მაშინ ქართველებმა ორი ქულა დაგვაკარგვინეს და მუნდიალის მაგივრად პლეიოფის საგზური გამოგვიწერესო. ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ 11 წლის წინ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გამართული შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა.




ბოლოსთვის მარჩელო ლიპის კომენტარსაც გავეცნოთ, მაესტრო საბრძოლო განწყობაზეა და ამას არც პრესასთან საუბარში მალავს: *„ორივე მეტოქეს დიდ პატივს ვცემ და კარგად ვიცი, რომ მათთან სრული კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ. მართალია, კვიპროსზე ოლიმპიკოს დარ სტადიონზე არ მოგვიწევს თამაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი ქომაგები გულმხურვალედ დაუჭერენ მხარს თანამემამულეებს და სირთულეებსაც შეგვიქმნიან. მიუხედავად ამისა, ერთადერთი მიზანი სამი ქულის აღებაა, შესარჩევი ციკლი კარგად უნდა დავიწყოთ და შევახსენოთ ყველას რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ".*

# იტალია სერიოზული დანაკლისის გარეშე

რომორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიელებთან პაექრობის შემდეგ იტალიას ეწვევა და სკუადრა აძურას შეეჭიდება. აპენინელები მოახლოებულ ბატალიებს საბრძოლო განწყობით ხვდებიან, თუმცა ჯერ მხოლოდ დღეს გასამართ შეხვედრაზე ფიქრობენ. შეგახსენებთ, რომ აძურა კვიპროსის ეროვნულ გუნდს სტუმრობს. იტალიელები საამატჩოდ კოვერჩიანოზე ემზადებოდნენ, გუშინ დილით კი გეზი კუნძულისკენ აიღეს. გუნდს რომ მეკარე **ამელია** გამოაკლდა, ძველი ამბავია, ხუთშაბათ საღამოს, ვარჯიშის შემდეგ კი **დელ პიეროს** თამაში გახდა საეჭვო. ალექსმა მცირე ტრავმა მიიღო და უმალ მედიკოსთა ხელში გადაინაცვლა. გუშინ დილას, ექიმებს ვერდიქტი უნდა გამოეტანათ, რადგან იტალიური დროით 11:40 საათზე ნაკრები კვიპროსს უნდა გაფრენილიყო. აძურას მთავარი ექიმის, **კასტელაჩის** დასკვნას **მარჩელო ლიპიც** მოუთმენლად ელოდა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დელ პიეროს საქმე დადებითად გადაწყდა და პინტურიჩიო ნაკრებთან ერთად გაემგზავრა. აი, რა განაცხადა კასტელაჩიმ პრესასთან საუბარში: "დელ პიეროს მცირე ტრავმა აქვს, საგანგაშო არაფერია და ის ნაკრებთან ერთად იქნება. ერთი ხანობა ვიფიქრეთ, რომ თავი დაგვეზღვია და ალექსი იტალიაში დაგვეტოვებინა, მაგრამ სიტუაციის კიდევ ერთხელ გაანალიზების შემდეგ, მივხვდით, რომ ამის საჭიროება არ იდგა".

სკუადრა აძურა კვიპროსს ნაშუადღევს ჩაფრინდა და ქალაქ ლარნაკაში დაბანაკდა. ლიპიმ თეორიული მეცადინეობა ჩაატარა, საღამოს კი შეგირდები ანტონის პაპადოპულოსის სახელობის სტადიონზე ავარჯიშა - მატჩი სწორედ აღნიშნულ არენაზე ჩატარდება.

ინტერვიუ ენცო ბეარძოტთან

# ლიპის ძალა გუნდურობაშია



**ენცო ბეარძოტი** იტალიაში დაფასებული კაცია, მან 1982 წელს სკუადრა აძურას მესამეჯერ მოაგებინა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, რას ნიშნავს პრესის უმოწყალო კრიტიკა და ხშირად აღნიშნავს, რომ იყო იტალიის ეროვნული გუნდის თავკაცი, ურთულესი საქმეა. დონ ენცოს აზრს აპენინებზე უდიდეს პატივს სცემენ და ჟურნალისტებიც ხშირად ეხმიანებიან. ერთ-ერთ ასეთ ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- რას ფიქრობთ ლიპის დაბრუნებაზე?**

- მარჩელოს დაბრუნებამ ძალიან გამახარა. ვხედავ, როგორ მუშაობს, ისეთივე ენთუზიაზმით არის აღსავსე, როგორც უწინ და ეს წარმატების მთავარი საწინდარი იქნება. იმ მოსაზრებას კი არ ვეთანხმები, რომ ერთ მდინარეში მეორეჯერ არ უნდა შეცურო.

**- ამას წინათ, დონადონიმ განაცხადა, რომ წარმატების მისაღწევად გულშემატკივრის, საზოგადოების მხარდაჭერა დააკლდა?**

- გარკვეულწილად ვეთანხმები. მეტიც, მას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაც არ ენდობოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დონადონის მოსახსნელად მიზეზი სჭირდებოდათ. ასე მუშაობა ძალიან რთულია. შეიძლება ექსპერტს, გულშემატკივარს ყურადღება არ მიაქციო, მაგრამ ხელმძღვანელობის მხარდაჭერა აუცილებელია.

**- რას ფიქრობთ დონადონიზე, როგორ დაახასიათებდით მას?**

- რობერტო სერიოზული ბიჭია და ეს ძალიან მომწონს. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და ემოციებს არასდროს არ ყვება. ბევრი რამე ფორტუნაზეც არის დამოკიდებული, ესპანელებთან თერთმეტმეტრიანების სერიაში რომ გაგვმართლებოდა, დღეს მასზე სულ სხვაგვარად ილაპარაკებდნენ.

**- მაინც რაშია ლიპის ძალა, რა განასხვავებს მას სხვა მწვრთნელებისგან?**

- მისი ძალა გუნდურ ხედვაშია. ის არ გამოარჩევს ცალკეულ ფეხბურთელებს, არ აგებს მათზე ტაქტიკურ მონახაზს, თუმცა კარგად ესმის თითოეული მათგანის ფასი და იცის, როგორ გამოიყენოს ისინი. 2006 წელს იტალიის ნაკრებში არაერთი მსოფლიოს კლასის ფეხბურთელი თამაშობდა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ერთი თამაში მაინც რომელიმე კონკრეტულმა ფეხბურთელმა მოიგო. ლიპი გუნდის დაყენების დიდოსტატია, ეს კი მისი წარმატების მთავარი საიდუმლოა.

**- ბევრს მიაჩნია, რომ ლიპიმ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ნაკრების გაახალგაზრდავების, თაობათა ცვლის პროცესი, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ლიპი თავის ჩემპიონებს დაეყრდნობა და ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს. რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობას ვერც მე ვხედავ, რადგან მუნდიალის ტრიუმფატორი შემადგენლობიდან უმეტესობა კვლავაც შესანიშნავ ფორმაშია. სხვა საქმეა ის, რომ იტალიაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია და მათი ეროვნულში ინტეგრირება თანმიმდევრულად უნდა მოხდეს.

**- წარმოიდგინეთ, რომ ლიპის ადგილზე ხართ, რა ტაქტიკურ მონახაზს მოარგებთ ეროვნულ ნაკრებს?**

- ლიპისგან განსხვავებით ორი გამოკვეთილი ფორვარდისკენ გადავიხრებოდი. ჩემი აზრით, იტალიას მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელები ყავს და მათ ხშირად სათანადოდ ვერ ვიყენებთ. ძალიან საინტერესოდ მეჩვენება ტონი-ჯილარდინოს დუეტი, მათ ბეტეგა-როსის შევადარებდი. თავდამსხელთა უკან პლეიმეიქერის გამწესებაც შეიძლება, რადგან დღეს ამ მხრივაც გვაქვს არჩევანი.

**- და მომავალში რა იქნება, როგორი თაობა მოდის იტალიაში?**

- შესანიშნავი. ბალოტელი ავიღოთ, ძალიან საინტერესო და პერსპექტიული ფეხბურთელია. ფიზიკურად ძლიერია და ამავდროულად, ტექნიკური. მომწონს პაცინი, ფლორენციელი გოლზეა დაგეშილი და მოედანზე სწრაფად გადაადგილდება - რატომ არ შეიძლება მომავალში მათი სუპერ დუეტი ვიხილოთ ნაკრებში? ოდნავ უკნიდან კი ჯოვინკომ ითამაშოს, მისი დარი ტალანტი ცოტა თუ მინახია. ან შეხედეთ მონტოლივოს, ნამდვილი ფანტაზისტაა, მოედნის დიდებული ხედვა და პასის მაღალი კულტურა აქვს.

**- ისინი უკვე მზად არიან ეროვნული გუნდისთვის?**

- მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ითამაშონ, რომ აძურაში დაიმკვიდრონ ადგილი. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყურადღებით ვაკვირდები, მთავარია თავში არ აუვარდეთ წარმატება და შრომა გააგრძელონ. თუ ჩათვლიან, რომ რაღაცას უკვე მიაღწიეს, იქ დასრულდება თითოეული მათგანის პროგრესი. ამ საქმეში მწვრთნელის როლი განუზომელია, მათ შეუძლიათ ნიჭიერი მოთამაშე დიდ ფეხბურთელად აქციონ, ან პირიქით, დაასრულებინონ კარიერა.

**- დელ პიერო უკვე წარსულია?**

- სანამ ალექსი მოქმედი ფეხბურთელია, ამის თქმა არაფრის დიდებით არ შეიძლება. დელ პიერო დიდი მოთამაშეა და მისგან სარგებელს ყოველთვის ნახავ. ის სერიოზულია, ზემოთაც აღვნიშნე, რომ ამას ძალიან ვაფასებ. ლიპის მისი იმედი აქვს და ვფიქრობ, არც ალექსი შეირცხვენს თავს.

**- კასანოზე რას გვეტყვით?**

- ყველაფერი ანტონიოზეა დამოკიდებული. თავშივე ვთქვი, რომ ლიპის უპირველესი ამოცანა გუნდური სულისკვეთების დამკვიდრებაა. მის გუნდში თითქოს არც არავინ გამოირჩევა, მაგრამ ამავდროულად ყველა გამორჩეულია. მარჩელო კასანოში იმ საფრთხეს ხედავს, რომელიც შეიძლება ამ ერთიანობას დაემუქროს. თუ სამპდორიელის თამაში სტაბილური გახდება, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა, მას მეტი შანსი ექნება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ტურნირი. ევროპა

**I ჯგუფი**

პორტუგალია, შვედეთი, დანია, უნგრეთი, ალბანეთი, მალტა

**6 სექტემბერი**

**უნგრეთი-დანია**
**მალტა-პორტუგალია**
**ალბანეთი-შვედეთი**

**II ჯგუფი**

საბერძნეთი, ისრაელი, შვეიცარია, მოლდოვა, ლატვია, ლუქსემბურგი

**6 სექტემბერი**

**მოლდოვა-ლატვია**
**ისრაელი-შვეიცარია**
**ლუქსემბურგი-საბერძნეთი**

**III ჯგუფი**

ჩეხეთი, პოლონეთი, ჩრდ. ირლანდია, სლოვაკეთი, სლოვენია, სან მარინო

**6 სექტემბერი**

**პოლონეთი-სლოვენია**
**სლოვაკეთი-ჩრ. ირლანდია**

**IV ჯგუფი**

გერმანია, რუსეთი, ფინეთი, უელსი, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი

**6 სექტემბერი**

**უელსი-აზერბაიჯანი**
**ლიხტენშტაინი-გერმანია**

**V ჯგუფი**

ესპანეთი, თურქეთი, ბელგია, ბოსნია, ესტონეთი, სომხეთი

**6 სექტემბერი**

**სომხეთი-თურქეთი**
**ბელგია-ესტონეთი**
**ესპანეთი-ბოსნია**

**VI ჯგუფი**

ხორვატია, ინგლისი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, ანდორა

**6 სექტემბერი**

**უკრაინა-ბელარუსი**
**ანდორა-ინგლისი**
**ხორვატია-ყაზახეთი**

**VII ჯური**

საფრანგეთი, რუმინეთი, სერბეთი, ავსტრია, ლიტვა, ფარერები

**6 სექტემბერი**

**რუმინეთი-ლიტვა**
**სერბეთი-ფარერები**
**ავსტრია-საფრანგეთი**

**VIII ჯგუფი**

იტალია, ირლანდია, ბულგარეთი, კვიპროსი, საქართველო, ჩერნოგორია

**6 სექტემბერი**

**საქართველო-ირლანდია**
**ჩერნოგორია-ბულგარეთი**
**კვიპროსი-იტალია**

**IX ჯგუფი**

ჰოლანდია, ნორვეგია, შოტლანდია, მაკედონია, ისლანდია

**6 სექტემბერი**

**მაკედონია-შოტლანდია**
**ნორვეგია-ისლანდია**

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ტურნირი. ევროპა. დღევანდელი მატჩების წინ

# გზად აფრიკისკენ


დელ ბოსკეს პირველი ვარჯიში

**მართალია, მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის ევროზონაში ერთი მატჩი უკვე ჩატარებულია, მაგრამ ამ მარათონის ნამდვილი სტარტი დღეს არის. სწორედ დღეიდან შეუდგება ტიტულის დაცვისთვის ბრძოლას მსოფლიოს ჩემპიონი იტალია, დღეიდან გაუყვება სამხრეთ აფრიკის გზას ევროპის ტრიუმფატორი ესპანეთი, დღეიდან უნდა დაიწყოს რეაბილიტაციისთვის ზრუნვა ინგლისის ნაკრებმა, რომელსაც ახლა ფაბიო კაპელო წვრთნის და მასზე კოლოსალურ იმედებს ამყარებენ...**

**მოკლედ, უამრავი საინტერესო ბატალია გველის. პირველი ტურის წინასამატჩოსთვის ძირითადად გრანდების სამზარეულოში შევიხედავთ, თუმც არც სხვა სერიოზულ გუნდებს დავტოვებთ უყურადღებოდ...**

## ესპანეთი-ბოსნია

ევროპის ჩემპიონი მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ეტაპს საშინაო მატჩით იწყებს. ესპანელები მურსიაში ბოსნიას მასპინძლობენ. გასაკვირი არ არის, რომ დღეს პირენეელებს გულშემატკივარი სხვა თვალით უყურებს. 44-წლიანი პაუზის შემდეგ, **ლუის არაგონესის** მეთაურობით, ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ეს იყო ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული გამარჯვებული. ესპანელებმა ერთგვარად შეცვალეს თანამედროვე ფეხბურთის სტანდარტები, როცა ავსტრია/შვეიცარიის სტადიონებზე შემტევი, სანახაობრივი თამაშის ნათელი ნიმუში გვიჩვენეს. რა თქმა უნდა, ამ გუნდის საერთო ნიჭიერებასთან ერთად, ეს პირველ რიგში არაგონესის დამსახურება იყო, იმ არაგონესის, რომელსაც ევროპის ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე რამდენჯერმე უპირებდნენ გადაყენებას. მაგრამ მოხუცი ლუისი ჯიუტად მიიწევდა ტრიუმფისკენ...

და ეს ტრიუმფი შედგა. ახლა ესპანური ხომალდის შტურვალი არაგონესზე არანაკლებ კოლორიტული **ვისენტე დელ ბოსკეს** ხელშია. შეიძლება ითქვას, დელ ბოსკეზე ესპანელები უფრო მეტ იმედს ამყარებენ. მისმა დანიშვნამ მთელი ესპანეთი ალაფრთოვანა. დელ ბოსკეს დებიუტი 20 აგვისტოს, დანიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩში შედგა. ესპანელებმა სერიოზულ მეტოქეს საოცრად იოლად (3:0) სძლიეს. ეს იმის ნიშანია, რომ ევროპის ჩემპიონი ძველებურ ფორმაშია.

დელ ბოსკე პირველ ოფიციალურ მატჩს პრობლემებით ხვდება. ტრავმირებულია **ფერნანდო ტორესი,** რომლის ნაცვლად მწვრთნელმა ბარსელონელი ტალანტი **ბოიან კრკიჩი** გამოიძახა. დაშავდა „ვალენსიის“ ნახევარმცველი **დავიდ სილვაც**. ამდენად, დელ ბოსკეს ესპანელთა ტრადიციულ სასტარტო შემადგენლობაში კორექტივების შეტანა მოუწევს. სავარაუდოდ, 18 წლის კრკიჩი ძირითადში არ იქნება, სამაგიეროდ, თერთმეტეულში ვიხილავთ სევილიელ **დიეგო კაპელს**, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მან დანიასთან უკვე ითამაშა და საუკეთესო შთაბეჭდილებაც დატოვა. ისე კი, უცნაურია, რომ დელ ბოსკე 4-1-4-1 სქემით აპირებს თამაშს. უცნაურობა აქ ერთ თავდამსხმელშია. ეს თავდამსხმელი, რა თქმა უნდა, **დავიდ ვილია** იქნება. მაგრამ ეული ფორვარდი იერიშებზე უარის თქმას როდი ნიშნავს. შეტევის ხაზის კომპენსირებას მწვრთნელი მობილური შუა ხაზით აპირებს. ვილიაზე ოთხი ნახევარმცველი იმუშავებს.

საევროპო შემადგენლობიდან ესპანელებს არ ეყოლებათ მცველი **კარლოს მარჩენაც**. დელ ბოსკემ არჩევანი **რაულ ალბიოლზე** გააკეთა. შუა ხაზში კი სილვას **სანტი კასორლა** შეცვლის. აქვე შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ კასორლას „რეალი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ „ვილიარეალმა“ ნიჭიერი ნახევარმცველი, როგორც იტყვიან, კბილებით შეინარჩუნა.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციოში ესპანეთმა ბოსნიასთან ორივე მატჩი ფრედ (და ორივე 1:1) ითამაშა. დღეს ბალკანურ ნაკრებს გამოცდილი **მიროსლავ ბლაჟევიჩი** წვრთნის. ეს ის ბლაჟევიჩია, რომელმაც 1998 წელს ხორვატიას ფრანგული მუნდიალის ბრინჯაო მოუტანა. მურსიულ მატჩში ბოსნიელებს კაპიტანი და ცენტრალური მცველი **ემირ სპაჰიჩი** არ ეყოლებათ.

*„ჩემი ფეხბურთელების შემართებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონებს ვეთამაშებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვაქვს შანსი, რომ შაბათს სასურველ შედეგს მივაღწიოთ“* - დაიქადნა ბლაჟევიჩმა ესპანურ ტელეარხთან ინტერვიუში.

### სავარაუდო შემადგენლობა

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, პუიოლი, ალბიოლი, კაპდევილია, კასორლა, ჩავი, სენა (ან ჩაბი ალონსო), ინიესტა, კაპელი, ვილია.

## ანდორა-ინგლისი

ინგლისის ნაკრებს გამადიდებელი შუშის ქვეშ უყურებენ. მას მერე, რაც ალბიონურმა ნაკრებმა წინა საკვალიფიკაციო ეტაპი ჩააგდო და ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, გუნდში მწვრთნელი შეიცვალა. **სტივ მაკლარენის** ნაცვლად საჭე ლეგენდარულმა იტალიელმა მაესტრომ **ფაბიო კაპელომ** ჩაიბარა. სამწვრთნელო ცვლილებას ინგლისელები უყურებენ როგორც გზას, რომელმაც მათი ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულამდე უნდა მიიყვანოს. დიახ, ეს არის მათი ამბიცია და ვფიქრობთ, საფუძვლიანიც. კაპელო გამარჯვებული მწვრთნელია. საკლუბო დონეზე მისი მონაგარი შთამბეჭდავია, მაგრამ მოგეხსენებათ, სანაკრებო ასპარეზი სულ სხვაა. განსაკუთრებული გამოწვევაა თავად ინგლისში მუშაობაც. ამდენად, იტალიელის ბრიტანული თავგადასავალი საინტერესოც იქნება და ხიფათიანიც. ცხადია, სასწორზე დევს პირადად კაპელოს პრესტიჟიც.

მისი მეთაურობით ინგლისის ნაკრებმა სამი მატჩი მოიგო, ერთში დამარცხდა და ერთიც ფრედ ითამაშა. ეს ფრე (2:2) იყო სულ ახლახან, ჩეხეთთან საშინაო სპარინგ-მატჩში, როცა ინგლისელები წაგებას ბოლო წუთებში **ჯო კოულის** გოლის წყალობით გადაურჩნენ. პირდაპირ ვთქვათ, რომ კაპელოს მოღვაწეობით ინგლისში აღფრთოვანებული არავინაა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება. ფაბიო ის მწვრთნელია, რომელიც ყველა ქარტეხილს უძლებს და, ალბათ, ამასაც გაუძლებს.

ამას წინათ ერთ-ერთი ინგლისელი ექსპერტი წერდა: იტალიელი მწვრთნელის მოვალეობა არა მარტო შედეგის უზრუნველყოფა, არამედ სანახაობრივი ფეხბურთიცააო. მაგრამ ბავშვმაც კი იცის, რომ კაპელოს გუნდები სანახაობით არასოდეს გამოირჩეოდნენ. ეს არ არის კაპელოსეული ფილოსოფიის ქვაკუთხედი. ის პრაგმატული ფეხბურთის მიმდევარია. მაგრამ ვეჭვობთ, ეს ყბადაღებული სანახაობა ვინმეს გაახსენდეს, თუ დონ ფაბიოს მოღვაწეობა შედეგებს მოიტანს.

რაკი სანახაობა ვახსენეთ, დღევანდელი მატჩის წინ უნდა გავიხსენოთ წინა შესარჩევიც, 2007 წლის მარტი, როცა ბარსელონის ოლიმპიურ სტადიონზე ინგლისმა ანდორას 3:0 მოუგო. უნდა გავიხსენოთ ისიც, თუ როგორი ობსტრუქცია მოუწყვეს ბრიტანელებს საკუთარმა ფანებმა, როცა პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 0:0 იყო. მართალია, **სტივენ ჯერარდმა** („ლივერპულის“ კაპიტანი დღევანდელ მატჩს გამოტოვებს) მეორე ტაიმის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე და მესამე გოლები ინგლისელებმა თამაშის მიწურულს გაიტანეს. ვფიქრობთ, იმავე ანდორასთან მატჩის წინ კაპელომ მაკლარენის გაკვეთილებსაც უნდა გადახედოს. დიახ, შეიძლება 3:0 მოიგო, მაგრამ მაყურებელმა მაინც გისტვინოს. ეს, რაც შეეხება სანახაობას.

ახლა წინასამატჩო სიტუაციაზე. კაპელო გააკრიტიკეს იმის გამო, რომ უახლოესი ორი მატჩისთვის ნაკრებში მხოლოდ ოთხი ფორვარდი მიიწვია - **ემილ ჰესკი, ჯერმეინ დეფო, თეო უოლკოტი** და **უეინ რუნი**. შინ დარჩა **მაიკლ ოუენი**, რომელმაც პრემიერლიგის სამ ტურში 2 გოლი გაიტანა, ხოლო მთლიანად მისი მონაგარი 89 მატჩი და 40 გოლია.


ფაბიო კაპელოს შეგონებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, ანდორის ნაკრების წინააღმდეგ კაპელოს ექსპერიმენტების უფლება აქვს. ეს ხომ ის ნაკრებია, რომელმაც წინა შესარჩევში ყველა (12) მატჩი წააგო, გაიტანა მხოლოდ 2 გოლი და გაუშვა 42. თუ რას წარმოადგენს ახლანდელი ანდორა, ეს გამოჩნდა 20 აგვისტოსაც, როცა ჯგუფის პირველ მატჩში ყაზახეთთან სტუმრად 0:3 დამარცხდა.

ანდორაზე გაცილებით მნიშვნელოვანი მატჩი ინგლისელებს ოთხშაბათს ელოდება. ისინი ზაგრებში იმ ხორვატიას ხვდებიან, რომელმაც წინა შესარჩევში „უემბლიზე" გამარჯვებით (3:2) ბრიტანული გრანდი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა.

### სავარაუდო შემადგენლობა

**ინგლისი**: ჯეიმსი, ე. კოული, ფერდინანდი, ტერი, ბრაუნი, ბერი, ლემპარდი, ჯ. კოული, ბექჰემი, რუნი, ჰესკი.

## ლიხტენშტაინი-გერმანია

თუ სასწაული არ მოხდა, გერმანიის ნაკრებს ლიხტენშტაინში გასეირნება მოუწევს. ეს კი არა, ბუნდესგუნდისგან, სულ მცირე, სან მარინოს (13:0 წინა შესარჩევში) გამეორებას, თუ არა, გაუმჯობესებას ითხოვენ. რა თქმა უნდა, ევროპის ვიცე-ჩემპიონი მოიგებს, მაგრამ ლიხტენშტაინთან ამგვარ კლოუნადას არ უნდა ველოდოთ. ეს ნაკრები სან მარინოს გაცილებით სჯობია და ვინძლო, ბუნდესგუნდი ბევრიც ანერვიულოს. არ დაგვავიწყდეს მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ციკლი, როცა ამ ჯუჯა საჰერცოგოს ნაკრებმა კინაღამ პორტუგალია დაამარცხა (2:2).

გერმანიის ნაკრების ლიდერები **მიხაელ ბალაკი** და **ტორსტენ ფრინგსი** ტრავმირებულები არიან და დღევანდელ მატჩში ვერ ითამაშებენ. პრინციპში, **იოახიმ ლიოვს** ლიხტენშტაინისთვის ისინი არც სჭირდება, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ბალაკი და ფრინგსი არ იქნებიან ჰელსინკიშიც, სადაც ბუნდესგუნდს 10 სექტემბერს ფინეთთან უწევს თამაში.

მათ არყოფნაში ლიოვს ნახევარდაცვის ლიდერად **ბასტიან შვაინშტაიგერი** წარმოუდგენია. „შვაინი" ევროპის ჩემპიონატის წინ ფორმაში არ იყო და ეროვნული გუნდის ძირითადში ადგილიც დაკარგა, თუმცა ავსტრია/გერმანიაში მან შესანიშნავად ითამაშა და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის სტატუსი დაიბრუნა. ახლა, ორი წამყვანი მოთამაშის არყოფნაში, შვაინშტაიგერს განსაკუთრებული მისია აკისრია. მასთან ერთად, შუა ხაზის საქმეების მოგვარება **სიმონ როლფესსა** და **თომას ჰიტცლშპერგერსაც** დაევალებათ.

გარდა ხსენებული დეუტისა, ლიოვს არც დაცვის ცენტრის რეგულარული ფიგურა **პერ მერტეზაკერი** ეყოლება. მის ნაცვლად მწვრთნელმა აქცენტი შტუტგარტელ **სერდარ ტასკიზე** გააკეთა.

### სავარაუდო შემადგენლობა

**გერმანია**: ენკე, ფრიტცი, ტასკი, მეტცელდერი, ლამი, შვაინშტაიგერი, როლფესი, ჰიტცლშპერგერი, პოდოლსკი, კლოზე, გომესი.

## ავსტრია-საფრანგეთი

საფრანგეთის ნაკრებისთვის ახალი შესარჩევი ციკლის დასაწყისი ახალი გუნდის მშენებლობასთანაა დაკავშირებული. პოსტზე სასწაულით შერჩენილი **რაიმონ დომენეკი** მორიგ გამოწვევას სიფრთხილითა და იმედით ელოდება. მან იცის, რომ ავსტრიის ნაკრები, რომელსაც ჩეხების ყოფილი დამრიგებელი **კარელ ბრიუკნერი** ჩაუდგა სათავეში, ხელწამოსაკრავი აღარ იქნება. მან ეს 20 აგვისტოს დაამტკიცა, როცა **მარჩელო ლიპის** იტალიური დებიუტი ჩაუშხამა (2:2). დომენეკი მეტოქეში ფიზიკურ ძალას აფასებს. თუმცა დარწმუნებულია, რომ ახალი საფრანგეთიც საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ თაობათა ცვლის პროცესი უმტკივნეულოდ გადაიტანოს.

მოსიე რაიმონს ყველა რგოლში ახალი ფიგურა ჰყავს. მეკარე **გრეგორი კუპეს** „მარსელის" კიპერი **სტივ მანდანდა** შეცვლის, **ლილიან ტურამს** „რომას" მცველი **ფილიპ მექსე**, მარჯვენა მცველ **ვილი სანიოლს** არსენალელი **ბაკარი სანია**... დომენეკი ფიქრობს, რომ **ლასანა დიარას** სახით ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა **კლოდ მაკელელესაც**. შეტევითი ოპციონი **ტიერი ანრითა** და **ქარიმ ბენზემათი** განისაზღვრება. მარცხენა გარემარბად ჩვეულებრივ **ფლორან მალუდა** იქნება.

დომენეკს პრობლემები აქვს წამყვან მოთამაშეთა ტრავმების გამოც. მოგეხსენებათ, **პატრიკ ვიეირა** და **ფრანკ რიბერი** ტრავმირებულები არიან. რიბერის ფუნქციას **სამირ ნასრი** იკისრებს. ვიეირას ადგილს კი **ჟერემი ტულალანი** დაიკავებს. მოკლედ, საფრანგეთი თითქმის თავიდან იქმნება და ეს, თავისთავად, უკვე არის ერთი დიდი პრობლემა, რაც დომენეკმა უნდა დაძლიოს. ხოლო დაძლევს თუ არა, ეს შესარჩევი ციკლის ბოლოს გამოჩნდება, შეიძლება, მანამდეც.

რაც შეეხება ავსტრიის ნაკრებს, აქ ერთადერთი საკადრო სიახლე ისაა, რომ ბრიუკნერმა თითქმის სამწლიანი პაუზის შემდეგ დააბრუნა **პაულ შარნერი**, რომელიც ნაკრებიდან 2006 წელს დაითხოვეს მაშინდელი მწვრთნელის **იოზეფ ჰიკერსბერგერის** საჯარო შეურაცხყოფის გამო.

### სავარაუდო შემადგენლობა

**ავსტრია**: მანინგერი, დარიჩი, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეცი, შარნერი, შტანდფესტი, ზოიმელი, ივანშიტცი, ფუხსი, იანკო.

**საფრანგეთი**: მანდანდა, სანია, მექსე, გალასი, ევრა, გოვუ, ტულალანი, დიარა, მალუდა, ანრი, ბენზემა.

---

სამხრეთ ამერიკა

# ბურთის კონტროლი და სასტიკი ნნეხი

## ბიელსას სპეცგეგმა ბრაზილიისთვის და პარაგვაული ნავსი



აქვს კი დუნგას სასაცილოდ საქმე?

## არგენტინა-პარაგვაი

დასავლეთ ნახევარსფეროში დიდი მატჩია. ბუენოს აირესში არგენტინის ნაკრები სამხრეთამერიკული ზონის ლიდერ პარაგვაის ხვდება. ცოტა ყურს კი ეხამუშება, რომ ლიდერი პარაგვაია და არა არგენტინა ან ბრაზილია. რას ვიზამთ, დრონი იცვლებიან. პარაგვაის მართლა ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ არ გვგონია, **ხერარდო მარტინოს** გუნდმა სათავეში ბოლომდე გაძლოს. არგენტინა და ბრაზილია უთუოდ მოუმატებენ. არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ თამაშების მესამედია ჩატარებული...

მოკლედ, ბუენოს აირესი. არგენტინის ნაკრებისთვის გამარჯვების მოტივატორი სამი მთავარი მიზეზია. პირველი ის, რომ „ალბისელესტეს" უკვე 35 წელია, პარაგვაისთვის საკუთარ მოედანზე არ მოუგია. მეორე, რომ ბოლო ორი მატჩი (ეკვადორსა და ბრაზილიასთან) ფრედ ითამაშა, და მესამეც: ნავსის გატეხის შემთხვევაში, ლიდერი ხდება.

**ალბიო ბასილემ** დღესდღეობით უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა. მარტო შეტევის ხაზი რად ღირს - **ხუან რომან რიკელმე, ლიონელ მესი** და **კარლოს ტევესი**. ძველი სახეების გარდა, აქ არიან პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონები - მეკარე **სერხიო რომერო** და მეტად საინტერესო ნახევარმცველი **ანხელ დი მარია**. ბასილემ გამოიძახა ბრწყინვალე ფორმაში მყოფი **ანდრეს დ'ალესანდროც**. თუმცა არის სიურპრიზებიც, ნახევარმცველ **ხონას გუტიერესისა** („ნიუკასლი") და ფორვარდ **ხერმან დენისის** („ნაპოლი") სახით.

თუმცა ბასილე ვერც პრობლემებს ასცდა. პეკინის ოლიმპიადაზე ტრავმა მიიღო მეორე მეკარე **ოსკარ უსტარიმ**, ასევე გამოტოვებენ თამაშს ცენტრალური მცველები - ბარსელონელი **გაბრიელ მილიტო** და ინტერელი **ნიკოლას ბურდისო**. ბასილე დაცვის ცენტრს **მარტინ დემიკელისითა** („ბაიერნი") და **ფაბრიციო კოლოჩინით** („ნიუკასლი") დააკომპლექტებს. საყრდენი ნახევარმცველი **ფერნანდო გაგო** კი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის.

ბასილეს ვიზავის **ხერარდო მარტინოს** გაცილებით მეტი საფიქრალი აქვს. როგორი ამბავია **როკე სანტა კრუსის** არყოფნა? არადა, დიდი შანსია, რომ ექსბაიერნელმა ტრავმის გამო მართლაც ვერ ითამაშოს. ანალოგიური პრობლემა აქვს ფორვარდ **სალვადორ კაბანიასაც**. ითამაშებს თუ არა ეს წყვილი, გუშინ გვიან ღამემდე ცნობილი არ იყო...

## ჩილე-ბრაზილია

ბრაზილიის ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს სანტიაგოში, სატურნირო მეზობელ ჩილესთან. **კარლოს დუნგას** აუცილებლად სჭირდება გამარჯვება, თორემ წაგების შემთხვევაში, დიდია შანსი, უმუშევარი დარჩეს. მას ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწევს ოლიმპიადის ნახევარფინალში არგენტინასთან განცდილი მარცხი (0:3). ახლა, თუ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევშიც ჩაფლავდა, სამხრეთ აფრიკისკენ მიმავალ გზას სერიოზულად გაირთულებს. ვერ დავიჯერებთ, რომ „სელესაო" ფინალურ ეტაპზე ვერ გავა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, დასავჯერებელიც არაფერი იქნება და „პენტაკამპეონებს" რეალობისთვის თვალის გასწორება მოუწევთ. ბოლო ორ მატჩში დუნგას გუნდს გოლი არ გაუტანია. მათ ჯერ პარაგვაიში წააგეს (0:2), მერე კი უგოლო ფრე ითამაშეს ისტორიულ მტერ არგენტინასთან. ამას დავამატოთ ივნისის მარცხი ვენესუელასთან ამხანაგურ მატჩში.

დუნგას მთავარი პრობლემა ნაოპერაციები **კაკას** არყოფნა იქნება. ძირითადში იქნება **რონალდინიო**, რომელიც ფორმაში არ არის, თუმც ბრაზილიელთა დამრიგებელს სხვა გზა არ აქვს. შეგახსენებთ, რომ რონალდინიომ ნაკრებში ბოლოს გასული წლის ნოემბერში, ურუგვაის წინააღმდეგ (2:1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ) ითამაშა. ალბათ, ძირითადში ვიხილავთ **რობინიოსაც**. საქმე ისაა, რომ ბოლო „კოპა ამერიკაზე" მას ჩილესთვის ორ მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი. ბუნებრივია, დუნგა ამ სახის ფსიქოლოგიურ შეტევაზე უარს არ იტყვის.

ჩილეში **მარსელო ბიელსას** დანიშვნა იქაურ ფეხბურთში ტრანსფორმაციის დასაწყისად მიიჩნევა. სპეციალისტთა აზრით, „ლა როხა" დღეს გაცილებით სოლიდური და შეკრული გუნდია. ბიელსას ბრაზილიისთვის სპეცგეგმა უკვე მოხაზული აქვს - ბურთის კონტროლი და სასტიკი წნეხი. ჩილეს ნაკრებმა ბოლო ორი შესარჩევი მატჩი მოიგო, მაგრამ დღეს ბრაზილიასთან ძალიან გაუჭირდება...

## კოლუმბია-ურუგვაი

გუშინ ცნობილი გახდა ურუგვაის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა, რომელიც მწვრთნელმა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** კოლუმბიასთან მატჩისთვის შეარჩია. აი, ეს თერთმეტეულიც: **ხუან კასტილიო, ბრუნო სილვა, დიეგო ლუგანო, დიეგო გოდინი, ხორხე ფუჩილე, მასიმილიანო პერეირა, ვალტერ გარგანო, სებასტიან ეგურენი, კრისტიან როდრიგესი, ლუის სუარესი, დიეგო ფორლანი.**

გვერდები მოამზადა
გიორგი გელაშვილმა



ბიელსა ჩილეს ბრაზილიის დასამარცხებლად ამზადებს

---

სამხრეთ ამერიკა

| I ტური | |
|---|---|
| კოლუმბია-ბრაზილია | 0:0 |
| პერუ-პარაგვაი | 0:0 |
| ეკვადორი-ვენესუელა | 0:1 |
| არგენტინა-ჩილე | 2:0 |
| ურუგვაი-ბოლივია | 5:0 |
| **II ტური** | |
| ბრაზილია-ეკვადორი | 5:0 |
| პარაგვაიურუგვაი | 1:0 |
| ჩილე-პერუ | 2:0 |
| ბოლივია-კოლუმბია | 0:0 |
| ვენესუელა-არგენტინა | 0:2 |
| **III ტური** | |
| პერუ-ბრაზილია | 1:1 |
| ურუგვაი-ჩილე | 2:2 |
| პარაგვაი-ეკვადორი | 5:1 |
| კოლუმბია-ვენესუელა | 1:0 |
| არგენტინა-ბოლივია | 3:0 |
| **IV ტური** | |
| ჩილე-პარაგვაი | 0:3 |
| ბრაზილია-ურუგვაი | 2:1 |
| ეკვადორი-პერუ | 5:1 |
| კოლუმბია-არგენტინა | 2:1 |
| ვენესუელა-ბოლივია | 5:3 |
| **V ტური** | |
| ბოლივია-ჩილე | 0:2 |
| არგენტინა-ეკვადორი | 1:1 |
| პარაგვაი-ბრაზილია | 2:0 |
| პერუ-კოლუმბია | 1:1 |
| ურუგვაი-ვენესუელა | 1:1 |
| **VI ტური** | |
| ვენესუელა-ჩილე | 2:3 |
| ბრაზილია-არგენტინა | 0:0 |
| ეკვადორი-კოლუმბია | 0:0 |
| ბოლივია-პარაგვაი | 4:2 |
| ურუგვაი-პერუ | 6:0 |

**VII ტური. 6 სექტემბერი**

არგენტინა-პარაგვაი
ეკვადორი-ბოლივია
კოლუმბია-ურუგვაი
პერუ-ვენესუელა
ჩილე-ბრაზილია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 2. არგენტინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-3 | 11 |
| 3. კოლუმბია | 6 | 2 | 4 | 0 | 4-2 | 10 |
| 4. ჩილე | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 5. ბრაზილია | 6 | 2 | 3 | 1 | 8-4 | 9 |
| 6. ურუგვაი | 6 | 2 | 2 | 2 | 15-6 | 8 |
| 7. ვენესუელა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-10 | 7 |
| 8. ეკვადორი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-13 | 5 |
| 9. ბოლივია | 6 | 1 | 1 | 4 | 7-17 | 4 |
| 10. პერუ | 6 | 0 | 3 | 3 | 3-15 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორიენტესის ბოლო სეზონი მესტალიაზე

"ვალენსიის" ფორვარდმა **ფერნანდო მორიენტესმა** განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს "მესტალიის" დატოვებას აპირებს. პრიმერა დივიზიონიდან წავა თუ ესპანეთშივე დარჩება, მას ჯერ არ გადაუწყვეტია: *"დიდი ალბათობით შემიძლია განვაცხადო, რომ "ვალენსიაში" ბოლო სეზონი დავიწყე. ჩვენს გუნდში ესპანეთის ორი საუკეთესო ფორვარდი ირიცხება, მათი თამაში სასიცოცხლოდ აუცილებელია. ვგულისხმობ დავიდ ვილიასა და ხუან მატას"*. ფერნანდოს "ვალენსიის" დატოვების შანსი გასულ ზაფხულზეც ჰქონდა, მაგრამ მან არ ისურვა "გალათასარაის" წინადადების სერიოზულად განხილვაც კი.

**დავიდ ვილიამ** მცირე კომენტარის გაკეთება ისურვა **რობინიოს** ტრანსფერთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ის აღშფოთებულია ბრაზილიელის საქციელით. *"ასე არავითარ შემთხვევაში არ მოვიქცეოდი. დიახ, ჩემზე დიდი მოთხოვნა იყო მთელი ზაფხული და მეც მიფიქრია, რა მოხდებოდა, თუკი "ვალენსია" "რეალში" გამიშვებდა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა, მაგრამ წამითაც არ გამივლია გონებაში, რომ კლუბი დამეშანტაჟებინა. პირიქით, დიდი სიამოვნებით გავაგრძელე კონტრაქტი. რობინიომ ამ ნაბიჯით დაადასტურა, რომ იოტისოდენი პატივისცემაც კი არ ჰქონია იმ კლუბის მიმართ, სადაც ამდენი ხნის განმავლობაში თამაშობდა... ერთიცაა, რომ წარმოდგენა არ მაქვს წვრილმანებზე და შეიძლება ამის გამო ვაკეთებ ამ განცხადებას."*

## კონკურენცია იზრდება

"ჩელსის" მეკარე **პეტრ ჩეხის** განცხადებით, ის პრემიერლიგაში კონკურენციის არნახულად ზრდას ელის, ამიტომ ჩემპიონობის მოპოვებისთვის მის გუნდს ყოველ მატჩში მაქსიმალური კონცენტრაცია მართებს. *"ნახეთ, რამხელა თანხები დახარჯეს გუნდებმა და არამხოლოდ ლიდერებმა? დარწმუნებული ვარ, წელს ყველა ფრონტზე ისეთი არანორმალური კონკურენცია გველის, როგორც არასდროს."* ჩეხი ორიოდე სიტყვით ჩემპიონთა ლიგის გათამაშებასაც შეეხო და იმედი გამოთქვა, რომ მისი გუნდი ჯგუფური რაუნდიდან ულაპარაკოდ გავა, შემდეგ კი ხსენებული ტიტულის მოსაგებადაც იბრძოლებს.

## ბენიტესი გულშემატკივრებს აფრთხილებს

*„მესმის, რომ "ენფილდ როუდის" მკვიდრი ფანები მოლოდინით არიან აღსავსენი. ბოლოს და ბოლოს, მათ ჩემპიონობის მოპოვება სურთ. დიახ, ჩვენ ყოველ წელს ვხარჯავთ ფულს გუნდის გასაძლიერებლად, ფანები კი მიიჩნევენ, რომ ეს სრულიად საკმარისი უნდა იყოს საჩემპიონოდ. მედალს მეორე მხრეც აქვს. დააკვირდით, რამდენ ფულს ხარჯავენ იმავე მიზნით "მანჩესტერ იუნაიტედი", "მანჩესტერ სიტი", "ჩელსი", "ტოტენჰემი", "ასტონ ვილა"... რა მძლავრი შემადგენლობა ჰყავს "არსენალს", რომელიც წლიდან წლამდე მდიდრდება. მოვუწოდებ გულშემატკივარს, ნუ შეიქმნიან ილუზიებს იმით, რომ მარტო თავდამსხმელებში ბოლო ორ წელიწადში 40 მილიონი გირვანქა დავხარჯეთ. "იუნაიტედს" ხანდახან სკამზე ის ფეხბურთელები უზის, რომელთა სატრანსფერო ღირებულება 60-70 მილიონს აჭარბებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვთხოვ ფანებს, ჩვენზე ზეწოლა ცოტა შეარბილონ. მათი მხარდაჭერა ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება"* - განაცხადა ბრიტანულ პრესასთან საუბარში **რაფაელ ბენიტესმა.**

ამ დღეებში ისრაელის პრესაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის "სპარტაკი" "ლივერპულის" ნახევარმცველის **იოსი ბენაიუნის** ყიდვას ცდილობდა, რაზეც რუსებს მერსისაიდელებმა თავაზიანი უარი შეუთვალეს. გარდა სოლიდური საკომპენსაციო თანხისა (10 მილიონ ევრომდე), მოსკოველები მზად იყვნენ, ფეხბურთელისთვის ბევრად მაღალი ანაზღაურება დაენიშნათ, ვიდრე ის "ენფილდზე" ახლა გამოიმუშავებს. ბენაიუნის შეძენას "სპარტაკის" გარდა რამდენიმე კვირის წინ "მანჩესტერ სიტიც" ცდილობდა.

## ნიუკასლი ძიებას შეუდგა

მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან **კევინ კიგანი** გადადგა "ნიუკასლის" ბოსები ბოლო 4 წელიწადში უკვე მეექვსედ შეუდგნენ ახალი თავკაცის ძიებას. ამ პოსტზე "ევერტონის" თავკაცი **დევიდ მოიესი** და "იუვესა" და "მონაკოს" ექსმწვრთნელი **დიდიე დეშამი** განიხილებიან. იანვარში **სემ ელერდაისის** გუნდიდან გაშვების შემდეგ მოიესი უკვე განიხილებოდა ერთ-ერთ კანდიდატურად. ამჟამად 39 წლის ფრანგი უმუშევარია, ის ალბათ ადვილად დათანხმდება "კაჭკაჭების" წინადადებას. დეშამი ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიძლება პირველი არაბრიტანელი გახდეს, რომელიც ამ კლუბს ჩაიბარებს. უკანასკნელი უცხოელი, ვინც "სენტ ჯეიმსზე" მუშაობდა, **რუუდ გულიტი** იყო. რაც შეეხება შოტლანდიელ მოიესს, მისი კონტრაქტი "ევერტონთან" 2009 წლის ივნისში იწურება და დიდად საეჭვოა, ლივერპულელებმა თანხმობა განაცხადონ მის გაშვებაზე.




დიდიე დეშამი



რობინიო

რეალი

# კალდერონმა მეექვსე ბრაზილიელი გაასხვისა

## ამასობაში ის ესპანელ ახალგაზრდებზე ზრუნავს

მას მერე, რაც მადრიდის "რეალში" **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** მოვიდნენ, გუნდმა ორიენტაცია შეიცვალა და ბრაზილიური ლეგიონის ნაცვლად გუნდში ჰოლანდიურმა იძალა. ახალ პრეზიდენტს მადრიდში ხუთი ბრაზილიელი დახვდა, ამას გარდა, **ფაბიო კაპელოს** თხოვნით გუნდმა კიდევ ორი დაიმატა - **ემერსონი** და **მარსელო.** რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, 2 წლისა და 1 თვის თავზე მიატოვიჩს უმრავლეს მათგანთან განშორებამ მოუწია - გუნდში მხოლოდ ზემოხსენებული მარსელო რჩება. პირველი, ვისთან განშორებაც ხელმძღვანელობამ იოლად გადაწყვიტა, **რონალდო** გახლდათ. ფაქტია, რომ გადაწყვეტილებამ აშკარად გაამართლა. **რუუდ ვან ნისტელროიმ** იოლად მოახერხა მისი შეცვლა. თანაც "ფენომენი" პროფესიონალ ფეხბურთელზე მეტად სულ უფრო ემსგავსებოდა სუმოისტს და გუნდის იმიჯზე ეს დადებითად სულაც არ მოქმედებდა. რონალდოს გარეშე გუნდმა დიდი ხნის შესვენების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა, რამაც ფეხბურთელებს თავდაჯერება დაუბრუნა. "მილანმა" გამოუსადეგარ ფეხბურთელში რატომღაც 8 მილიონი ევრო გადაიხადა.

2007 წლის გაზაფხულზე გუნდში კაპელოს ადგილას **ბერნდ შუსტერი** მოვიდა. გუნდიდან წასვლის სურვილი საჯაროდ დაადასტურა ლეგენდარულმა **რობერტო კარლოსმა.** "რეალის" ისტორიაში საუკეთესო მარცხენა მცველმა გადაწყვეტილება გუნდის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებზე შეუთანხმებლობით ახსნა. ცნობილი იყო, რომ მასა და მიატოვიჩს შორის იდეალური ურთიერთობა არასდროს ყოფილა, მაგრამ მათი პირადი პრობლემები თუ გუნდის ცხოვრებაზე ასეთ გავლენას იქონიებდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. ამავე ზაფხულს "ბერნაბეუ" დატოვეს ემერსონმა და **სისინიომ**.

ბრაზილიის ნაკრების ექსკაპიტანი ემერსონი "კაპელოს კაცი" იყო. როგორც მასზე იტალიაში ხუმრობდნენ, მას ძალიან უჭირდა გუნდის შეყვარება, შესაბამისი გრძნობებით თამაში თანაგუნდელებთან ერთად საყვარელი მწვრთნელის გარეშე. "იუვენტუსმა" ემერსონის გაყიდვისთვის 11 მილიონი ევრო მიიღო. ერთი წლის შემდეგ კი მისი ფასი უკვე განახევრებული გახლდათ, "რეალმა" ნახევარმცველი 5,5 მილიონად გაყიდა. ემერსონთან განშორება გულშემატკივრებს არ გასჭირვებიათ. ანდა რატომ უნდა დასწყვეტოდათ გული, როცა ფეხბურთელმა მათთან ერთი წელი გაატარა და ისიც საშინელ დონეზე. სატრანსფერო კამპანიის ბოლო კვირაში კალდერონმა სისინიოც დაითხოვა, ეს 24 აგვისტოს მოხდა. "რომამ" ფეხბურთელში 9 მილიონის გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. წინადადება ხელმძღვანელებმა ჭოჭმანის გარეშე მიიღეს. საინტერესოა, რომ სისინიოს გაყიდვის მეორე დღეს მადრიდში "არსენალში" ერთწლიანი არენდის შემდეგ **ჟულიო ბაპტიშტა** დაბრუნდა. მართალია, მან სეზონის განმავლობაში თავი დიდად ვერ გამოიჩინა, მაგრამ "კამპ ნოუზე" "ბარსასთვის" გადამწყვეტი გოლის გატანით დროებით ინჩასების გმირი გახდა.

2008 წლის ზაფხულში "რეალის" ბრაზილიური დიასპორა საბოლოოდ დაიშალა. "რომამ" "ბერნაბეუდან" მეორე ფეხბურთელი წაიყვანა ისევ 9 მილიონ ევროდ – ეჭვი არავის ეპარება, რომ ჟულიო ბაპტიშტა "სტადიო ოლიმპიკოზე" ბევრად უფრო დაფასებული ფეხბურთელი გახდება. უკანასკნელი ბრაზილიელი, ვინც მადრიდი დატოვა, **რობინიო** იყო. ფეხბურთელში "მანჩესტერ სიტიმ" 42 მილიონი ევრო გადაიხადა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ "რეალმა" ბრაზილიელების გაყიდვით 71,5 მილიონი ევრო იშოვა, რაც ბევრად მეტია მათზე დახარჯულ თანხაზე.

რობინიოს მადრიდიდან გაქცევის მეორე დღეს "რეალში" ცხოვრებამ ჩვეულ კალაპოტში დინება განაგრძო. მიატოვიჩს უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია: იზრუნოს იმ ფეხბურთელებზე, რომელთაც "რეალიდან" წასვლა აზრადაც არ მოსვლიათ და პირიქით, ყველაფერს აკეთებენ, გუნდის ხელმძღვანელობას თავი რომ მოაწონონ. სერბმა მთელ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს, რომ **ბერნდ შუსტერის** პროექტი აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება. ამ მიზნის მისაღევად კი აუცილებელია, გუნდისთვის ისეთ მნიშვნელოვან ფიგურაზე ზრუნვა, როგორიც, მაგალითად, **სერხიო რამოსია**. მიატოვიჩს განზრახული აქვს, ფეხბურთელს ე.წ. სამუდამო კონტრაქტი შესთავაზოს. გარდა სერხიოსი, გუნდში უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელთაც რამდენიმე წელიწადში ზურგზე ისეთი სიმძიმე უნდა იტვირთონ, როგორიც "რეალია": **სნეიდერი, რობენი, ვან დერ ვაარტი, პეპე, იგუაინი, გაგო,** მარსელო, **ჩავი გარსია, ტორესი, დე ლა რედი, კასილიასი** და **გარაი,** რომელიც გუნდს მომავალ წელს შეუერთდება.

ანდალუსიელი მცველი აკმაყოფილებს კალდერონისა და მიატოვიჩის მიერ რჩეული ფეხბურთელებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს: გააჩნია ლიდერის თვისებები, კლუბისადმი ერთგულია და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს როგორც მინდორზე, ისე მის მიღმა. სამუდამო კონტრაქტების გაფორმების შანსი აქვთ რუუდ ვან ნისტელროის, რაულს, გუტისა და კასილიასს. ამ უკანასკნელს 2011 წელს კაპიტნის სამკლაურიც ჩაბარდება, მას შემდეგ, რაც კარიერას რაული დაასრულებს.

2005 წელს, 19 წლის ასაკში სერხიო რამოსი "სევილიიდან" "რეალში" 27 მილიონად გადავიდა. მაშინ ძალიან ბევრს ეს თანხა გაბერილად მოეჩვენა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ "რეალში" და მათი პოზიცია გამართლებული რომ აღმოჩნდა, დრომ დაადასტურა. დღეს სერხიო ულაპარაკოდ ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მცველად. დროდადრო "რეალის" ბოსები მომხიბვლელ წინადადებებს იღებდნენ ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით. თუმცა რომელი ჭკუათმყოფელი ფუნქციონერი გაუშვებს ამ ფეხბურთელს საკუთარი ნებით სხვა გუნდში? არც თავად ფეხბურთელს გამოუთქვამს ოდესმე სურვილი, სხვაგან სათამაშოდ გადასულიყო. პირიქით, რამდენიმე თვის წინ მან "რეალთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გაახანგრძლივა (ანაზღაურება 3 მილიონი ევრო). ახლა კი შანსი აქვს, გარიგება კარიერის ბოლომდე გააგრძელოს. აი, რა განაცხადა მიატოვიჩმა კალდერონისგან მოლაპარაკებებზე ნებართვის მიღების შემდეგ: *"ჩვენ სერხიოსთან 9 ან 10-წლიანი კონტრაქტის გაფორმებას ვგეგმავთ. ამით გვინდა დავარწმუნოთ, რომ მშვიდად შეუძლია "ბერნაბეუზე" კარიერის დასრულება. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ მისი სახით არატიპურ მცველს ვიბევებთ. 2005 წლიდან დღემდე მან "რეალში" 136 შეხვედრაში 19 გოლის გატანა შეძლო. დამეთანხმებით, არაჩვეულებრივი შედეგია. თუნდაც ამის გამო ღირს ყველაფრის გაკეთება ფეხბურთელის გუნდში სამუდამოდ დასატოვებლად."* მოლაპარაკებებს სერხიოს მხრიდან მისი ძმა და აგენტი **რენე რამოსი** უძღვება.

გუშინ საღამოს რამონ კალდერონის კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა ესპანური პრესის საშუალებით, სადაც ნათქვამია, რომ არ არის გამორიცხული, ზამთრის პაუზისას "რეალმა" რობინიოს ადგილზე ფორვარდი შეიძინოს. შუსტერის განკარგულებაში "მხოლოდ" ვან ნისტელროი, რაული, **იგუაინი** და **სავიოლა** რჩებიან. ეტყობა, 2 ადგილზე 4 თავდამსხმელი "საკმარისი" არ გახლავთ.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ რენე ადლერთან

# ბრძოლისთვის მზად ვარ!

## ის გერმანიის ახალი კანი უნდა გახდეს


ეროვნული ბიბლიოთეკა
[illegible] გერმანიის [illegible] ზნებს

ოლივერ კანი წავიდა. იენს ლემანმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ფაქტია, გერმანიას ახალი მეკარე სჭირდება. გერმანული სამეკარეო სკოლა ყოველთვის სახელგანთქმული იყო - ალემანი კიპერები იტალიელებთან ერთად, მსოფლიოს ფეხბურთში ყოველთვის გამოირჩეოდნენ. მაშ, ვინ უნდა გახდეს ახალი კანი გერმანიაში? ჯერჯერობით ბუნდესგუნდის თავკაც იოახიმ ლიოვს არ გადაუწყვეტია, ვინ იქნება პირველი მეკარე. მან ნაკრებში კონკურენცია დაანესა და ამ ეტაპზე უპირატესობას ჰანოვერელ რობერტ ენკეს ანიჭებს. მისი უმთავრესი კონკურენტი კი „ლევერკუზენის" ახალგაზრდა კიპერი რენე ადლერია. ბუნდესლიგაში არაერთი ნიჭიერი კიპერი თამაშობს: ენკე, ადლერი, მანუელ ნოიერი (შალკე), ტიმ ვიზე (ვერდერი), რომან ვაიდენფელერი (დორტმუნდი), მიხაელ რენზინგი (ბაიერნი) და ა.შ. ენკე რომ სათვალავიდან ამოვაგდოთ (ფაქტია, რომ გამოცდილების ხარჯზე ჯობს დანარჩენებს), ყველაზე რეალურ კანდიდატებად ნოიერი და ადლერი მიიჩნევიან, რომლებიც ელიტურ ფეხბურთში სულ რაღაც ნელინად-ნახევარია, რაც გამოჩნდნენ. ნოიერს შეუძლია, თამაში მარტომ მოიგოს, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში ისეთი შეცდომა დაუშვას, რომ ყველაფერი წყალში ჩაყაროს. ადლერი კი სტაბილურია. მას დიდი მიზნები აქვს. პირველი მიზანი „ლევერკუზენთან" ერთად ევროტურნირებზე ასპარეზობაა, ამასთან, გერმანიის ნაკრების პირველი გოლკიპერის წოდების მოპოვება და მერე ევროპის რომელიმე სუპერგრანდში გადასვლა. ახლა ტრავმირებულია და ვერც ბუნდესლიგის პირველ ტურებში იასპარეზა და გერმანიის ნაკრებსაც აკლია.

**- ჰერ ადლერ, გულახდილად გვითხარით, რა იგრძენით, როცა შეიტყვეთ, რომ იენს ლემანი სანაკრებო კარიერას ამთავრებდა?**

- ვფიქრობ, იენსმა დიდხანს იფიქრა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მას საკმარისად აქვს იმის გამოცდილება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ შეცდეს. პირადად მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც მოიქცეოდა.

**- სულ ესაა? ნუთუ არ იფიქრეთ, როგორც იქნა, ნაკრების კარისკენ გზა გამეხსნაო?**

- არა, მე ასე არასდროს ვფიქრობ. არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც კონკურენტის წასვლა გაახარებს. კარგად ვიცი, რამდენი იშრომა და ინერვიულა ლემანმა იმისათვის, რომ ბოლოს ბუნდესმეკარე გამხდარიყო და ისიც ვიცი, როგორ უნდოდა, რომ გერმანიის ნაკრების კარის დაცვის ბედნიერება კიდევ რამდენიმე წელს ჰქონოდა. ვეცდები, რომ თავი არ დავზოგო და ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო. სხვა დანარჩენი უკვე ბუნდესმწვრთნელის საქმეა.

**- ლიოვმა თქვენსა და ენკეს შორის კონკურენცია დააწესა. როგორ აფასებთ საკუთარ შანსებს?**

- კონკურენცია მოტივაციას მმატებს. მზად ვარ, ჩემი შანსისთვის ბოლომდე ვიბრძოლო. ვფიქრობ, ეს კონკურენცია არ არის მხოლოდ ჩემსა და ენკეს შორის. ჩვენ კიდევ არაერთი ძალიან კარგი მეკარე გვყავს.

**- შვებულებიდან სპეციალურად ადრე დაბრუნდით იმის გამო, რომ კარგად გევარჯიშათ და ახალი სეზონის სტარტს საუკეთესო ფორმაში შეხვედროდით. მაგრამ მერე ტრავმა მიიღეთ...**

- ცხადია, ამან კინაღამ დეპრესიაში ჩამაგდო, მაგრამ ვერაფერს შევცვლი - რაც მოხდა, მოხდა. ძალიან მეშინოდა, რომ ოპერაცია დამჭირდებოდა და დიდი ხნით მომიწევდა დასვენება, მაგრამ ასე არ მოხდა. მოკლედ, ეს იყო იღბალი უიღბლობაში.

**- ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- საკმაოდ კარგად. გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიდის.

**- მოედანზე როდის დაბრუნდებით? „ჰამბურგთან"?**

- გამორიცხული არ არის, რომ „ჰამბურგთან" დავბრუნდე. ჯერ სრული დატვირთვით ვარჯიშს განვაახლებ, მერე ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში გარისკვას არ ვაპირებ, ასე შეიძლება უფრო ცუდი შედეგი მივიღო.

**- ტრავმის გამო ნაკრებსაც დააკლდით. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი ენკესთან ბრძოლაში ძალიან უკან დაგხევთ?**

- როცა დავბრუნდები, თუკი კარგად ვითამაშებ, მჯერა, რომ ნაკრებში თამაშისა და ჩემი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი აუცილებლად მომეცემა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემი იძულებითი პაუზა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლა ყველაზე მთავარი ის არის, რომ კლუბში დავბრუნდე და ფორმა აღვიდგინო. სხვა დანარჩენი მერე თავისით მოვა.

**- თქვენს გარდა, სავარაუდო კანდიდატებად ვიზე, ვაიდენფელერი და ნოიერი მიიჩნევიან. ისინი ევროტურნირებზე თამაშობენ, თქვენ კი - არა. ეს მათი უპირატესობაა?**

- ასე არ ვფიქრობ. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, „ლევერკუზენი" უეფას თასზე ან ჩემპიონთა ლიგაში რომ თამაშობდეს, მაგრამ არა უშავს, ჩემი შესაძლებლობების დამტკიცება ბუნდესლიგაშიც შემიძლია.

**- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს გერმანიის ნაკრების სრულყოფილი მეკარე?**

- რთული სათქმელია. ამ შემთხვევაში ბევრი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური საკითხია.

**- მაშინ თქვენი უმთავრესი პლუსები ჩამოთვალეთ.**

- მე ვარ მეკარე, რომელსაც მცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. თამაშს ვკითხულობ და სიტუაციების წინასწარ განჭვრეტა შემიძლია. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და რისკზეც მივდივარ ხოლმე, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია. ამასთან, ორივე ფეხით ვთამაშობ, რის გამოც წნეხის ქვეშ არასდროს ვექცევი, როცა პასს მაძლევენ. ამას გარდა, თითოეულ ვარჯიშზეც კი მაქსიმალურად ვიხარჯები.

**- ევროპის ჩემპიონატზე მესამე მეკარე იყავით. ანუ, ისე გამოვიდა, რომ შვებულების ნაცვლად, ვარჯიშობდით. რა გამოცდილება შეგძინათ კონტინენტის პირველობაზე სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ?**

- რას ამბობთ, ეს შესანიშნავი რამ იყო და უდიდესი გამოცდილება შემძინა. ვფიქრობ, რომ ევრო 2008-ს ჩემი პროგრესისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

**- „ლევერკუზენის" სტარტს როგორ შეაფასებდით?**

- ბოლო ორ თამაშში გუნდმა მართლაც ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა, განსაკუთრებით შეტევაში. ჩვენი თავდასხმა შესანიშნავ ფორმაშია. შესაბამისად, „ლევერკუზენის" დამარცხება ძალიან ძნელია. თუმცა „დორტმუნდმა" ეს პირველ ტურში მაინც მოახერხა. ცხადია, უნდა გამოვსწორდეთ და თამაში გავაუმჯობესოთ. ეს უფრო დაცვის ხაზს ეხება. ამისათვის საჭიროა, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა ვარჯიშებზე თავი არ დაზოგოს. ეს ხანგრძლივი პროცესია. შედეგი აუცილებლად იქნება.

**- ხელმძღვანელები ამბობენ, ბრუნო ლაბადია იმისთვის მოვიყვანეთ, რომ გუნდში ახალი ერა დაიწყოსო. რა შეცვალა ლაბადიამ? რას აკეთებს ის ისეთს, რასაც მიხაელ სკიბე არ აკეთებდა?**

- მწვრთნელების შედარება არ მიყვარს. სკიბემ ძალიან კარგად იმუშავა და ყინული ადგილიდან დაძრა. იმედია, ლაბადია მის მიერ დაწყებულ საქმეს წარმატებით გააგრძელებს.

**- ამბობენ, ლაბადია ისეთი მომთხოვნია, რომ ფეხბურთელებს ძალიან ბევრი მათთვის არასასურველი რაღაცების ატანა უწევთ ხოლმეო. როგორი ტიპია ბრუნო?**

- პატივსაცემი პიროვნებაა. მოედანზე და მოედანს მიღმა, დისციპლინასა და წესრიგს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ეს კი უმთავრესი ფაქტორია იმისათვის, რომ მუშაობის პროცესი ოპტიმალურად წარიმართოს.

**- ბერნდ შნაიდერი ტრავმირებულია და მხოლოდ დეკემბერში დაბრუნდება. კარსტენ რამელოვმა და სერგეი ბარბარესმა კარიერა დაასრულეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ „ლევერკუზენს" ევროტურნირების საგზურისთვის საბრძოლველად გამოცდილი ფეხბურთელები აკლია?**

- მართალია, ახალგაზრდა გუნდი გვყავს, მაგრამ გამოუცდელი ფეხბურთელების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. კასტროს, როლფესსა და კისლინგს უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული, ბუნდესლიგაში 100-ზე მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული, რაც უკვე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. კარგია, რომ ახლა მათ აიღეს თავიანთ თავზე პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ „შნიქსი" (შნაიდერის მეტსახელია - გ.ლ) მალე გამოჯანმრთელდება. ბერნდი გუნდს ძალიან აკლია.

**- ზამთარში გუნდი „ბაი-არენიდან" დროებით დიუსელდორფის სტადიონზე გადაინაცვლებს, რადგან თქვენს სტადიონს რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს. ეს როგორ იმოქმედებს გუნდზე?**

- ცხადია, ცუდად, მაგრამ ჩვენი სტადიონის რეკონსტრუქცია, უბრალოდ, აუცილებელია.

**- ნელინად-ნახევარია, სტაბილურად თამაშობთ და უდიდესი პროგრესი განიცადეთ. ამბობენ ხოლმე, ახალგაზრდა მეკარეებს გარკვეულ პერიოდში კრიზისი ეწყებათ ხოლმეო. ხომ არ გეშინიათ?**

- არა მგონია, ეს დაუწერელი კანონი იყოს. ამაზე ფიქრი რომ დავიწყო, მერე კრიზისი მართლა დამეწყება.

**- სხვა ახალგაზრდა მეკარეებისგან განსხვავებით, ძალიან თავდაჯერებული და მშვიდი ხართ. რისი ან ვისი დამსახურებაა ეს?**

- იმის, რომ ფეხბურთის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, თავს არასდროს ვზოგავ და ყოველთვის ვცდილობ, საუკეთესო ვიყო.

**- 15 წლის იყავით, როცა „ლაიპციგიდან" „ლევერკუზენში" გადახვედით. ცნობილია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალში" გეპატიჟებოდნენ. რატომ თქვით უარი ასეთ გრანდებზე და რატომ აირჩიეთ „ლევერკუზენი"?**

- „ბაიერი" იდეალური ვარიანტი იყო. აქ თამაშის პერსპექტივაც მქონდა და თანაც, არ მიმაჩნია სწორად, 20 წლამდე ფეხბურთელები სამშობლოდან რომ გარბიან ხოლმე.

**- თქვენს კონტრაქტს ვადა 2012 წლამდე აქვს. რა მოხდება, თუკი გუნდმა წელსაც ვერ მოიპოვა მინიმუმ უეფას თასის საგზური?**

- ამაზე არ ვფიქრობ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ევროტურნირებზე მოვხვდეთ. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მხოლოდ „ლევერკუზენზე" ვარ კონცენტრირებული.

**- უცხოეთში გადასვლის პერსპექტივა არ გხიბლავთ?**

- ჩემს გეგმაში რომელიმე სუპერგრანდში თამაში ნამდვილად არის. ეს აუცილებელიც კია. მაგრამ ჯერ ადრეა.

**- ამ ზაფხულს ევროპული ტოპკლუბებიდან შემოთავაზებები არ გქონიათ?**

- ასეც რომ იყოს, მე ვერაფერს გავიგებდი. კლუბებმა, პირველ რიგში, „ლევერკუზენს" უნდა მიმართონ, რადგან მე ეს თემა ამ ეტაპზე არ მაინტერესებს, სადაც ვარ, ძალიან კარგად ვარ.

**- თქვენი პოპულარობა დღითი დღე იზრდება. მიუხედავად ამისა, ცაში არ დაფრინავთ. როგორ ახერხებთ ამას?**

- ყველაფერს სალი გონებით ვუყურებ. თავში არაფერი ამივარდება. არასდროს დამავიწყდება, რომ ოდესღაც მეც ვიყავი პატარა და ქუჩაში ვერავინ მცნობდა.

ბაიერნი

# რუმენიგე: დავაბრუნოთ ჰუმელსი!


რუმენიგემ ჰუმელსი გაიხსენა

დორტმუნდის „ბორუსიის" 19 წლის მცველი **მატს ჰუმელსი** შესანიშნავ ფორმაშია და ბუნდესლიგის სამი ტურის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია აალაპარაკა. არადა, ის „ბაიერნის" საკუთრებაა და ვესტფალიურ კლუბში არენდის წესით თამაშობს. შესაბამისად, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები მისით უკვე ძალიან დაინტერესდნენ.

*„აშკარად ეტყობა, რომ უდიდესი პროგრესი განიცადა. მატსი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მინდა, ყველას შევახსენო, რომ ის „ბაიერნის" საკუთრებაა. სეზონის შემდეგ ჰუმელსი ისევ ჩვენთან უნდა დაბრუნდეს,"* - განაცხადა ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

ცხადია, „დორტმუნდის" ბოსებსა და ფანებს ეს პერსპექტივა ძალიან არ ხიბლავთ, მაგრამ ვერაფერს ილონებენ, რადგან ჰუმელსს არენდის ვადა სწორედ ამ სეზონის შემდეგ გასდის, რის შემდეგაც „ბაიერნთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

*„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჰუმელსი შევინარჩუნოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძალიან გაგვიჭირდება,"* - ეს კი „ბორუსიის" სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებია. ფაქტია, რომ მატსის ფასი გაიზარდა და ახლა დაახლოებით 5 მილიონი ევროა. თუ ასე გააგრძელა, სეზონის ბოლოს მისი ფასი, შეიძლება, 10 მილიონიც იყოს.

და რას ამბობს თვითონ ფეხბურთელი? ჰუმელსი: *„ამაზე ჯერ არ მიფიქრია. რუმენიგეს სიტყვები მეც წავიკითხე და არ დაგიმალავთ, ეს ჩემთვის დიდი პატივია. „ბორუსიის" მადლობელი ვარ, აქ თამაშის საშუალება და შესაძლებლობების გამოვლენის შანსი მომეცა. ჯერ არ ვიცი, რა და როგორ იქნება. ამას მომავალი მიჩვენებს."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

კანის გაცილება

# ყველაზე ტიტანური ფოტო

## 2006 წლის მუნდიალი, არგენტინასთან პენალტების სერიის წინ...

**ოლივერ კანის** 21-წლიან ტიტანურ კარიერას რომ გადახედოთ, ასობით უალრესად საინტერესო მომენტს გაიხსენებთ. მისი კარიერის ფოტოები მართლაც შთამბეჭდავია. კანის ფეხბურთი დამთავრდა, მისი ტიტანური ფოტოები კი რჩება. გამოცემა „ბილდმა" გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. ქომაგებს კანის კარიერის საუკეთესო ფოტო უნდა ამოერჩიათ.

გამოკითხულთა 40-მა პროცენტმა იმ ფოტოს მიანიჭა უპირატესობა, სადაც 2006 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში, არგენტინასთან პენალტების სერიის წინ მომხდარი ფაქტია აღბეჭდილი, სადაც ოლი მის კონკურენტ **იენს ლემანს** ხელს ართმევს და თერთმეტმეტრიანების სერიაში წარმატებას უსურვებს. ეს არის ფოტო, სადაც ძალიან კარგად გამოჩნდა ოლის ადამიანობა, მისი პიროვნება - ფოტო, რომელმაც გულშემატკივრებს გულისცემა აუჩქარა.

მეორე ადგილზე გავიდა ფოტო, სადაც კანი დორტმუნდის „ბორუსიის" შვეიცარიელ ფორვარდ **სტეფან შაპუიზას** კუნგ-ფუს ილეთს უტარებს, მესამეზე კი 2002 წლის მუნდიალის მერვედფინალური მატჩის (პარაგვაისთან) შემდეგ დაჭერილი კადრი - კანი შემართული მუშტით. ამ შემართებამ გერმანია მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინტერვიუ იოჰან კრუიფთან

# ბარსა საწყისებს უბრუნდება





**„ბარსელონამ“ ახალი მწვერვალებისკენ სვლა იმ მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაიწყო, რომელსაც იოჰან კრუიფმა ადრეულ ასაკში საკუთარ „დრიმ თიმში“ თავის გამოჩენის შანსი მისცა.**

**ხოსეპ გვარდიოლას ცხოვრება მას შემდეგ შეიცვალა, რაც მისი და ლეგენდარული ჰოლანდიელის გზები გადაიკვეთა. დღეს კრუიფი გვარდიოლას სამწვრთნელო კარიერის პირველ ნაბიჯებს აფასებს.**

**- როგორია წლევანდელი „ბარსელონისგან“ მიღებული პირველი შთაბეჭდილება?**

- როგორც ჩანს, „ბარსა“ თავის საწყისებს უბრუნდება. გუნდი თამაშის ხარისხს არც ადრე უჩიოდა, მაგრამ ბოლო წლებში შედეგებმა შესამჩნევად იკლო. ამიტომაც საჭირო იყო ახალი ბალანსის პოვნა. მაგალითად ისეთი შეგრძნება, რომელიც „ვისლასთან“ მატჩის დროს წარმოიშვა, როცა ყველა ერთიანი და ერთმანეთისთვის იყო... რა თქმა უნდა, ჩავარდნებიც არის, ეს ნორმალურია - იმისთვის, რომ ყველაფერი ძალიან კარგად იყოს, დროა საჭირო. რაც მთავარია, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც უნდათ და შეუძლიათ ამის გაკეთება. თუ ერთს არ გამოუვა, ვინმე ახალი გამოჩნდება.

**- გარკვეული პერიოდის უკან, იქამდე, სანამ მდგომარეობა გაუარესდებოდა, ამბობდით, რომ გარდაქმნები აუცილებელი იქნებოდა...**

- დიახ, ასე ვამბობდი, რადგან გვერდიდან ვამჩნევდი გარკვეულ ხარვეზებს, ბევრი რამ არ მუშაობდა გუნდში, მაგრამ უმეტესობა ამას ვერ ამჩნევდა. მსგავს სიტუაციაში ხშირად ვყოფილვარ და ჩემი ერთ-ერთი დადებითი თვისება სწორედ ამ დეტალებისთვის ყურადღების მიქცევა იყო. დიდი ხანია ვხედავდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო... ასეთ სიტუაციაში დამნაშავეები არ არსებობენ, თუმცა თითით ჩვენება მიღებულია ხოლმე.

**- დიახ, მაგრამ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა რაიკაარდზე მოდიოდა.**

- რა თქმა უნდა, რაიკაარდზე, მაგრამ გუნდზე პასუხს სხვა ბევრი ადამიანიც აგებს... ასეთი როგორც მინიმუმ ათია. უბრალოდ, როცა რაიმეს შეცვლა გსურს, ყველაზე მარტივი მწვრთნელიდან დაწყებაა - ის ხომ ყოველთვის მარტოა.

**- რონალდინიო „ბარსელონის“ დაცემის სიმბოლური ნიშანია?**

- ყველამ ვიცით, რომ რონალდინიო - ბრწყინვალე ფეხბურთელია. ამას არავინ უარყოფს. მაგრამ უმრავლესობა მხოლოდ კონკრეტული მომენტით მსჯელობს, მე კი ვცდილობ საერთო სურათი დავინახო. ბრაზილიელის ნიჭში ეჭვი არასოდეს შემპარვია. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ასეთ მაღალ დონეზე ყოფნის დრო. რაზეა ეს დრო დამოკიდებული? ნიჭზე? არა. აქ მთავარია სხვადასხვა სიტუაცია აკონტროლო. დააყენეთ თქვენი თავი მის ადგილას: ნებისმიერი მოკვდებოდა ამდენი კომპლიმენტისგან. ეს მეტისმეტი იყო. რომელი ჩვენგანი იგრძნობდა თავს ნორმალურად ასეთ სიტუაციაში? ძალიან ცოტა. მე მას არ ვამტყუნებ. უბრალოდ ვხედავდი - ბრაზილიელს ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ ისეთ სიტუაციაში აღმოჩენილიყო, რომელშიც საბოლოოდ აღმოჩნდა კიდეც. ამიტომაც, როცა ვლაპარაკობ რონალდინიოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჩემი სიტყვები მისი კი არა, მის გარშემო შექმნილი ატმოსფეროს წინააღმდეგ არის მიმართული.

**- იქნებ ეს ბრაზილიური მენტალიტეტის საკითხია?**

- ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაც შეიძლება და უარყოფითისაც. ხშირად რონალდინიოს რომარიოს ადარებდნენ. მე ეს არასოდეს გამიკეთებია. რომარიო აბსოლუტურად განსხვავებული იყო, როგორც აზროვნებით, ასევე პიროვნული თვისებებითაც. ამიტომაც ითამაშა 40 წლის ასაკამდე. ის თავისი მონდომებითა და საქმისადმი მიდგომით უჩვენებდა ყველას, რომ რასაც მასზე ამბობდნენ - არასწორი იყო.

**- საბოლოო ჯამში, წავიდნენ რონალდინიო და დეკუ, მაგრამ ეტო'ო, რომელიც ასევე უნდა წასულიყო, დარჩა. გვარდიოლამ განაცხადა, რომ თუ რომელიმე მათგანი გუნდში დარჩებოდა, მათ მიმართ იგივე დამოკიდებულება ექნებოდა, როგორიც სხვების მიმართ. ეს ტაქტიკა გაამართლებს?**

- მწვრთნელმა ზუსტად გაანაწილა აქცენტები და იმედი მაქვს, რომ სამუელს ესმის, რას ნიშნავს ეს ფრაზა. გვარდიოლას განცხადება ასე უნდა გავიგოთ: „მე მინდა, რომ მოთამაშე მაქსიმალურად იხარჯებოდეს მინდორზე. თუ წასვლა გინდა - წადი, რადგან არ იზიარებ საქმისადმი ასეთ მიდგომას. სულაც არ მგონია, რომ ცუდი ფეხბურთელი ხარ. მაგრამ თუ ჩვენთან ხარ, კეთილი ინებე და იმუშავე“. სხვათა შორის, გვარდიოლა ვარჯიშებზე ფეხბურთელებთან ერთად ბოლომდე იხარჯება. „შენ აქ ხარ და მე უნდა დამემორჩილო. თუ ასეა, ითამაშებ, თუ არა - წადი“. აი ასე. ყველასთვის ერთი კანონია, ყველაფერი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ყველაფერი გასაგებია.

**- შარშან მესიმ მოედანზე დაამტკიცა, რომ გუნდის ლიდერია. რას უნდა ველოდოთ მისგან?**

- ჩემი აზრით, „ბარსელონა“ და გვარდიოლა სწორად მოიქცნენ, როცა მას ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლება მისცეს. ეს დიადი გადაწყვეტილება იყო. მესი ოქროთი დაბრუნდა და კლუბისგან ასეთ დამოკიდებულებას მთელი ცხოვრება არ დაივიწყებს და ბოლომდე დააფასებს. გარდა ამისა, ეს სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მაგალითი იქნება. ისინი მიხვდებიან, რომ აქ მათ აფასებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**- როგორ ფიქრობთ, არგენტინელი გააგრძელებს პროგრესს, თუ არსებობს რისკი, რომ მას ადრეული წარმატების ტვირთი დააწვება კისერზე?**

- მესის თვალწინ უამრავი მაგალითი აქვს. ამ ბიჭს უდიდესი ნიჭი გააჩნია და ცხადია, რომ პროგრესს ექვემდებარება. უნდა ენდოს გვარდიოლას, რადგან მან დაგვანახა, რომ მოთამაშეებზე ზრუნვით არის დაკავებული. ახალ მთავარ მწვრთნელს თავიდანვე კარგი გავლენა ჰქონდა მესიზე. გულით მსურს, რომ განვლილმა ორმა წელმა, ყველაფერმა, რაც მესიმ ამ დროის განმავლობაში ნახა, დადებითად იმოქმედოს მის გამოცდილებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რა არ უნდა გააკეთოს ლეომ.

**- როგორ შეაფასებთ გვარდიოლას პირველ ნაბიჯებს?**

- ხოსეპმა ყველას ნათლად მიანიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია გუნდი და არა ინდივიდუალისტები. ის პატივს სცემს ცალკე აღებულ ნებისმიერ ფეხბურთელს, მაგრამ ყველა ერთი გუნდის წევრია. მიმაჩნია, რომ მისი საქმისადმი დამოკიდებულება ყველასთვის ცალსახად გასაგებია და გუნდშიც თანაფარდობა იქნება. გვარდიოლას სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ერთი სეზონი, რაც მან „ბარსელონა B“-ში გაატარა. ჩვენ ვხედავთ ამ გუნდიდან მოსულ რამდენიმე იუნიორს და მათში არამარტო ნიჭი, არამედ განსაკუთრებული ხასიათი იგრძნობა. მაგალითად, გაშვებული გოლის შემდეგ, ანგარიშის გასათანაბრებლად წინ მირბიან... ძნელია ჩაიბარო ისეთი გუნდი, რომელსაც ჩავარდნა აქვს. და როცა ასეთ შემთვევაშიც კი თამაშის შემტევ სტილს ითხოვ, ეს უკვე კარგის ნიშანია.

**- რატომ არ იაქტიურა „ბარსელონამ“ უცხოურ ბაზარზე?**

- გუნდი ისედაც კარგად არის დაკომპლექტებული. ამ ახალგაზრდების შემხედვარე, რწმუნდები, რომ არავის შეძენა არ არის საჭირო. რომელიმე იუნიორს დააყენებ ძირითადში და თუ ვერ გაამართლებს, უკან, „ბარსელონა B-ში“ გააგზავნი.

**- ბევრი გვარდიოლას გამოცდილებას უწუნებს...**

- ეს ფუჭი სიტყვებია. გვარდიოლას ის გამოცდილებაც ეყოფა, რაც საფეხბურთო კარიერის განმავლობაში შეიძინა. ვგრძნობ, რომ მას ძალუძს გუნდის ხელმძღვანელობა, რადგან მოკლე დროში მოახერხა სხვადასხვა საჭირო გადაწყვეტილების მიღება. თუ შეგიძლია შეამჩნიო ვარდნა, გყავს კარგი თანაშემწეები, სამუშაოს მყარ საფუძველს უყრი, არ გადაუხვევ დასახულ გზას, თუ ვინმე საქმეს აფუჭებს, მას გუნდიდან გაუშვებ - მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლია გახდე „ბარსელონის“ მწვრთნელი. და ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ წარმატება გარანტირებული გექნება. ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ მსგავსი ფუნდამენტი არ გაქვს, ასეთ კლუბში გადარჩენა ძნელია.

**- გვარდიოლას ერთ-ერთი პირველი ფრაზა იყო - „მშვიდად, გუნდი ამუშავდება“.**

- ლოგიკურია, რადგან სწორედ ამის გამო წუწუნებდა პუბლიკა. იგრძნობა, რომ მას მოსწონს ის, რასაც აკეთებს, მოსწონს ფეხბურთი. ხალხმა არ იცის, რომ აქამდე მისაღწევად, გვარდიოლას ბევრი რამის მსხვერპლად გაღებამ მოუწია. და კიდევ, მას ჰქონდა ბედნიერება ჩემი ხელმძღვანელობით ევარჯიშა. ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ.

როცა აქ ჩამოვედი, პირველ რიგში ვიკითხე - ვინ არის გუნდში საუკეთესო? მიპასუხეს - გვარდიოლა. მოვინდომე მისი „ბარსელონა B-ში“ ხილვა, მაგრამ იქ ვერ ვიპოვე. იქნებ იუნიორთა გუნდშია? არც იქ იყო. რატომ? ის ხომ საუკეთესოა? დიახ, მაგრამ ფიზიკურად არის სუსტი. მაგრამ თუ შენ თამაში გეხერხება, ფიზმომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ეს თავისთავად მოვა. სწორედ ასე მოხდა. და მაშინაც კი, როცა გვარდიოლა უმაღლეს დონეზე ათამაშდა, კლუბში მას არ აფასებდნენ. დიდი ბატალიების გადატანა მოგვიხდა იმისთვის, რომ მისი კონტრაქტი გაგვეუმჯობესებინა. ამიტომაც ვთვლი, რომ მას იმათზე დიდი გამოცდილება აქვს, რომლებისთვისაც ყველაფერი კარგად ვითარდებოდა.

## ევრო 2008

- ესპანეთის გამარჯვება იმის წინაპირობა უნდა იყოს, რომ ყველამ ისწავლოს კარგი ფეხბურთის დაფასება. ესპანეთის ნაკრების ტრიუმფმა დადებითი როლი უნდა შეასრულოს ბევრი კლუბისთვის და მთლიანად ფეხბურთისთვის. მრავალი წლის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლეგიონერების გავლენა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ეს უკეთესობისკენ შეცვლიდა საქმეს და ასეც მოხდა. ყველამ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში მთავარი არა შედეგი, არამედ ფეხბურთის ხარისხი იყო. მაგრამ ევროზე შედეგიც ვიხილეთ და ხარისხიც, თანაც მარტო ესპანელი ფეხბურთელების შესრულებით - აქ საქმეში ლეგიონერები არ ჩარეულან.

მოდით, იმედი დავიტოვოთ, რომ ამ წელს მოდაში ნამდვილი ფეხბურთი იქნება, რომელიც ხანდახან მაინც ამაღლდება შედეგზე. ამ გზას პირველი „ბარსელონა“ დაადგა. მისი ფეხბურთელებისთვის მთავარია - თამაშის სისწრაფე და საკუთარი ფუნქციების შესრულება ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობების გარეშე. მაგალითად, ჩავისთვის ან ინიესტასთვის არ არის აუცილებელი, რომ ყოველ პასს რაღაც განსაკუთრებული ეფექტი დაურთონ თან. ფეხბურთის არსი ამაში არ მდგომარეობს. უბრალოდ საჭიროა, ტემპში ითამაშო, ბურთი არ დაკარგო და მაშინ შეძლებ გააკეთო რაიმე განსაკუთრებული, ოღონდ წინასწარი ჩანაფიქრის გარეშე.

## პრობლემა: უნდა შეიზღუდოს ლეგიონერების რიცხვი

- ოლიმპიადაზე ქვეყნების ერთობას ვხედავდით. ჩვენ ევროპა ვართ, მაგრამ ამავდროულად - ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია... გონებაში ეს აზრი ყოველთვის უნდა გვიტრიალებდეს. ფიფა, უეფა და პირველ რიგში, ევროკავშირი უნდა ამჩნევდნენ ამას. და უნდა აწუხებდეთ პრიმერაში ლეგიონერების გაზრდილი რიცხვი. ფეხბურთში, ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება.

## რეალი: ბარსელონის კლონი

- „რეალში“ ჰოლანდიელებთან დაკავშირებით საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ის, რასაც „სამეფო კლუბი აკეთებს - „ბარსას“ კოპირებაა. ამით „რეალი“ რამდენიმე კურდღელს ერთად კლავს. მადრიდელები იფორმებენ ჩრდილოელებს, რომლებსაც სულ სხვა მენტალიტეტი აქვთ, ვიდრე სამხრეთში მაცხოვრებლებს. ამიტომაც ბერნდ შუსტერს მათი მოტივირება უფრო გაუადვილდება. გარდა ამისა, გუნდს ლეგიონერების ნაკრებში გაშვებასთან დაკავშირებით ნაკლები პრობლემები შეექმნება. რაც არ უნდა იყოს, დიდი სხვაობაა ამსტერდამში და ბრაზილიასა თუ არგენტინაში მგზავრობებს შორის.

## კრისტიანო რონალდო

- რონალდო რომელიმე სხვა კლუბში რომ ირიცხებოდეს, მის მომავალ კარიერაზე პროგნოზის გაკეთება რთული იქნებოდა. მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემთხვევაში კითხვის ნიშნები არ მიჩნდება. თუ ისინი იტყვიან, რომ კრისტიანო არ მიდის, მაშინ პორტუგალიელი აუცილებლად დარჩება გუნდში, იმ შემთხვევაშიც კი, კლუბში რომ უთხრან - „არ წახვალ და თან სათადარიგოთა სკამზე იჯდები“! „მანჩესტერში“ ფუნქციონერები არ ბატონობენ. და მე ეს მომწონს.

მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები



# ლუქსემბურგით ვიწყებთ

დღეს, 22:30 საათზე საქართველო!: ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს დაიწყებს. აქვე გაგარკვევთ: 2008-09 წლებში ჩვენი გუნდი მეორე დივიზიონის ჯგუფური ტურნირის 8 მატჩს გამართავს (თუ პირველი იყო, ან საუკეთესო მეორე, მაშინ პლეი ოფის ორ მატჩსაც მიაყოლებს) და თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, მაშინ 2010 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩავერთვებით. ასე რომ, 2011 წლამდე ევროპის პირველობაზე ვერ ვითამაშებთ.

B დივიზიონში 15 ნაკრები 3 ჯგუფშია განაწილებული. თითოდან ნახევარფინალში საუკეთესო გადის. მათ დაემატება უკეთესი მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი. გასულ ციკლში მეორე ადგილიც სანატრელი გაგვიხდა, მაგრამ წელს საქმე ასე არ უნდა გავიხადოთ, რადგან მეორეადგილოსანს ნახევარფინალიდან გაღწევის და A დივიზიონში მოხვედრის მიზერული შანსი ექნება. იმიტომ რომ, პირველ ჯგუფში NBA-ს ვარსკვლავებით გაჭედილი მონტენეგრო თამაშობს და ნაკლებად სავარაუდოა მან თუნდაც ერთი მატჩი წააგოს. ჰოდა, პლეი ოფში კარგი მაჩვენებლით უნდა გავიდეთ, რადგან მონტენეგრო ნახევარფინალში ავიცილოთ.

დღეს ლუქსემბურგს ვხვდებით და, როგორც ყოველთვის, ამ მატჩს გასახურებლად გამოვიყენებთ. წესით ჯუჯები იოლად უნდა დავამარცხოთ. თუმცა, თუ სტატისტიკას გადახედავთ, დაინახავთ, რომ 1999 წელს საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგთან 71:92 წააგო. საინტერესოა, რომ ამ მატჩში საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა **ზაზა ფაჩულიას.** მან 9 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ასევე სამწუხაროა, რომ როგორც ყოველთვის, ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩის ტელერეპორტაჟს ქართველი მაყურებელი ვერ იხილავს. გვაქვს ტელევიზიების გულიანობის იმედი და გვჯერა, რომ დანარჩენ მატჩებს მაინც გვიჩვენებენ. შვედეთთან, სლოვაკეთსა და ირლანდიასთან დაპირისპირებების ვერხილვა ნამდვილად გულდასაწყვეტი იქნება.

ორიოდე სიტყვა ნაკრების მზადყოფნაზე ვთქვათ. წლეულს გუნდს დიდი დანაკლისი აქვს – კოჭის ტრავმის (ოპერაცია გაიკეთა) გამო ვერ ითამაშებს **მანუჩარ მარკოიშვილი.** ტრავმის გამო გამოტოვა ავსტრიასთან საკონტროლო შეხვედრები ნატურალიზებულმა ამერიკელმა **ტაირონ ელისმა,** მაგრამ ექიმები გვაიმედებენ, რომ იგი უკვე მომჯობინდა და ლუქსემბურგთან აუცილებლად ითამაშებს. სხვა ყველა მწყობრშია.

როგორც წესი, კალათბურთზე ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ იგორ კოკოშკოვის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გუნდში ახალი სახეები გამოჩნდნენ. როგორც ჩანს, მწვრთნელი სათანადოდ ენდობა 17 წლის **თორნიკე შენგელიას.** ასევე მოსწონს მეორე დებიუტანტი **მიხეილ ბერიშვილი.** რაც შეეხება **გიორგი შერმადინს,** იგი დებიუტანტი არ გახლავთ, მაგრამ აქამდე ნაკრებში ჯამში მხოლოდ 20 წუთამდე აქვს ნათამაშები. აგვისტოში კი მწვრთნელი გიორგის თითო მატჩში 15-20 წუთს ენდობოდა. ამ ახალგაზრდებზე იმიტომ გესაუბრეთ, რომ სავსებით რეალურია, დღეს ლუქსემბურგში გამოცდილებზე მეტი დატვირთვა სწორედ მათ დაადგეთ. წესით, ლუქსემბურგს, ორი გამოცდილის დახმარებით, შენგელია-შერმადინ-ბერიშვილმაც უნდა მოუგოს.

პაატა შალამბერიძე

**მატჩების განრიგი**

| |
|---|
| **6 სექტემბერი, ლუქსემბურგი** |
| ლუქსემბურგი-საქართველო |
| **10 სექტემბერი, დუბლინი** |
| ირლანდია-საქართველო |
| **13 სექტემბერი, ნოვი ვსი** |
| სლოვაკეთი-საქართველო |
| **17 სექტემბერი, უმეო** |
| შვედეთი-საქართველო |

**ურთიერთშეხვედრები**

საქართველო-ლუქსემბურგი

| | |
|---|---|
| **ევრო-1997** | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 81:64 |
| **ევრო-2003** | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 71:92 |
| **ევრო-2005** | |
| ლუქსემბურგი-საქართველო | 61:87 |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 87:65 |
| **ევრო-2007** | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 86:44 |
| ლუქსემბურგი-საქართველო | 60:88 |

**საქართველო**

| მოთამაშე | გუნდი | სმ | დაბ.თარ. |
|---|---|---|---|
| ლაშა გამყრელიძე | ენერჯი ინვესტი | 183 | 4.2.1986 |
| გიორგი ცინცაძე | როკი, ესტონეთი | 192 | 7.2.1986 |
| კოტე ტუღუში | ენერჯი ინვესტი | 193 | 3.6.1984 |
| ტაირონ ელისი | კახასოლი, ესპანეთი | 193 | 5.10.1977 |
| ანატოლი ბოისა | თბილავიამშენი | 192 | 9.9.1983 |
| ვიქტორ სანიკიძე | უკლუბო | 203 | 1.4.1986 |
| თორნიკე შენგელია | პამესა, ესპანეთი | 198 | 5.10.1991 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ტერამო, იტალია | 212 | 14.4.1983 |
| მიხეილ ბერიშვილი | ენერჯი ინვესტი | 203 | 12.4.1987 |
| ვლადიმერ ბოისა | მენორკა, ესპანეთი | 209 | 4.7.1981 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა ჰოუქსი, აშშ | 210 | 10.2.1984 |
| გიორგი შერმადინი | მაკაბი | 216 | 2.4.1989 |

დაფასება

# ბინები ოლიმპიადის გმირებს

საქართველოს სპორტსმენებმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საამაყო შედეგი მოიმკეს. სამი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი - ასეთია ჩვენი ათლეტების ნადავლი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **მანუჩარ კვირკველია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **რევაზ მინდორაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) და **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო); მესამე ადგილებზე გავიდნენ **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **ოთარ თუშიშვილი** და **გიორგი გოგშელიძე** (ორივე - თავისუფალი ჭიდაობა).



მარცხნიდან: ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია, ოთარ თუშიშვილი, გოგი თოფაძე, რევაზ მინდორაშვილი, გიორგი გოგშელიძე, გიორგი ჭყონია

ჩვენი სპორტსმენების წარმატებები ორმაგად არის დასაფასებელი, რადგან ჯილდოები მაშინ მოიპოვეს ჩინეთის დედაქალაქში, როცა მათ სამშობლოს რუსი აგრესორები ბომბავდნენ, ილუპებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, ინგრეოდა და იწვოდა საცხოვრებელი სახლები.

ბიჭებს გარჯა დაუფასდათ: გუშინ „აქსისის" სათავო ოფისში კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ოლიმპიადის ოქროს მედალოსნებს - კვირკველიას, მინდორაშვილს, ცირეკიძეს, ასევე, ბრინჯაოს პრიზიორ გოგშელიძეს საჩუქრად საცხოვრებელი კომპლექსის-"დიდუბის სამი ეზოს" ოროთახიანი ბინების ორდერები გადაეცათ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გოგი თოფაძემ** კი საცხოვრებელი ბინით ოთარ თუშიშვილი დაასაჩუქრა.

ოლიმპიელთა დაჯილდოებას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გენაძე.**

**გოგი თოფაძე:** საოცარი გმირობა ჩაიდინეს ჩვენმა ბიჭებმა პეკინში - რუსეთის აგრესიის დღეებში მათ მთელ მსოფლიოს ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სამ-სამი სპორტსმენი სწორედ მტრის მიერ დაბომბილი ცხინვალიდან და გორიდან გვყავდა. იმ დღეებში ოჯახის წევრებზე მათ არაფერი იცოდნენ, ისე გადიოდნენ საასპარეზოდ. სწორედ ასეთ პირობებში შეძლეს მეტოქეებთან ვაჟკაცური გამკლავება. ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში გოგშელიძე და თუშიშვილიც ჩემპიონებად უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

ყოველივეს მიუხედავად, ჩვენი ათლეტების გამოსვლა პეკინში შესანიშნავი იყო. თუმცა ოქროს ელვარებამ თვალი არ უნდა მოგვჭრას და გულახდილად ვაღიაროთ, რომ ქართული სპორტი დღეს მძიმე მდგომარეობაშია. სერიოზული ინვესტიციები თუ არ ჩაიდო ამ სფეროში, მხოლოდ მოჭიდავეებით ლონდონის თამაშებზე ფონს ვერ გავალთ. ქვეყნის პრეზიდენტს უკვე ველაპარაკე ამის თაობაზე. შემპირდა, რომ სპორტისთვის სერიოზული ინვესტიციები გამოიყოფა - ყველა ქალაქსა და სოფელში შეიქმნება ბაზები. ამ საქმეში წონად სიტყვას იტყვიან ბიზნესმენები, რომლებიც უკვე მონაწილეობენ სპორტის დაფინანსებაში. დღევანდელი „აქსისის" აქციაც ამის ნათელი დადასტურებაა. დიდი მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას ათლეტების ასე უხვად დასაჩუქრებისთვის.

**გიორგი ჭყონია,** „აქსისის" დეველოპმენტმენეჯერი: მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია წავახალისოთ პეკინის ოლიმპიადის გმირები და ცხოვრებისთვის საუკეთესო გარემო შევუქმნათ. ჩვენ, როგორც ოლიმპიური ნაკრების სპონსორები, მზად ვართ, მეტად შევუწყოთ ხელი საქართველოში სპორტის განვითარებას, რათა ხვალ ჩვენმა ათლეტებმა უფრო საამაყო გამარჯვებები მოიპოვონ.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ „აქსისს" თავისი წვლილი შეაქვს სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. კომპანია აფინანსებს საქართველოს პროფესიულ ლიგას, ჩემპიონთა ლიგის ტრანსლირებას; „აქსისი" საფეხბურთო გუნდ „ლოკომოტივის" წილის მფლობელიცაა. ჩვენ მიერ აშენებულ ობიექტებში 6 საცურაო აუზსაც ავამოქმედებთ...

**რევაზ მინდორაშვილი:** პეკინში ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, რათა სამშობლო გვესახელებინა, ამიტომ მაშინ სხვა ჯილდოზე არც გვიფიქრია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სასიამოვნოა, როცა შრომას გიფასებენ. დიდი მადლობა „აქსისის" ხელმძღვანელობას თანადგომისა და უხვი საჩუქრისთვის.

**ირაკლი ცირეკიძე:** მადლობის მეტი რა გვეთქმის. ამგვარი წახალისება სპორტსმენისთვის დამატებითი სტიმულია მომავალში წარმატებების მისაღწევად.

**გიორგი გოგშელიძე:** კომპანია „აქსისმა" და ბატონმა გოგი თოფაძემ მე და ოთარ თუშიშვილს ნამდვილი სიურპრიზი მოგვიმზადეს. ვიცოდით, რომ ჩემპიონებს დაასაჩუქრებდნენ ბინებით. მათ რიგებში ჩვენც თუ მოვხვდებოდით, ნამდვილად არ გვეგონა. მადლობა ყველას, ვინც გარჯა დაგვიფასა.

**მანუჩარ კვირკველია:** პეკინიდან დაბრუნების დღეს მეორე შვილი შემეძინა, რამაც უდიდესი ბედნიერება მარგუნა. დღეს კი „აქსისმა" გამახარა ოროთახიანი ბინით. დიდი მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას დაფასებისთვის.

**ოთარ თუშიშვილი:** თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე ხშირად მიწევს ჩამოსვლა. დედაქალაქში ანი ჩემი ბინა მექნება. დიდი მადლობა ყველას თანადგომისთვის.



ქართული სპორტის მესვეურები

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჩოგბურთი

# ლაბაძე გავარდა, ჩახნაშვილი გადაიდო

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ირაკლი ლაბაძემ** (696) დაასრულა ასპარეზობა ჩერკასის (უკრაინა) საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. დღევანდელი მდგომარეობის და მისი ახლანდელი რეიტინგის გათვალისწინებით, ლაბაძეს წარმატებული ტურნირი გამოუვიდა „ჩელენჯერის სერიაში". ის საკვალიფიკაციო ბადიდან მეოთხედფინალში გავიდა. მეოთხედფინალში ლაბაძე მე-4 ნომრად განთესილ უზბეკ **დენის ისტომინს** (136) ხვდებოდა. ლაბაძემ პირველ სეტში გაიბრძოლა, მეორე კი ტრავმის გამო ველარ ჩაამთავრა – 4:6, 0:3. ქართველი ჩოგბურთელი ტურნირს წყვილთა თანრიგშიც დაემშვიდობა, მან და გერმანელმა **ალექსანდერ კნიტელმა** მეოთხედფინალური მატჩი წააგეს **ბუბკასა და სტახოვსკისთან** – 3:6, 6:4, 8:10.

საფრანგეთის ქალაქ დენაინში გრძელდება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია. დენაინი ჩრდილო საფრანგეთშია, სადაც უჩვეულოდ წვიმიანი ამინდები დაიჭირა, გუშინ ერთეულთა თანრიგის თითქმის ყველა შეხვედრა გადაიდო, მათ შორის **მაკა ჩახნაშვილისა** (210) და გერმანელი **კატრინა ბაროისის** მეოთხედფინალური მატჩი. მაკამ მხოლოდ წყვილებში შეძლო თამაში, სადაც მან და რუმინელმა **ალექსანდრა დულგერომ** ვერ შეძლეს ნახევარფინალში გასვლა, ისინი ფრანგ **კოენ-ალოროსა** და კანადელ **პელეტიესთან** დამარცხდნენ – 4:6, 6:7 (5).

ნიკოლოზ ნეფარიძე



ირაკლი ლაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეოკ-ი. წინასაარჩევნო კამპანია

# გია ნაცვლიშვილი ცხენოსნებს შეხვდა



მარცხნიდან: კახაბერ კიკიანი, ბაქარ გაჩეჩილაძე, ალექსანდრე დგებუაძე, გია ნაცვლიშვილი, გელა ტატანაშვილი, ზურაბ დუნდუა და ლაშა ჯაიანი

კახეთის მხარის ყოფილმა გუბერნატორმა და ყოფილმა პარლამენტარმა **გია ნაცვლიშვილმა**, რომელიც ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, პირველმა შეიტანა განცხადება და სურვილი გამოთქვა, კენჭი იყაროს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე. მანვე პირველმა მოიპოვა სპორტის ოლიმპიური სახეობების ოცამდე ეროვნული ფედერაციის წერილობითი მხარდაჭერა. ახლა უკვე როგორც სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ასევე პირველმა დაიწყო წინასაარჩევნო შეხვედრები ფედერაციების ხელმძღვანელებთან. გუშინ თბილისის ძველ, დელისის იპოდრომზე გია ნაცვლიშვილმა ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის ალმასკომის წევრებთან ერთად განიხილა სპორტის ამ სახეობაში არსებული პრობლემები და განვითარების პერსპექტივა. ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **ლაშა ჯაიანმა** სტუმარს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა ცხენთა სულადობის, მხედართა მომზადების, საწვრთნელი და საშეჯიბრო პირობების შესახებ.

„ცხენოსნობა სპეციფიკური სპორტის სახეობაა და ცხენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სიძნელეების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მხედრების გაცვლა და ქვეყნებს შორის მიმოსვლით მასპინძელთა ცხენებზე ასპარეზობა", - თქვა ლაშა ჯაიანმა.

გია ნაცვლიშვილი დაინტერესდა, საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ტრადიციების ალსადგენად არის თუ არა რეალური შესაძლებლობები. როგორც ცნობილია, თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის ოლიმპიური სახეობაა და თამაშების პრიზიორიც გვყავს - **ვახტანგ იაგორაშვილი**, რომელიც ამჯერად ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს.

„მე ვესაუბრე ვახტანგს. ის სერიოზულად ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებასა და ხუთჭიდელების მომზადებაზე, თუკი საამისო პირობები შეექმნება. ცხენოსნობა კი თანამედროვე ხუთჭიდში, შეიძლება ითქვას, უმთავრესი სახეობაა", - თქვა გია ნაცვლიშვილმა.

ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაიმართება, რათა მიზანმიმართულად, პრობლემების თანდათანობით მოგვარებით შეიქმნას მყარი საფუძვლები საქართველოში ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის განვითარებისთვის.

საკუთარი ინფორმაცია

პლაჟბურთი. მსოფლიოს ტური

# საქა-რთველო და გეორ-გია ბრაზილიაში ბრუნდებიან



საქა

პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში ასპარეზობას გამოეთიშა პლაჟბურთის ქართული წყვილი ქალთა შორის **საქა-რთველო.** მსოფლიოს ტურის მორიგი ეტაპის მეორე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ტურნირზე მეორე მარცხი ბერძნული წყვილისგან (**კუტრუმანიდუ-ციარციანი**) იწვნიეს სამ სეტში 19:21, 21:19, 10:15. საქა-რთველომ შედეგად 120 სარეიტინგო ქულა და 2 500 ამერიკული დოლარი პრემიალური ჯილდო მიიღო.

ტურნირს გამოეთხოვა ესპანურ მალიორკაში ვაჟთა შორის პლაჟბურთის წყვილი **გეორ-გიაც.** ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯერ მცირე სენსაცია მოახდინეს და საკმაოდ ძლიერი ავსტრიული წყვილი **დოპლერი-გარტმაიერი** დაამარცხეს სამ სეტში 21:15, 17:21, 15:12. მაგრამ მერე ფრანგ ძმებთან **კესებთან** ასევე სამ სეტში წააგეს 21:19, 11:21, 12:15. საბოლოოდ გეორ-გიამ 180 სარეიტინგო ქულა და 3 900 ამერიკული დოლარი მიიღო.

მორიგი ეტაპი, სადაც ჩვენი ფრენბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის ქალაქ სან პაულოში 15-20 სექტემბერს გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

# აქტიური დასვენება



დავით ჯოჯუა

როგორც ვივარაუდეთ, მეშვიდე ტურში **დავით ჯოჯუასა და თორნიკე სანიკიძის** შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ჯოჯუა თეთრებით იყო და ცხადია, მოგება სჭირდებოდა, თუმცა სანიკიძის შესანიშნავი თამაშია გასათვალისწინებელი და როგორც ჩანს, რისკს მოერიდა. ესეც რომ არა, ჯოჯუა და სანიკიძე მეგობრები არიან და ეს ის შემთხვევაა, როცა სპორტული მხარე და პირადი ურთიერთობების თანხვედრა შესაძლებელია: თორნიკესაც ხელს აძლევდა ყაიმი - 7 ტურის შემდეგ 6,5 ქულა მშვენიერი შედეგია, - რეიტინგზეც კარგად იმოქმედებდა და ერთპიროვნულ ლიდერობასაც ინარჩუნებდა. სანიკიძეს რომ დიდოსტატობისთვის ყველა პირობა აქვს დაკმაყოფილებული, გარდა რეიტინგული მაჩვენებლისა, ადრე გაუწყეთ. ასეთივე მდგომარეობაშია დავით ჯოჯუაც - მასაც მხოლოდ რეიტინგის ამაღლება სჭირდება 2500-მდე. ჯოჯუას მარაგი 6 ქულაა დღეისთვის, დარჩენილ სამ ტურში წარმატებული თამაშის შემთხვევაში სასურველ მარაგს უთუოდ შეიქმნის და ვინძლო, პირველი ოქტომბრისთვის, როცა ფიდე ახალ რეიტინგ-სიებს გამოაქვეყნებს, ორი დიდოსტატი შემოგვემატოს ქართველებს.

ყაიმით ითამაშა გუშინ **დავით მალალაშვილმაც.** არც დავითს აწყენს ქულათა მარაგის შემატება. მართალია, დღეისთვის ის სანიკიძესა და ჯოჯუას ჩამორჩება, მაგრამ სხვაობა მცირეა და ორიოდ ტურნირში თავგამოჩენა საკმარისია კონკურენციის გასაწევად. მალალაშვილსაც 6 ქულა აქვს.

როგორც გითხარით, სანიკიძემ ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. თუმცა დღეს ყველაზე რთული შეხვედრა ელის - ტურნირის პირველ ნომერს, ძალიან მაღალი რეიტინგის მქონე თურქ **მიხაილ გურევიჩს** (2631) ხვდება. ასეთ რეიტინგიანთან ყაიმიც გვარიან სარგებელს იძლევა და მოგება ხომ ირმის ნახტომივით იზომება... თორნიკემ მეექვსე ტურში **სუათ ათალიკის** დამარცხებით იმედი გაგვიჩინა, რომ გამოცდილ დიდოსტატებს აჯობებს; გურევიჩიც ამ ყალიბისაა და ეგებ ერთხელაც ივაჟკაცოს ჩვენებურმა, მით უფრო, რომ ამჯერადაც თეთრებით შეუტევს სანიკიძე. ვფიქრობ, მოსაგებად იბრძოლებს ქართველი, ამისთვის მას ახალგაზრდული ენერგიაც უნდა დაეხმაროს და ჯოჯუასთან შეხვედრაში ძალების დაზოგვაც - მეშვიდე ტური მისთვის, ფაქტობრივად, დასვენება გამოდგა.

მოგების კარგი შანსი აქვს ჯოჯუასაც და მალალაშვილსაც. მართალია, ორივე შავებით თამაშობს, მაგრამ სუსტი მეტოქეები ჰყავთ.

ლიდერებთან ახლოს არის **მაკა ფურცელაძეც** - 5,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ მერვე ტურში ათალიკს ხვდება და მიუხედავად იმისა, რომ თეთრებით არის, ძალიან გაუჭირდება. ჩვენ წარმატება ვუსურვოთ და რა გამოვა, დაფაზე გამოჩნდება. 5,5 ქულით **ნინო ბაციაშვილიც** იწონებს თავს. ნინოს ბევრად იოლად გადასაჭრელი პრობლემა ექნება თურქი **სირინ ატაკანის** სახით, - ატაკანი 44-ეა რეიტინგით, ბაციაშვილი კი - მე-14.

**მალხაზ სულაშვილის** შესახებ კიდევ ერთხელ ვიტყვით, მაგრამ როგორც ჩანს, ის იზმირის ტურნირს სათანადო ფორმაში ვერ შეხვდა - 5,5 ქულა და სამეულში შესვლის თეორიული შანსი კი აქვს, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში უდანაკარგოდ თამაში მოუწევს. რთული კია, მაგრამ არა - შეუძლებელი. დავიტოვოთ იმედი, რომ სულაშვილი ფინიშის სწორს მაინც გაივლის სათანადოდ.

მერვე ტურში პირველ ათ დაფაზე თამაშობენ: **თორნიკე სანიკიძე** (6,5)-**მიხაილ გურევიჩი** (6); **ატა სეჩერი** (6)-**დავით ჯოჯუა** (6); **მოჰამედ ბაკრი** (6)-**დავით მალალაშვილი** (6); **ბარის ესენი** (6)- **მელის ანაბერდიევი** (6); **მაკა ფურცელაძე** (5,5)-**სუათ ათილიკი** (5,5); **მალხაზ სულაშვილი** (5,5)-**ქემრე ილდიზი** (5,5); **მუსტაფა ილმაზი** (5,5)-**ფარუკ კელერი** (5,5); **ნინო ბაციაშვილი** (5,5)-**ატაკან სირინი** (5,5); **ჰევალ რეიჰანი** (5,5)-**ზეინაბ მამედიაროვა** (5,5); **მოჰამად რეიჰანი** (5,5)-**არმენ გრიგორიევი** (5,5).

ზვიად შათირიშვილი

რაგბი. პრესკონფერენცია

# სარაგბო სეზონი მალე გახურდება



გიორგი ნიჟარაძე

საქართველოს რაგბის კავშირში გამართული პრესკონფერენცია ერთბაშად რამდენიმე თემას მიეძღვნა: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება, რაგბის კავშირის „გლობალ სპორტ ალიანსთან" და „ეკოფლაგთან" თანამშრომლობა.

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა ქვეყანას ეკოლოგიური თვალსაზრისითაც სერიოზული ზიანი მიაყენა. რაგბის კავშირი სიამოვნებით დათანხმდა „გლობალ სპორტ ალიანსის „და „ეკოფლაგის" წინადადებას. ამ ორგანიზაციების მიზანია გარემოს დაცვაში სპორტსმენებისა და სპორტში ჩართულ პირთა მონაწილეობა. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩაბმული ვართ გარემოს დაცვის საქმიანობაში და ამ პრობლემის აქტუალურობის წარმოსაჩენად წარმოებულ პიარკამპანიაში.

რაც შეეხება სუფთა სარაგბო საკითხებს, ხვალიდან საქართველოს ჩემპიონატი განახლდება. ცნობილი მოვლენების გამო მეორე წრე ერთი კვირით გვიან აიღებს სტარტს, ვიდრე ეს დაგეგმილი გვქონდა. თუმცა მერე, ვინაიდან ცხრამეტწლამდელთა ნაკრები სოპოტში ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება, გათამაშებაში ისევ პაუზა გვექნება, ოღონდ ამჯერად სამი კვირით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დარჩენილი მორაგბეები უქმად მაინც არ იქნებიან. სწორედ ამ შუალედში შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპს გავმართავთ. შეჯიბრება, როგორც წესი, უქმეებზე გაიმართება"

**ოთარ იაშვილი,** საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მენეჯერი:

„პოლონეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება გუნდმა ჯერ კიდევ ივლისიდან დაიწყო, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო თითქმის მთელი აგვისტო გაგვიცდა. ვერ მოვახერხეთ დაგეგმილი შეკრების ჩატარება ზღვისპირეთში. თუმცა ყოველივეს მიუხედავად, მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

ცხრამეტწლამდელთა ნაკრებში საკმაოდ ნიჭიერმა მორაგბეებმა მოიყარეს თავი. ძალიან კარგი, პერსპექტიული თაობაა. ორ მათგანს - **ვახტანგ კოლელიშვილსა და ბექა წიკლაურს** ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილებაც აქვთ. მათ რუმინეთში IRB-ის ერთა თასზე ბრწყინვალედ წარმოაჩინეს თავი. ერთადერთი პრობლემა ჩვენი გუნდის შეუთამაშებლობაა. თუმცა იმედი გვაქვს, ამ ხარვეზს სოპოტში მოსამზადებელ პერიოდში აღმოვფხვრით. პოლონეთში შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გავემგზავრებით.

ტურნირზე ჩვენი ძირითადი მეტოქეები რუმინეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდები იქნებიან. გამარჯვებული მომავალ წელს ოცწლამდელთა შორის გასამართ ჩელენჯ ტროფის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. თუმცა გამორიცხული არაა, ამ შეჯიბრებაში ევროპიდან ორი გუნდი დაუშვან იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა იქნება. მასპინძლობის კანდიდატთა შორის საქართველოცაა. ჯერჯერობით ეს საკითხი ღიად რჩება. IRB-დან არც თანხმობა მიგვიღია და არც უარი."

ბესიკ ჯანგავაძე

# ყოფილი კაპიტანი რაგბის დაუბრუნდა



ილია ზედგინიძე

საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ილია ზედგინიძე** რაგბის დაუბრუნდა. ილია ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და ხელშეკრულება საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ1 დივიზიონში მოასპარეზე „ექსთან" გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ზედგინიძემ შარშან საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც რაგბიდან წასვლის გადაწყვეტილება მიაღებინა, თუმცა იქვე დასძინა - ერთი წლის შემდეგ რა იქნება, არ ვიცი. ნატკენი მუხლი ალბათ მეტ-ნაკლებად მომიშუშდება და თუ გულმა გამიწია, შეიძლება დავბრუნდე კიდეცო. როგორც ჩანს, ილიას თავისი შესაძლებლობების დიდი იმედი აქვს და კარგი იქნება, თუ ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებასაც შეძლებს.

ახლახან რამდენიმე უცხოური ტრანსფერი განხორციელდა ქართველი მორაგბეების მონაწილეობით. „ლელო" დატოვა და კიევის „პოლიტექნიკში" გადაბარგდა ცხრა ნომერი **ბექა თოფურია.** პოლონეთს მიაშურა სათამაშოდ ერთბაშად ოთხმა ქართველმა მორაგბემ. **მიხეილ მურვანიძემ** (ხულიგანა) და **ირაკლი ციბაძემ** (ლოკომოტივი) „პოგონთან" გააფორმეს ხელშეკრულება. ქუთაისელი **ზურაბ ზვიადაძე** „ლეხის" მოთამაშე გახდა, მისი თანაგუნდელი **მინდია კუხიანიძე** კი „ოგნივოში" ჩაირიცხა.

საფრანგეთის ფედერალ 1-ის „კაორს" მიაშურა „ლოკომოტივის" პირველხაზელმა **ნიკოლოზ მალალდაძემ.** ესპანური „ვილახოიოსას" რიგებში ჩაირიცხა კიდევ ერთი ლოკომოტიველი **დავით ყლენტი.**

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ექლსტოუნი 20 ეტაპზე ფიქრობს



ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** ინტერვიუ მისცა ბელგიურ გაზეთ ''Derniere Heure''-ს, სადაც ფორმულას მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის გაფართოების სურვილი გამოთქვა. ექლსტოუნს უნდა, რომ სეზონი 20- ეტაპისგან შედგებოდეს, გარდა ამისა, ის აპირებს მინიმუმამდე დაიყვანოს „ზამთრის სულელური ტესტები".

*„ამ სეზონში ბევრი სიახლე გვქონდა. ვალენსიაში გამართული ქუჩის რბოლის შემდეგ, სინგაპურში ისტორიაში პირველად ღამის ეტაპი გველოდება. გარდა ამისა, იმ ქვეყნების წინადადებებს განვიხილავთ, რომლებსაც ფორმულა 1-ის ეტაპის მასპინძლობა სურთ. ჩინეთის, ბაჰრეინის, აბუ-დაბის შემდეგ, მზად ვართ ინდოეთში გავემგზავროთ. ასევე ვოცნებობ ლას ვეგასის რბოლაზე, ოღონდ ის არა უდაბნოში, არამედ სათამაშო აპარატებს შორის უნდა ჩატარდეს. საბოლოოდ, ჩემი მიზანია ისეთ კალენდრამდე მივიდეთ, რომელიც სეზონში 20 რბოლას მოიცავს და უარი ვთქვათ ზამთრის სულელურ ტესტებზე"*, - განაცხადა ფორმულა 1-ის ლეგენდარულმა მაგნატმა.

■ ■ ■

ამავე ინტერვიუში ბერნი ექლსტოუნმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ GP1-ის სახელწოდება იყიდა იმ შემთხვევისთვის, თუ მოულოდნელად ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან უთანხმოება წარმოიშვება და ფორმულა 1-ის სახელის შეცვლის საკითხი დადგება დღის წესრიგში. *„ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ჯერჯერობით ფორმულა 1 ფორმულა 1-ად რჩება - ეს ყველაზე კარგი სახელწოდებაა!"*

ბრიტანელი ჩინოვნიკი ასევე ამტკიცებს, რომ მომავალ წელს, ევროპული ეტაპების დროს GP3-ის (ყოფილი Formula Masters) რბოლების ორგანიზებას აპირებს. როცა ''Derniere Heure''-ის ჟურნალისტმა ექლსტოუნს ჰკითხა, მართლა აქვს თუ არა განზრახული ასეთი სარბოლო სერიის ორგანიზება, ბერნიმ უპასუხა: *„დიახ. ეს იმისთვის, რომ რანგის მიხედვით სამი ჩემპიონატი - GP3, GP2 და ფორმულა 1 არსებობდეს".*

ამ გეგმის მიხედვით გამოდის, რომ მომავალი სეზონიდან GP3-ის სერია ფორმულა 1-ის ევროპული ეტაპების დროს ჩატარდება და ეს ხელს შეუშლის ფორმულა 2-ის ჩემპიონატის გამართვას, რომელსაც, თავის მხრივ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მაქს მოსლი** პატრონობს. კითხვაზე, თუ რა ბედი ელის მოსლის იდეას, ექლსტოუნმა განაცხადა: *„სხვა ტრასები მონახონ!"*

# ფეხბურთის გრანპრის წინ

ბელგიის გრანპრის წინ ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი გაიმართა, რომელშიც ავტომრბოლების ნაკრები (Nazionale Piloti) ჰოლანდიურ გუნდს (All Stars) გაეჯიბრა.

პილოტთა ნაკრებში **მიხაელ შუმახერი, ჯანკარლო ფიზიკელა, სებასტიან ფეტელი, ვიტანტონიო ლიუცი** და სხვა ავტომრბოლები ირიცხებოდნენ, მათი მეტოქეები კი ადგილობრივი ფეხბურთის, ესტრადის ვარსკვლავები და თვით ჰოლანდიის სპორტის მინისტრი **აბ კლინკი** იყვნენ.

მატჩი ფრედ - 5:5 დასრულდა. იტალიელმა ვიტანტონიო ლიუციმ ფეხის ტრავმა მიიღო და ის საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. საბედნიეროდ, დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და ვიტანტონიო ბელგიის გრანპრიზე „ფორს ინდიას" სარეზერვო პილოტის როლს შეასრულებს.

საფეხბურთო მატჩს 10 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხა მთლიანად „იუნისეფის" ჰოლანდიურ ფილიალსა და ICM-ის ინსტიტუტში გადაირიცხა, რომელიც ტვინისა და ხერხემლის პრობლემებით არის დაკავებული (მიხაელ შუმახერი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელია).

ჭადრაკი

# იტალიური სენსაცია

ბევრს ეგონა, რომ იტალიელი **ელენა სედინა** ჩინელთა ვარსკვლავს, 15 წლის **იფან ჰოუს** უბრძოლველად დანებდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად! ელენამ ჩინური „ტყვეობიდან" ისე დაიხსნა თავი, აქილევსის გმირობა არ დასჭირვებია - თავად გამოჭედა გამარჯვება. ამ მოგებით სედინამ მხოლოდ ანგარიში გაათანაბრა და მთავარი ბრძოლა დღეს აქვს გადასატანი, მაგრამ რომც წააგოს, გულის სიღრმეში მაინც კმაყოფილი დარჩება... ობიექტურად იფანმა უნდა იმარჯვოს, მით უფრო, როცა საქმე სწრაფ ჭადრაკს ეხება - ახალგაზრდები სისწრაფეში უფროსებს ჯაბნიან ხოლმე, მაგრამ ვინ იცის, რა დოზით აუჩუხჩუხდება ელენას სისხლში ადრენალინი და ეგებ წალეკოს კიდეც ჩინელი...

ნაკლებ პროგნოზირებად კატეგორიაში უნდა შევიდეს სომეხი **ლილიტ მკრტჩიანის** გამარჯვება **დრონავალი ჰარიკასთან** მატჩში - მეორე პარტია ლილიტმა თეთრებით მოიგო და საერთო ანგარიში 1.5:0.5 დააფიქსირა. თუმცა ფავორიტად ამ წყვილში ინდოელი ითვლებოდა.

**შენ იანგისა და ნადეჟდა კოსინცევას** შეხვედრა ყაიმით დასრულდა. პირველ პარტიაშიც საყაიმო შედეგი დაფიქსირდა, რაც ამ წყვილში დამატებითი შეხვედრების დანიშვნას მოასწავებს. ტაიბრეიკები დღეს გათამაშდება.

სხვა წყვილებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, - ფავორიტებმა იმარჯვეს და მშვიდად მოემზადებიან მეოთხედფინალური შეხვედრებისთვის. ვინ ვის აჯობა, აქვე ცხრილში გაეცნობით:

**ანა უშენინა (უკრ, 2476)**-სვეტლანა მატვეევა (რუს, 2412) 1:0 (2:0); **ჰამპი კონერუ (ინდ, 2622)**-თრანგ ჰოანგი (უნგ) 1:0 (1.5:0.5); **ელენა სედინა (იტა, 2344)**-იფან ჰოუ (ჩინ, 2557) 1:0 (1:1); **ანტუანეტა სტეფანოვა (ბულ, 2550)**-ინა გაპონენკო (უკრ, 2486) 1:0 (2:0); **რუან ლუფეი (ჩინ, 2499)**-პია კრამლინგი (შვედ, 2544) 0.5:0.5 (0.5:1.5); **ლილიტ მკრტჩიანი (სომ, 2436)**-დრონავალი ჰარიკა (ინდ, 2461) 1:0 (1.5:0.5); **ნადეჟდა კოსინცევა (რუს, 2460)**-იანგ შენი (ჩინ, 2445) 0.5:0.5 (1:1); **ტატიანა კოსინცევა (რუს, 2511)**-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუს, 2510) 0:1 (0.5:1.5).

ფრჩხილებში მითითებულია საბოლოო ანგარიშები.

**ზვიად შათირიშვილი**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2009**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-ირლანდია | 2:0 |
| ფინეთი-დანია | 2:1 |
| ყაზახეთი-ესპანეთი | 1:2 |
| სლოვაკეთი-ბელგია | 1:1 |
| საფრანგეთი-მალტა | 5:0 |
| ხორვატია-ალბანეთი | 4:0 |
| პოლანდია-ნორვეგია | 1:1 |
| გერმანია-ჩრ. ირლანდია | 3:0 |
| ლუქსემბურგი-ისრაელი | 0:5 |
| ავსტრია-ისლანდია | 1:0 |
| სან მარინო-ლატვია | 0:1 |
| ინგლისი-პორტუგალია | 2:0 |
| იტალია-საბერძნეთი | 1:1 |

**მუნდიალი**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ჯიბუტი-მალავი | 0:3 |
| ლიბია-განა | 1:0 |
| ალჟირი-სენეგალი | გვ. დასრულდა |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ს. კორეა-იორდანია | 1:0 |
| შვედეთი (U21)-პოლონეთი (U21) | 1:0 |
| ბორუსია (მ)-შარლერუა | 2:2 |
| კასელი-დორტმუნდი | 1:3 |
| ოსნაბრიუკი-ტვენტე | 0:2 |
| ვილემი-ვესტერლო | 2:1 |
| ირაკლისი-რაპიდი (ბ) | 0:2 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰერეფორდი-სუინდონი | 1:1 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვეენდამი-ფორტუნა | 0:0 |
| კამბური-დენ ბოში | 0:3 |
| ეინდჰოვენი A-აპელდორნი | 3:3 |
| ექსელსიორი-როსენდალი | 1:0 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 1:1 |
| ომნივორლდი-ჰელმონდი | 0:1 |
| ვაალვიკი-ვენლო | 1:1 |
| ტოპ ოსი-ემენი | 2:1 |
| ცვოლე-ტელსტარი | 3:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-დერი | გადაიდო |
| დროგედა-კობ რამბლერსი | გადაიდო |
| სტ. პატსი-გალვეი | გადაიდო |
| ფინ პარკსი-უნივერსიტი | 2:0 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 0:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ებერისვითი-კარმარტენი | გადაიდო |
| ქერნარფონი-უელშპული | 2:3 |
| ჰევერფორდვესტი-ქერსოუსი | 2:0 |
| პორტმედოგი-რილი | 0:3 |
| პრესტატინი-ლეფნი | გადაიდო |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მეტალი-ჩერნომორეცი | 0:0 |
| დინამო (ბარ)-ყუბანი | 1:3 |
| სიბირი-კამაზ | 1:2 |
| ნოსტა-ალანია | 1:0 |
| ურალი-ვოლგა | 2:1 |
| ვიტიაზი-მაშუკი | 2:0 |
| ბალტიკა-ენერგია | 0:0 |
| სკა (რ)-სკა | 1:1 |
| ტორპედო-ზვეზდა | 3:0 |
| სალუტი-ანჟი | 1:0 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-არკა | 2:2 |
| ლეგია-ლკს | 3:0 |
| ლეხია-ლეხი | 0:0 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| პალმეირასი-სპორტ რესიფე | 0:3 |
| ვასკო-კრუზეირო | 1:3 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| დალასი-კოლორადო | 0:1 |

### ჰოკეი

**კხლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-დინამო (რ) | 7:0 |
| სიბირი-დინამო (მნ) | 1:2 |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 3:3 |
| ს. იულიაევი-სკა | 3:1 |
| ლადა-ბარისი | 2:1 |
| აკ ბარსი-ხიმიკი | 4:0 |
| მვდ-ცსკა | 1:3 |
| ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 3:1 |
| ტორპედო-სპარტაკი | 3:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2:2 |
| დუისბურგი-აუგსბურგი | 2:6 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 0:2 |
| ფრანქფურტი-ნიურნბერგი | 4:2 |
| ჰამბურგი-კასელი | 3:4 |
| იზერლონი-ჰანოვერი | 5:2 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 1:7 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სლოვანი | 3:4 |
| კოშიცე-კეჟმაროკი | 7:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ფრიბურგი | 6:2 |
| ბერნი-ბილი | 5:2 |
| დავოსი-სერვეტი | 4:2 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 2:2 |
| ტაიგერსი-ლუგანო | 2:5 |
| ცუგი-კლოტენი | 2:1 |

### ჩოგბურთი

**აშშ-ის ღია**

**ქალები. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| დემენტიევა-იანკოვიჩი | 4:6, 4:6 |
| ს. უილიამსი-საფინა | 6:3, 6:2 |

## TV სპორტი

### 6 სექტემბერი. შაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდულები). შესარჩევი მატჩი. ინგლისი-პორტუგალია.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ლიონი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:45 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ნუმანსია-ბარსელონა.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
19:55 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სომხეთი-თურქეთი (LIVE).
22:05 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:40 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლიხტენშტაინი-გერმანია (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 სპორტდოსიე. კალათბურთი.
07:25 პეკინი 2008. თავისუფალი ჭიდაობა.
09:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მოტაგუა-არსენალი.
11:30 პეკინი 2008. წყალში ხტომა. სინქრონული ხტომები. კაცები. ფინალი.
12:50 სპორტის სამყარო.
13:15 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში.
15:30 ვეიკბორნინგი.
16:00 მძლეოსნობა. SEAT DecaNation. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 პეკინი 2008. მძლეოსნობა.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სომხეთი-თურქეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი (LIVE).
23:50 პეკინი 2008. წყალში ხტომა. სინქრონული ხტომები. კაცები. ფინალი.
00:45 სპორტის სამყარო.
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-გრემიო (LIVE).
03:20 პეკინი 2008. წყალში ხტომა. სინქრონული ხტომები. კაცები. ფინალი.
04:40 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მოტაგუა-არსენალი.
06:25 სპორტდოსიე. კალათბურთი.

**EUROSPORT**

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. VII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი.
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
04:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. ფინალი (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრიტანეთი.
13:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. I მატჩი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
14:30 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური (LIVE).
17:30 კარომი. მსოფლიოს სერია.
18:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანია.
19:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. სილვერსტოუნი (LIVE).
19:45 ექსტრემალური სპორტი.
20:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური.
22:00 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. საშუალო წონა. დ. სპადა (იტალია)-მ. სენდროვსკი (პოლონეთი). იტალია.
00:00 ჰიპ-ჰოპი. კორეა.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური.
02:00 ახალი ამბები.

### 7 სექტემბერი. კვირა

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.
14:10 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სომხეთი-თურქეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-იტალია.
18:05 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლიხტენშტაინი-გერმანია.
22:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:20 მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-იტალია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 პეკინი 2008. ძალოსნობა.
08:45 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
09:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-გრემიო (LIVE).
10:55 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ხორვატია-ყაზახეთი.
12:40 პეკინი 2008. ტყვიის სროლა. კაცები.
13:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლიხტენშტაინი-გერმანია.
15:00 პეკინი 2008. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
17:10 პეკინი 2008. ძალოსნობა.
18:50 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია (LIVE).
21:15 პეკინი 2008. თავისუფალი ჭიდაობა.
23:45 ვეიკბორნინგი.
00:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
01:15 მძლეოსნობა. SEAT DecaNation. პარიზი. საფრანგეთი.
03:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:10 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
04:35 პეკინი 2008. თავისუფალი ჭიდაობა.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/2 ფინალი.
11:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. 1/2 ფინალი. პალმა-დე-მალიორკა (LIVE).
15:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. სილვერსტოუნი (LIVE).
16:00 სუპერსპორტი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. სილვერსტოუნი (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. ფინალი. პალმა-დე-მალიორკა (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. VII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია (LIVE).
21:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. სილვერსტოუნი (LIVE).
21:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
21:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
00:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. ფინალი (LIVE).
03:15 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური.
13:45 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბელგია (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური (LIVE).
17:30 მოტორბოლა. GSX R-ის თასი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჰოლანდია (LIVE).
19:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
21:45 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. სილვერსტოუნი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
00:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. კაცები. ფინალი. პალმა-დე-მალიორკა.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
02:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

აშშ-ის ღია პირველობა

# სუპერნახევარფინალები



ამერიკის ღია პირველობის მეთერთმეტე დღეს მამაკაცებს შორის ორი მეოთხედფინალი გაიმართა. **როჯერ ფედერერმა** რთულ, მაგრამ სამსეტიან მატჩში დაამარცხა ლუქსემბურგელი **ჟილ მიულერი**. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ამერიკის ღიას ისტორიაში მეორე ჩოგბურთელი გახდა, ვინც კვალიფიკაციის გავლით მიაღწია მეოთხედფინალურ ეტაპს.

არადა, ჟილი წინა ეტაპებზე სამჯერ გადაურჩა წაგებას. ჯერ კიდევ კვალიფიკაციის პირველ წრეში ძლივს გაიარა ალჟირელი **ლამინ უაჰაბის** ბარიერი, როცა მეორე სეტი ტაი-ბრეიკზე გამოსტაცა მეტოქეს, მესამე პარტია კი 7:5 მოიგო. ძირითადი ტურნირის მეორე რაუნდში ორსეტიანი ჩამორჩენა გააბათილა გერმანელ ვეტერან **ტომი ჰაასთან**, რომელსაც ორი ბურთი აკლდა გამარჯვებამდე. 1/16 ფინალში, ესპანელ **ნიკოლას ალმაგროსთან** ასევე საწყისი ორი სეტი დათმო და მეოთხე პარტიაში ორი მატჩ-ბოლიც მოიგერია. ბოლოს კი რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** მეოთხე სეტში შვიდი (!) სეტ-პოინტის გამოყენების საშუალება არ მისცა.

როჯერ ფედერერი, რომელიც ამერიკაში ზედიზედ მეხუთე ტიტულს უმიზნებს, „ფლეშინგ მედოუს" ტურნირზე არათანაბრად თამაშობს, თუმცა მიულერთან ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა: კორტზე შესანიშნავად გადაადგილდებოდა და ზუსტ დარტყმებს ასრულებდა. მაგრამ უნაკლო მოწოდებითა და ბადესთან დამაჯერებელი თამაშით, მიულერი ფედერერს ბრეიკის შანსს არ აძლევდა, მეშვიდე გეიმში კი თავად მიიღო ბრეიკ-პოინტი, თუმცა ფედერერმა გეიმი გადაარჩინა და ბოლოს, მეტოქის მოწოდებაზე თავად ჰქონდა ოთხი სეტ-პოინტი. ლუქსემბურგელმა მშვიდად მოიგერია ყველა ხიფათი და პარტია ტაი-ბრეიკში გადაიყვანა. მიულერმა იქაც შეძლო ფედერერის დაწევა - 1:4-დან ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მთლიანად პარტიის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მეორე სეტი უფრო მარტივად მოიგო. 4:4-მდე ორივენი იოლად იღებდნენ თავიანთ მოწოდებებს, მაგრამ ჟილმა ბოლოსკენ ფედერერის შეტევის უვნებელყოფა ვერ შეძლო და როჯერი სეტებში 2:0 დაწინაურდა.

მესამე პარტიაში შვეიცარიელმა ისევ ვერ გააკეთა ბრეიკი. მას ერთ-ერთი გულშემატკივრის პლაკატმაც ვერ უშველა: „როჯერი პრეზიდენტად!" თუმცა თავის გეიმებს იოლად იღებდა, რამაც ლოგიკურად მეორე ტაი-ბრეიკამდე მიგვიყვანა. იქ კი როჯერმა თავისი ფანები ანერვიულა, თუმცა 1:4-დან ეს შემოკლებული გეიმიც გადაარჩინა, სეტიც და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა - 7:6, 6:4, 7:6.

ფედერერი „დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ მეთვრამეტედ გავიდა ნახევარფინალში. უკანასკნელად როჯერი ასეთი დონის შეჯიბრებებში ადრეული სტადიიდან 2004 წელს, „როლან გაროსზე" გავარდა, როცა მესამე წრეში ბრაზილიელ **გუსტავო კუერტენთან** წააგო.

ჟილ მიულერს კი წაგების მიუხედავად, სიამაყის საბაბი ნამდვილად აქვს. ის ლუქსემბურგის პირველი წარმომადგენელია, ვინც „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. გარდა ამისა, მიულერი ეისების მხრივ გახდა აშშ-ის ღიას გამარჯვებული - 128 ეისი დაუგროვდა და დარჩენილ მატჩებში მის დაწევას ვერავინ შეძლებს.

*„პირველ რიგში, ბედნიერი ვარ, რომ მოგება შევძელი. წინა ურთულესი მატჩის შემდეგ, სასიამოვნოა, რომ ამჯერად სამ სეტში გავიმარჯვე. ჟილი - რთული მეტოქეა, რომელმაც ამ ტურნირზე ყველა გააოცა. დღეს ის ძალიან კარგად აწვდიდა და უკანა ხაზზეც შესანიშნავად გამოიყურებოდა. ასე რომ, თამაშის შედეგით კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ფედერერმა.

როჯერს აშშ-ის ღიაზე ზედიზედ 32-მატჩიანი მოგებათა სერია დაუგროვდა. წინა რეკორდი **ივან ლენდლს** ეკუთვნოდა და ის 27 მატჩში გამარჯვებას უტოლდებოდა. სამაგიეროდ, ლენდლს ეკუთვნის ამ ტურნირის მეორე რეკორდი - ლეგენდარული ჩეხი ზედიზედ რვა ფინალში იღებდა მონაწილეობას. ფედერერს ამ მიღწევის გამეორების შანსი 2011 წელს ექნება. სამაგიეროდ, შვეიცარიელამდე აქ ზედიზედ ოთხი ტიტული არავის მოუგია, ხოლო თუ როჯერი მეხუთე გამარჯვებასაც მიითვლის, ტიტულების რაოდენობით **პიტ სამპრასსა** და **ჯიმი კონორსს** გაუთანაბრდება. თუმცა კონორსის უნიკალურ მიღწევას აქ ვერავინ გაიმეორებს - ამერიკელს აშშ-ის ღია პირველობა სამ სხვადასხვა საფარზე აქვს მოგებული: ბალახზე (1974), თიხნარსა (1976) და ჰარდზე (1978, 1982, 1983).

მაგრამ ფედერერს ნიუ იორკში მეხუთე ტიტულის მოსაგებად კიდევ ორი მატჩის მოგება სჭირდება. თანაც, ნახევარფინალში სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ელოდება, რომელმაც ბრწყინვალე ფორმაში მყოფი **ენდი როდიკი** დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალში „ჯოკერისთვის" ყველაფერი კარგად დაიწყო. იმის გარდა, რომ როდიკი არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, თავად სერბიც ტურნირის წინა მატჩებისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. საერთოდ არ მუშაობდა ამერიკელის მთავარი იარაღი - მოწოდება. მთელი პირველი სეტის განმავლობაში ენდიმ ვერც ერთი ეისი ვერ შეასრულა!

ბევრი არაფერი შეცვლილა მეორე პარტიაში. როდიკმა ოდნავ გამოასწორა თამაში, მაგრამ ეს გარდატეხის შესატანად საკმარისი არ აღმოჩნდა. მოკლედ, თამაშის დაწყებიდან ერთი საათი იყო გასული, ნოვაკი კი სეტებში 2:0 იგებდა.

ისე ჩანდა, რომ მატჩი თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა თავად იპოვნა პრობლემები, როცა 1:2-ზე არადამაჯერებლად ითამაშა საკუთარი გეიმი. ბრეიკმა როდიკი გამოაცოცხლა, უფრო გააქტიურდა პუბლიკაც. ამერიკელმა მოწოდება გააძლიერა და უფრო მეტიც, უკანა ხაზზე დაიწყო კარგად თამაში. ენდის უფრო ადრე შეეძლო სეტის თავის სასარგებლოდ დასრულება, მაგრამ ნოვაკმა მეტოქეს მეორე ბრეიკის გაკეთების საშუალება არ მისცა. თუმცა ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა - მთავარი იყო, რომ როდიკმა სეტებში ანგარიში შეამცირა.

როცა მეოთხე სეტში როდიკმა კიდევ ერთხელ აილო მეტოქის მოწოდება (3:3-ზე), ისე ჩანდა, რომ მეხუთე პარტიის თამაში გარდაუვალი იყო. ამერიკელი სეტზე აწვდიდა და 30:0-ს იგებდა, მაგრამ მოულოდნელად ანერვიულდა და ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. ბუნებრივია, ნოვაკი ამ საჩუქარზე უარს ვერ იტყოდა, ტაი-ბრეიკზე კი სერბი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

მოკლედ, წინ სუპერნახევარფინალები გველის: რაფაელ ნადალი-ენდი მიურეი და როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი.

■ ■ ■

გუშინვე აშშ-ის ღია პირველობაზე პირველი გამარჯვებული გამოვლინდა. მიქსტში მთავარი პრიზი მოიპოვეს ზიმბაბველმა **კარა ბლეკმა** და ინდოელმა **ლეანდერ პაესმა**. ფინალში ინტერნაციონალურმა დუეტმა 7:6(6), 6:4 მოუგო ამერიკელ **ლიზელ ჰუბერსა** და შოტლანდიელ **ჯეიმი მიურეის** (ერთეულებში ნახევარფინალისტ **ენდი მიურეის** ძმა).

35 წლის პაესმა მიქსტში „დიდი სლემის" მეოთხე ტიტული მოიგო. სხვათა შორის, ინდოელმა ბოლო ორი გამარჯვება ლეგენდარულ **მარტინა ნავრატილოვასთან** ერთად მოიპოვა.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 7:6 (5), 6:4, 7:6 (5); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ენდი როდიკი (აშშ, 8) 6:2, 6:3, 3:6, 7:6 (5).

WTA-ს ტური

# უილიამსებს დისკვალიფიკაცია ელოდებათ

ქალთა ტურის ხელმძღვანელობამ რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო. მომავალი წლიდან, WTA-ის ტურნირებზე მწვრთნელებს უშუალოდ მატჩის დროს შეეძლებათ თავიანთი შეგირდებისთვის კონსულტაციების გაწევა.

უფრო მეტიც, მწვრთნელისა და მოთამაშის საუბარს მრავალმილიონიანი ტელეაუდიტორიაც მოისმენს, რადგან კორტზე გასვლამდე, მწვრთნელი ვალდებული იქნება მიკროფონი დაიმაგროს, რათა ყველამ მოისმინოს მისი დარიგებები. WTA-ში ამ წესს დიდი ხანი განიხილავდნენ და საბოლოოდ ორი დღის წინ დაამტკიცეს. სიახლის შესახებ ოფიციალურად WTA-ის პრეზიდენტმა **ლარი სკოტმა** აშშ-ის ღია პირველობაზე გამოაცხადა.

*„ამ საკითხის განხილვას მთელი სერიოზულობით მივუდექით. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი ზუსტად გამოხატავს WTA-ის დამოკიდებულებას სპორტსმენებისა და მთლიანად ჩვენი სპორტის მიმართ. ამასთან, ვცდილობთ მაქსიმალურად ახლოს ვიყოთ გულშემატკივრებთან"*, - ამბობს სკოტი.

მწვრთნელებს სეტში მხოლოდ ერთხელ შეეძლებათ ჩოგბურთელების „მონახულება" და ეს მხოლოდ გეიმებს შორის შესვენების დროს მოხდება. გარდა ამისა, ისინი მაშინაც გავლენ კორტზე, როცა მეტოქე ჩოგბურთელი სამედიცინო ტაიმ-აუტს აიღებს.

ჯერჯერობით, ახალი წესი „დიდი სლემის" ტურნირებზე არ იმოქმედებს.

■ ■ ■

ამასობაში, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაცია დებ **უილიამსებს** დისკვალიფიკაციით დასჯის, თუ ისინი გაისად უარს იტყვიან ინდიან უელსის პირველი კატეგორიის ტურნირში გამოსვლაზე.

**ვენუსმა** და **სერენამ** ეს ტურნირი 2001 წლიდან აითვალწუნეს და ამის მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ. მაშინ მათი მისამართით ტრიბუნებიდან რასისტულ ფრაზებს ისროდნენ და ამის შემდეგ, დები ინდიან უელსს აღარ გაკარებიან.

უილიამსები უკვე გამოეხმაურნენ WTA-ის მოთხოვნას და ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს ლარი სკოტს ოფიციალური შეტყობინებაც გაუგზავნეს. იქ წერია, რომ ისინი 2009 წელსაც არ ჩავლენ ამ ტურნირზე, თუნდაც ამისთვის ფულადი ჯარიმა მიიღონ და სარეიტინგო ქულები ჩამოაკლონ.



# ამერიკა არ შეცვლილა

19-21 სექტემბერს დევისის თასზე ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. გუშინდელ ნომერში არგენტინის ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით, რომელიც საკუთარ მოედანზე რუსეთს უმასპინძლებს.

არგენტინის შემდეგ, ნახევარფინალისთვის შემადგენლობა მოქმედმა ჩემპიონმა, ამერიკის ნაკრებმა დაასახელა. გუნდის კაპიტანმა **პატრიკ მაკინროიმ** იმ ჩოგბურთელებს უხმო, რომლებმაც შარშან ეს პრესტიჟული თასი მოიპოვეს.

ერთეულთა თანრიგში ითამაშებენ ATP-ის მერვე და მეცხრე ნომრები - **ენდი როდიკი** და **ჯეიმს ბლეიკი**. წყვილთა შეხვედრაში მსოფლიოს საუკეთესო დუეტს, ტყუპ ძმებ **ბობ** და **მაიკ ბრაიანებს** ვიხილავთ, რომლებიც ამერიკის მიმდინარე ღია პირველობაზე წყვილთა თანრიგის ფინალში არიან გასულნი.

ოლიმპიზმი

# ბაქო არ ნებდება

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ქალაქ ბაქოს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაზე უარი უთხრა, აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე აპირებს განაცხადის შეტანას.

*„აზერბაიჯანი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2020 წლის თამაშების ორგანიზებაზე შეიტანს განაცხადს. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ჩვენი ქალაქი გაიმარჯვებს, ბაქო მთლიანად შეიცვლის იერს, განახლდება ინფრასტრუქტურა, აშენდება უამრავი სპორტული ობიექტი"*, - აცხადებს აზერბაიჯანის სპორტის მინისტრი **აჰად რაგიმოვი**.

მინისტრის სიტყვებით, მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოლიმპიური კომიტეტი, ბაქოში რამდენიმე სპორტული ობიექტის მშენებლობა მაინც დაიწყება, კერძოდ, აზერბაიჯანის დედაქალაქში აშენდება დიდი სტადიონი, რომელიც 70 ათას მაყურებელს დაიტევს და ის რაღაცით პეკინის „ჩიტის ბუდის" მსგავსი იქნება.

ბაქოს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზეც ჰქონდა შეტანილი განაცხადი, მაგრამ პირველი კონკურსი ვერ გაიარა და კანდიდატი ქალაქის სტატუსი ვერ მიიღო. აქვე შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქის გარდა, 2020 წლის თამაშების მასპინძლობის სურვილი სანკტ-პეტერბურგმაც გამოთქვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**